

**სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია**

**LEPL - DAVID AGHMASHENBELI  
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA**



**ახალი ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა შეიარაღებულ  
კონფლიქტებში  
THE ROLE AND IMPORTANCE OF NEW TECHNOLOGIES IN ARMED  
CONFLICTS**

**„კონფლიქტების ანალიზი: პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური და  
სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები“  
“CONFLICT ANALYSIS: POLITICAL-PSYCHOLOGICAL AND  
SOCIO-ECONOMIC ASPECTS”**



**საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული  
INTERNATIONAL COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE**

**2021**



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI  
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA



ახალი ტექნოლოგიების როლი და მნიშვნელობა შეიარაღებულ  
კონფლიქტებში

THE ROLE AND IMPORTANCE OF NEW TECHNOLOGIES IN ARMED  
CONFLICTS

„კონფლიქტების ანალიზი: პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური და  
სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები“

“CONFLICT ANALYSIS: POLITICAL-PSYCHOLOGICAL AND  
SOCIO-ECONOMIC ASPECTS”

## 24 ნოემბერი 2021

კონფერენციის ხარისხიანად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, შეიქმნას საერთაშორისო სამეცნიერო კრედიტული კონფერენციის სარედაქციო კოლეგია (შემდგომში-კოლეგია) შემდეგი შემადგენლობით:

### სარედაქციო კოლეგია

#### **რედაქტორი**

**ბრიგადის გენერალი მამია ბალახაძე** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რედაქტორი

#### **სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი**

**კოლკოვნიკი დავით რაზმაძე** ეროვნული თავდაცვის აკადემიის რედაქტორის მოადგილე

#### **სტილისტი / კომპიუტერული უზრუნველყოფა**

**დავით სთეფანიშვილი** ეროვნული თავდაცვის აკადემიის დისტანციური სწავლების ცენტრის კურსების უფროსი სპეციალისტი

#### **მთარგმნელი**

**ნინო შავდათუაშვილი** ეროვნული თავდაცვის აკადემიის უცხოენის მთარგმნელი

#### **სარედაქციო კოლეგიის წევრები**

**კოლკოვნიკი ზურაბ ზერეკიძე** ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის უფროსი

#### **ალექსი ბურდულაძე**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმაციის მიმართულების უფროსი

#### **ნანი არაბული**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმაციის მიმართულების პროფესორი

#### **რომეო გალდავა**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის ინფორმაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

#### **ქეთევან ჟიბრიშვილი**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების უფროსი

#### **რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების პროფესორი

#### **შალვა ჯულაყიძე**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის მენეჯმენტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

#### **ვიცე-კოლკოვნიკი გიორგი სხირთლაძე**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების უფროსი

#### **მისიელ შავთვალაძე**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულების პროფესორი

#### **კოლკოვნიკი გიორგი ლადიაშვილი**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

#### **ნიკოლოზ ენითაშვილი**

ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მთავარი მეცნიერი



**24 NOVEMBER 2021**

IN ORDER TO CONDUCT THE CONFERENCE QUALITATIVELY AND SMOOTHLY, ESTABLISH AN EDITORIAL BOARD OF THE INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE (HEREINAFTER-THE BOARD) WITH THE FOLLOWING PERSONNEL:

## **EDITORIAL BOARD**

### **EDITOR**

**BRIGADIER GENERAL MAMIA BALAKHADZE** RECTOR OF LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

### **HEAD OF THE EDITORIAL BOARD**

**COLONEL DAVIT RAZMADZE** DEPUTY RECTOR OF THE ACADEMY

### **DESIGNER / DIGITAL MAINTENANCE**

**DAVIT STEPANISHVILI** SENIOR SPECIALIST IN TRAINING COURSES OF THE ACADEMY

### **TRANSLATOR**

**NINO SHAVDATUASHVILI** FOREIGN LANGUAGE TRANSLATOR OF THE ACADEMY

### **MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD**

**COLONEL ZURA ZEREKIDZE** HEAD OF THE BACHELOR OF THE ACADEMY

**ALEX BURDULADZE** HEAD OF THE BACHELOR OF INFORMATICS DEPARTMENT OF THE ACADEMY

**NANI ARABULI** PROFESSOR OF INFORMATICS AT THE ACADEMY

**ROMEO GALDAVA** ASSOCIATE PROFESSORS OF INFORMATICS IN THE ACADEMY

**KETEVAN CHIABRISHVILI** HEAD OF THE BACHELOR OF MANAGEMENT DEPARTMENT OF THE ACADEMY

**RUSUDAN DALAKISHVILI-CHICHINADZE** PROFESSOR OF BACHELOR OF MANAGEMENT IN THE ACADEMY

**SHALVA JULAKIDZE** ASSOCIATE PROFESSORS OF MANAGEMENT AT THE ACADEMY

**LIEUTENANT COLONEL GIORGI SKHIRTADZE** HEAD OF THE DEFENSE AND SECURITY DEPARTMENT OF THE ACADEMY

**MIKHEIL SHAVTVALADZE** PROFESSOR OF DEFENSE AND SECURITY AT THE ACADEMY

**COLONEL GIORGI LAGHIASHVILI** HEAD OF THE SCIENTIFIC RESEARCH CENTER OF THE ACADEMY

**NIKOLOZ ESITASHVILI** CHIEF SCIENTIST OF THE SCIENTIFIC RESEARCH CENTER OF THE ACADEMY



## სარჩევი

<b>თანამედროვე ომები და თექნოლოგიები: უპირათესობები და გამოწვევები</b> იოსებ ავსაჯანიშვილი	10
<b>იხვლება თუ არა ომის ბუნება თანამედროვე თექნოლოგიების განვითარების კვალგზაზე?</b> ვიცა-კოლკოვნიკი თორნიკე ასათიანი	18
<b>ახალი თექნოლოგიების გამოყენება ასიმეტრიულ ომში</b> ლევან მაისურაძე	26
<b>უპილოტო საფრენი აპარატების როლი თანამედროვე შინარაღებულ კონფლიქტებში: დროების მასიური გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები</b> ვალერი მოდებაძე	31
<b>TOWARD A THEORY OF JUST WAR IN CYBERSPACE</b> ედუარდ რაუპი	37
<b>თანამედროვე ინფორმაციული ომი დემოკრატიის წინააღმდეგ</b> სოფო ჩქოფოია	44



## სარჩევი

<b>რადიკალური ისლამის გამოვლენა ჩეჩნეთის ომებში</b> ეპილია ალავერდოვი	50
<b>ჩეჩნური ნაციონალიზმის ეკონომიკური ასპექტები</b> შადიმან ბინაძე	56
<b>სამოქალაქო ინვესტირება და განსაზღვრული ხიდეების</b> <b>გამოყენების შესაძლებლობა თავდასხვის ძალებში</b> ჯაბბულ ფალოშვილი	62
<b>SOCIAL ADAPTATION OF DISCHARGED MILITARYMEN IN</b> <b>A DYNAMIC ENVIRONMENT</b> რაშად იბრაბიმოვი	70
<b>CHARACTERISTICS OF HYBRID WARFARE RETROSPECTIVE ANALYSIS</b> ხალილ ისკანდაროვი	72
<b>ინფორმაციული აგრესიის თეორეტიკები და</b> <b>მათი როლი რეგიონულ პოლიტიკურ კონფლიქტში</b> რამაზ კვარაცხელია	76
<b>ენერგო უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში</b> ბიორგი ლალიაშვილი	83
<b>GEOPOLITICAL CONSEQUENCES OF THE SECOND KARABAKH WAR</b> ზაფარ ნაჯაფოვი	90
<b>შუამავლის როლი კონფლიქტის მოგვარებაში</b> ლევან ნიკოლეიშვილი	97
<b>რუსეთის აზიისური საგარეო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა</b> თორნიკე ოქროპილაშვილი	101
<b>ომების თეორიულ-მეთოდოლოგიური</b> <b>საფუძვლები და ისტორიული წინამძღვრები</b> რამაზ ჩიჩუა	107
<b>პოლიტიკური მითი, როგორც კონფლიქტის წყარო</b> სალომე ხიზანიშვილი	112
<b>ANALYSIS OF THE EFFECTIVENESS OF COMMUNICATION AND</b> <b>AUTOMATED MANAGEMENT SYSTEMS</b> კოლკოვნიკი არიფ ჰასანოვი	117
<b>ARMENIAN-AZERBAIJANI RELATIONS: ISOLATION OR INTEGRATION</b> მანოჩი ჯალილ ჰასანოვი	121

# CONTENT

<b>MODERN WARS AND TECHNOLOGIES: ADVANTAGES AND CHALLENGES</b> IOSEB AVSAJANISHVILI	<b>10</b>
<b>IS THE NATURE OF WAR CHANGES IN THE WAKE OF DEVELOPMENT OF MODERN MILITARY TECHNOLOGIES?</b> LIEUTENANT COLONEL TORNIKE ASATIANI	<b>18</b>
<b>USE NEW TECHNOLOGIES IN ASYMMETRIC WARFARE</b> LEVAN MAISURADZE	<b>26</b>
<b>THE ROLE OF UNMANNED AERIAL VEHICLES IN MODERN ARMED CONFLICT: THE PROS AND CONS OF MASS DRONE USE</b> VALERI MODEBADZE	<b>31</b>
<b>TOWARD A THEORY OF JUST WAR IN CYBERSPACE</b> EDWARD R. RAUPP	<b>37</b>
<b>THE MODERN INFORMATION WAR AGAINST DEMOCRACY</b> SOPO CHKOPOLA	<b>44</b>



# CONTENT

<b>THE EMERGENCE OF RADICAL ISLAM IN THE CHECHEN WARS</b> EMILIA ALAVERDOV	50
<b>ECONOMIC ASPECTS OF THE CHECHENS NATIONALISM</b> SHADIMAN BITSAZDE	56
<b>POSSIBILITY OF USING CIVILIAN INVENTORY AND FOLDING BRIDGES IN THE DEFENSE FORCES</b> JAMBUL ZALOSHVILI	62
<b>SOCIAL ADAPTATION OF DISCHARGED MILITARYMEN IN A DYNAMIC ENVIRONMENT</b> RASHAD IBRAHIMOV	70
<b>CHARACTERISTICS OF HYBRID WARFARE RETROSPECTIVE ANALYSIS</b> KHAYAL ISKANDAROV	72
<b>TECHNOLOGIES OF THE INFORMATION AGGRESSION AND THEIR ROLE IN REGIONAL POLITICAL CONFLICT</b> RAMAZ KVARATSKHELIA	76
<b>ENERGY SECURITY IN SOUTH CAUCASUS</b> GIORGI LAGHIASHVILI	83
<b>GEOPOLITICAL CONSEQUENCES OF THE SECOND KARABAKH WAR</b> ZAFAR NAJAFOV	90
<b>THE ROLE OF THE MEDIATOR IN CONFLICT RESOLUTION</b> LEVAN NIKOLEISHVILI	97
<b>RUSSIA'S AMBITIOUS FOREIGN AND NATIONAL SECURITY POLICY</b> TORNIKE OKROPILASHVILI	101
<b>THEORETICAL-METHODOLOGICAL BASES AND HISTORICAL BACKGROUNDS OF WARS</b> RAMAZ CHICHUA	107
<b>POLITICAL MYTH, AS A SOURCE OF CONFLICT</b> SALOME KHIZANISHVILI	112
<b>ANALYSIS OF THE EFFECTIVNESS OF COMMUNICATION AND AUTOMATED MANAGEMENT SYSTEMS</b> COLONEL ARIF HASANOV	117
<b>ARMENIAN-AZERBAIJANI RELATIONS: ISOLATION OR INTEGRATION</b> MAJOR JALIL HASANOV MIKAYIL	121

# თანამედროვე ომები და ტექნოლოგიები: უპირატესობები და გამოწვევები

## იოსებ ავსაჯანიშვილი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი,  
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

### აბსტრაქტი

კაცობრიობის ისტორია ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო გამოგონებებთან და ტექნიკურ პროგრესთან. ცხოვრების დონე და ხარისხი მუდმივად იცვლებოდა ტექნიკური პროგრესის შედეგების შესაბამისად და ომის წარმოების სფერო არაფრით არ იყო გამონაკლისი. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე, სამხედრო მეცნიერებამ განიცადა რადიკალური ტრანსფორმაცია არა მარტო ტექნიკური არამედ მორალური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი კუთხით.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია თანამედროვე ტექნოლოგიური ომის სპეციფიკური მომენტები რომლებიც შეეხება ფიზიკურ (შენიშვნა: განსაკუთრებით კი კოსმოსურ სივრცეში) და ციფრულ სივრცეში საბრძოლო მოქმედებების წარმოებას, მათთან დაკავშირებულ პოლიტიკურ და სამხედრო გადანაცვლებების მიღების თავისებურებებს. ასევე, აღნიშნულია ის გამოწვევები (შენიშვნა: საუბარია სამართლებრივი ხასიათის ხარვეზებზე), რომლებიც თან ახლავს თანამედროვე დისტანციურად მართვადი თუ რობოტიზირებული ტექნიკის გამოყენებას თანამედროვე ფართომასშტაბიან თუ ლოკალურ საბრძოლო მოქმედებებში.

#### საკვანძო სიტყვები:

კოსმოსური დაზვერვა, კოსმოსური თავდაცვა, საჰაერო-კოსმოსური სისტემები, წყალქვეშა უპილოტო აპარატები, სადაზვერვო ინფორმაციის დამუშავება, ბრძოლის ავტომატური მართვა, კომბატანტი

# MODERN WARS AND TECHNOLOGIES: ADVANTAGES AND CHALLENGES

IOSEB AVSAJANISHVILI  
LEPL - GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY,  
STUDENT DOCTORAL PROGRAM ON MILITARY ENGINEERING

## ABSTRACT

The history of mankind has always been closely linked to invention and technological progress. The standard of living and quality of life were constantly changing in accordance with technological progress, and the field of military production was no exception. From the beginning of the twentieth century to the present day, military science has undergone radical transformations not only technically, but also morally, psychologically and legally.

The present article discusses the specific moments of modern technological warfare related to the conduct of hostilities in physical (especially space) and digital space, the peculiarities of political and military decision-making related to them. Also mentioned are the problems (we are talking about legal shortcomings) that accompany the use of modern remotely controlled or robotic equipment in modern large-scale or localized hostilities.

**KEYWORDS:**

Space intelligence; Space defense; Aerospace systems; Unmanned UnderWater Vehile; Processing of intelligence information; Automatic control of the battle; Combatant.

## თავდაცვითი ტექნოლოგიების სპეციფიკა კოსმოსური ეპოქის პირობებში

კაცობრიობის განვითარების ათასწლეულების მანძილზე ომები წარმოებდა ორ ტრადიციულ სივრცეში - სახმელეთო და საზღვაო. მე-20 საუკუნის დასაწყისში და კერძოდ კი პირველმა მსოფლიო ომმა დაგვანახა საბრძოლო მოქმედებების გავრცელება საჰაერო სივრცეში, ხოლო საუკუნის მეორე ნახევრიდან კოსმოსური სივრცე უკვე აღიქმებოდა როგორც პოტენციური ბრძოლის ველი. ყოველივე ეს განპირობებული იყო მუდმივი ტექნოლოგიური პროგრესით რომელიც დიდად იყო განპირობებული ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური ინტერესებით (ერთმანეთზე სამხედრო უპირატესობის მოპოვებით).

მინდა შევეხო კოსმოსური დაზვერვისა და კოსმოსური თავდაცვის მნიშვნელობას საქართველოს სამხედრო ძლიერების საქმეში. საგულისხმოა, რომ ეს საკითხი არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ცალკეული სახელმწიფო სამოქალაქო ორგანიზაციებისა თუ კერძო კომერციული სუბიექტების მუშაობის ხელშეწყობის საქმეში.

თანამედროვე ტექნოლოგიური ომი წარმოუდგენელია თანამგზავრული ბაზირების მართვისა და კონტროლის სისტემების გამოყენების გარეშე (როგორცაა სპეციალური ოპერაციების ძალებთან დახურული კავშირგაბმულობის არხები). კოსმოსური დაზვერვა ხელს უწყობს ისეთ რაიონებზე და ობიექტებზე თვალთვალს, რომელიც მიუწვდომელია სადაზვერვო ავიაციისთვის, ხოლო გლობალური პოზიციონირების სისტემის პლათფორმაზე მართვადი ბომბები და რაკეტები გამოირჩევიან მაღალი სიზუსტით სტაციონალური ობიექტების განადგურებაში.

დაახლოებით ოთხი ათეული წელია რაც მიმდინარეობს კოსმოსურ სისტემებზე სამეცნიერო კვლევები, მათი შექმნა და გამოყენება თანამედროვე სამხედრო შეიარაღებულ კონფლიქტებში. დღეს უკვე დასაბალი არაა, რომ ეს სისტემები აქტიურად იყო ჩართული თავის დროზე როგორც თალიბების წინააღმდეგ ავღანეთში, ისე სირიაში და ერაყში წარმოებულ საომარ მოქმედებებში და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია ე.წ. ISIS-ის ტერორისტული ორგანიზაციებისა თუ დაჯგუფებების წინააღმდეგ წარმოებული საბრძოლო ოპერაციების მიმდინარეობისას. ამ ქვეყნებში განხორციელებული წარმატებული კონკრეტული საბრძოლო ოპერაციების დადებით შედეგებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კოსმოსური სისტემებით მხარდაჭერის საკითხმა და მათმა ფართო გამოყენებამ.

„აშკარად ჩანს კოსმოსური სისტემებით უზრუნველყოფის პირობებში, საჰაერო და სარაკეტო თავდასხმის საშუალებათა გამოყენებით, ავიაციის მნიშვნელოვანი ძალების მოსპობამ და საჰაერო თავდაცვის სისტემების დათრგუნვამ, ასევე ენერგეტიკის და ინფრასტრუქტურის ობიექტების განადგურებამ მთლიანად დაანგრია ამ ქვეყნების ეკონომიკა და აიძულა ისინი დაჰყოლოდნენ აშშ-ს და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოთხოვნებს“.<sup>1</sup>

ანუ აშკარაა, რომ თუ გადავხედავთ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების რეალობას, ნათლად დავინახავთ, რომ საჰაერო-კოსმოსური სისტემები დღეს არა მხოლოდ სამხედრო-თავდაცვითი და სადაზვერვო-საინფორმაციო დანიშნულებით აღწევს თავისი მნიშვნელობის მწვერვალს, არამედ არის მეცნიერებისა და სამოქალაქო სექტორის (მაგალითად: ტელესაკომუნიკაციო, ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოგრაფიული და ა.შ.) თანამედროვე ტექნოლოგიების განუყოფელი ნაწილი. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, ელგუჯა მეძმარიაშვილის მიერ არაერთხელ იყო დასმული საკითხი საჰაერო კოსმოსური სისტემის შექმნის თაობაზე, რაც რეალურად განხორციელებადი საკითხია. სამწუხაროდ, 2001 წელს საქართველომ მანსი გაუშვა, რომ შექმნილიყო პირველი ქართული სატელეკომუნიკაციო თანამგზავრი, რომელიც არა მხოლოდ დიდ ფინანსურ მოგებას მოუტანდა ქვეყანას არამედ დღეს საკმაოდ წინ ვიწნებოდათ საჰაერო-კოსმოსური სისტემების განვითარების თვალსაზრისით. ეს ხდებოდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც არ არსებობდა აზერბაიჯანის კავშირგაბმულობის კოსმოსური თანამგზავრი „აზერსატი“. ეს აპარატი გაუშვეს 2013 წელს და დღეს მისი მომხმარებელი ბევრი ქართული კომპანიაა. გარდა ამისა, დღეს აზერბაიჯანს სამი ასეთი თანამგზავრი ჰყავს უკვე გაშვებული. ამ საკითხში საგულისხმოა, რომ „აზერსატი“ შეიქმნა აშშ-ს კომპანიის<sup>2</sup> მიერ დამზადებული თანამგზავრული პლათფორმის „STAR-2“-ის ბაზაზე, ხოლო ორბიტაზე მისი ფუნქციონირების ოპერატორია მალაიზიური კომპანია<sup>3</sup> [1]. თავის დროზე სწორი სახელმწიფო მიდგომისა და სწორი კომერციული გათვლით, დღეს საქართველო იქნებოდა ერთ-ერთი რეგიონალური ლიდერი საჰაერო-

1 „საჰაერო-კოსმოსური დაცვის სისტემა და მისი, განსხვავებული და მიზნობრივი კონფიგურაციით, ორბიტული კომპლექსის შექმნის აუცილებლობა საქართველოში“ - ელგუჯა მეძმარიაშვილი, ჟურნალი „სამხედრო მეცნიერება. საქართველო“, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ISSN #1(001)2018;

2 კომპანიის დასახელებაა - „ორბიტალ საიანსის კორპორეიშენ“;

3 კომპანიის დასახელებაა - „მეასატ“.

კოსმოსური სისტემების განვითარების კუთხით.

სადაზვერვო-საინფორმაციო მხარდაჭერის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სისტემა, რაც საკმაოდ სიახლეა ჩვენს ცხოვრებაში. ამ კუთხით უცხოელი სამხედრო სპეციალისტები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ პატარა ქვეყნებმა თვითონ უნდა გადანაცვლონ ეს პრობლემა, რადგან ყოველწუთიერად ყველაფერში ვერაფერ ვერ დაგვეხმარება და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ტექნოლოგიურ კატასტროფებს, ბუნებრივ კატაკლიზმებს და სხვა სამოქალაქო უსაფრთხოების კუთხით გამომწვეულ სასწრაფო ინფორმაციის მონოდებას. ასეთ შემთხვევაში, ისეთი პატარა და შეზღუდული რესურსების მქონე სახელმწიფოსთვის როგორც საქართველოა, ოპტიმალური გამოსავალი იმაში იქნება, რომ საქართველომ მოახდინოს საკუთარი ფინანსური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური რესურსების ინვესტირება, როგორც მინიმუმ რეგიონალური მასშტაბის კოსმოსური ბაზირების აპარატების შექმნასა და გამოყენებაში [1]. მათი მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა თავდაცვითი და სამოქალაქო საკითხების გადანაცვლა.

## **თქნიკისა და პროგრამული სისტემების მოქმედება და გამოყენება როგორც საბრძოლო იარაღი (WEAPONIZING HARDWARE AND SOFTWARE)**

თანამედროვე ბრძოლა და სამხედრო ოპერაციები ხასიათდება მაღალი სისწრაფით და დაპირისპირებულ მხარეებს უწევთ მოქმედება მუდმივად ცვალებად გარემოში. შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით აუცილებელია რეალურ დროში ინფორმირებულობის შენარჩუნება მონინალდმდეგესა და ვითარების შესახებ. ბრძოლის ველის აღნიშნული მახასიათებლებიდან (*სისწრაფე, მანევრირება, მოქნილი გადანაცვლებები და ა.შ.*) გამომდინარე ინფორმაციის მოპოვების გარდა დღის წესრიგში ასევე დადგა ამ ინფორმაციის რეალიზების აუცილებლობა, რომელიც გამოიხატება მანევრისა და კინეტიკური ხასიათის მოქმედებების განხორციელებით. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ნებისმიერი სადაზვერვო ინფორმაციის ეფექტურობა და მისი გამოყენების ფასეულობა მდგომარეობს ამ სადაზვერვო მასალების გამოყენების შედეგად მონინალდმდეგისთვის მიყენებული ზარალის/ზიანის მასშტაბით, რომელიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებს მის ბრძოლისუნარიანობაზე. ყოველივე ეს შესაძლებელია დისტანციური მართვის უპილოტო აპარატების გამოყენებით, რომლებიც რეალურ დროში აწვდიან კრიტიკული გადანაცვლებების მისაღებად საჭირო აუცილებელ სადაზვერვო ინფორმაციას.

მაგალითად **საინჟინრო დაზვერვის** თვალსაზრისით ეს ინფორმაცია ეხება ოპერაციის რაიონში არსებული ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო ქსელების მდგომარეობას, ბუნებრივი თუ ხელოვნური დაბრკოლებების მახასიათებლებს, ოპერაციის რაიონში შესაძლო ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგებს - ჩვენი თუ მონინალდმდეგის ძალებზე მათი გავლენების შესაფასებლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უპილოტოების საშუალებების გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს საინჟინრო-სადაზვერვო ელემენტებისთვის ფიზიკური საფრთხის ხარისხს, რაც ასევე ხელს უწყობს ძალების შენარჩუნებას.

უპილოტო აპარატებისა და სხვა მონინალდმდეგ ტექნოლოგიების სწრაფი ტემპებით განვითარებასთან ერთად იცვლება ასევე ომის წარმოების მოდელიც. დღეს უკვე აშკარაა იმის ალბათობა (კომენტარი: ანუ არის რეალური მოლოდინი), რომ წყალქვეშა უპილოტო აპარატების გამოყენების ფონზე ახლო მომავალში, საზღვაო გარემოში არსებული ვითარება იქნება რადიკალურად განსხვავებული იმ სიტუაციისაგან როგორც იყო ხოლმე აქამდე საზღვაო ომის შემთხვევაში. კერძოდ, ვინაიდან საბრძოლო მოქმედებებმა შუა ზღვიდან გადმოიწია სანაპიროსთან ახლოს, ამიტომ ეფექტური მოქმედებების თვალსაზრისით სამხედრო-საზღვაო ძალებს ექმნებათ სირთულეები ნაპირთან არსებული წყალმარჩხოების გამო. ამასთან დაკავშირებით სულ უფრო აქტუალური ხდება უპილოტო წყალქვეშა აპარატების გამოყენება და იზრდება მათზე მოთხოვნები (*შენიშვნა: მათზე მოხმარება იზრდება ასევე სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა სამრეწველო დარგების მხრიდანაც*). უკვე აშკარაა, რომ აღნიშნულ უპილოტოებს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საზღვაო გარემოში წარმოებულ მომავალ სამხედრო ოპერაციებში. დანიშნულების მიხედვით ეს აპარატები ასრულებენ შემდეგ 3 ამოცანას: დაზვერვის წარმოება, დაკვირვება და რეკოგნოსირება; მოქმედება საზღვაო ნალმების წინააღმდეგ; ბრძოლა წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ.

დღეს უკვე ბევრი ინდუსტრიულად განვითარებული და სამხედრო ძლიერებით გამორჩეული ქვეყანა აწვითარებს უპილოტოების შექმნას, წარმოებასა და მათ კომერცილიზაციას. ზოგადად უპილოტო სისტემების უპირატესობები მდგომარეობს შემდეგში: მონინალდმდეგე ძალების მიერ მისი აღმოჩენის ალბათობა საკმაოდ დაბალია, გაბარიტული ზომები შეუდარებლად მცირეა აქამდე არსებულ პილოტირებად საჰაერო



თუ წყალქვეშა აპარატებთან შედარებით და შესაბამისად თვითღირებულებაც შეედარებლად დაბალია. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ აპარატურის გამოყენება შეიძლება ისეთი მაღალი საფრთხის შემცველი საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად, სადაც დიდია პირადი შემადგენლობის ანუ ცოცხალი ძალის ფიზიკური განადგურების შანსი. გარდა ამისა, უპილოტოებს შეუძლიათ უპრობლემო მუშაობა ისეთ რთულ გარემო პირობებში, რომლებიც სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების შემთხვევებში.

აპარატების ხანგამძლეობის საკითხი დიდად ზეგავლენას ახდენს მათ მიერ შესასრულებელი მისიების შედეგებზე და ინფორმაციის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. უპილოტო სისტემების გახანგრძლივებული ოპერირება უშუალოდ ბრძოლის ველზე თუ სამხედრო ოპერაციის რაიონში უზრუნველყოფს ინფორმაციის ნაკადის უწყვეტობას და რესურსების ეკონომიას (ანუ ჩვენ თუ გვინევდა დღე-ღამის განმავლობაში ერთ კვადრატში ორი დრონის გამოყენება, დრონის ოპერირების გახანგრძლივება საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ გამონთავისუფლებული ერთი/სათადარიგო დრონი სხვა ამოცანის შესრულებისთვის). შესაბამისად, თანამდგროვე ტექნოლოგიებისა და სამეცნიერო კონსტრუქტორული იდეების განვითარება ხდება ამ სისტემების უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე აყვანის მიმართულებით.

დაზვერვის პროცესის წარმოების პარალელურად, სხვა საბრძოლო ამოცანები ასევე მოითხოვენ ისეთი შესაძლებლობების განვითარებას, როგორცაა უპილოტო სისტემების გამოყენებით მონინაალმდეგეზე პირდაპირი კინეტიკური დარტყმების განხორციელება.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველად დრონების ფართომასშტაბიანი გამოყენება დაფიქსირებულია ჯერ კიდევ ვიეტნამის ომის დროს და ამ პრაქტიკის ლოგიკური გაგრძელება იყო უპილოტო სისტემების გამოყენება სპარსეთის ყურის პირველ ომში (1990 წელი), მაგრამ ეს გამოყენება შემოიფარგლებოდა სადაზვერვო მისიებით და ფსიქოლოგიური ოპერაციების ფარგლებში პროკლამაციების გავრცელებით (ჰერიდან გადმოყრის გზით). ამ ორივე კონფლიქტს ახასიათებს ის საერთო ფაქტორი, რომ ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები წარმოებდა სახელმწიფო აქტორებს შორის. 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, როცა განსაკუთრებით გამოიკვეთა არასახელმწიფო აქტორების მიერ განხორციელებული მოქმედებების საფრთხე და მათი კატასტროფული შედეგი, დღის წესრიგში დადგა ასიმეტრიული ომის პირობებში მცირერიცხოვანი მობილური და ხშირად მშვიდობიანი მოსახლეობისგან პრაქტიკულად განსხვავებული მონინაალმდეგის განეიტრალების აუცილებლობა. ტრადიციული კონვენციური ძალების გამოყენება ამ შემთხვევაში არაეფექტურია, რადგან მოითხოვს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის გადასროლას და განლაგებას, და ხშირად შემთხვევაში მათთვის არადადამახსიათებელი ფუნქციების შესრულებას. აქედან გამომდინარე, მობილური უპილოტო სისტემების გამოყენება მონინაალმდეგესთან ბრძოლაში ჩაბმის ყველა ეტაპზე (ანუ: დაფიქსირება, ამოცნობა, გადაწყვეტილების მიღება და განადგურება) უფრო ეფექტური და ეკონომიური თვალსაზრისით უფრო გამართლებული იყო. პრაქტიკულად ამ ეტაპიდან, ჩვენ გავხდით მონმენი იმისა თუ, როგორ განვითარდა უპილოტო სისტემები დარტყმის განხორციელების შესაძლებლობების თვალსაზრისით.

უპილოტო სისტემების მიერ მაღალი სიზუსტის იარაღის გამოყენებამ, პრინციპულად ახალ საფეხურზე აიყვანა გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგიური ასპექტიც. მაგალითად, აშშ-ს საზღვაო ძალების მიერ შეიარაღებაში მიღებულია მცირე ზომის ლაზერული დამიზნების საბრძოლო იარაღი სახელწოდებით „სკალპელი“ (Scalpel), რომელიც გამოირჩევა დამიზნების მაღალი სიზუსტით და მინიმალური თანმხლები დაზიანებით. აღსანიშნავია, რომ იგი განსაკუთრებით ეფექტურია უშუალო საჰაერო მხარდაჭერის პირობებში. ეს იარაღი გამოიყენება საბრძოლო მოქმედებებისათვის ქალაქის სივრცეში (ურბანულ რაიონებში) და სპეციალური ოპერაციების განხორციელებისას. აქვე აღსანიშნავია უპილოტო აპარატებზე ბაზირებული Hellfire სისტემის, რაკეტის მოდერნიზება რომელიც ასაფეთქებელი ნივთიერების ნაცვლად, მონინაალმდეგესთან უშუალო კონტაქტამდე შლის დანის პირის მსგავს ბასრ ელემენტებს. შესაბამისად, დარტყმის შედეგად დაზიანებას იღებს მხოლოდ სამიზნე ობიექტი და გამორიცხულია მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი აფეთქების შედეგად. აღნიშნული რაკეტა გამოიყენებოდა ალ-ქაედას ტერორისტების წინააღმდეგ იემენში 2012 წელს და სირიაში 2017 წელს, როდესაც განადგურებული იქნა ალ-ქაედას ლიდერის მოადგილე აბუ ხაირ ალ მასრი [2].

სწორედ მაღალი სიზუსტის იარაღის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის ალბათობასა და მასშტაბებს. ამით განპირობებულია ის ტენდენცია, რომელიც შეინიშნება თანამედროვე სამხედრო პოლიტიკური გადაწყვეტილებების პრაქტიკაში, კერძოდ ხშირ შემთხვევაში (შენიშვნა: განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტერორისტების ცოცხალ ფარად იყენებენ სამოქალაქო პირებს) მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების შიში აღარ არის შემკავებელი ფაქტორი დარტყმის განხორციელების შესახებ კრიტიკული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას. იგივე ტენდენცია შეინიშნება ოპერატიული

და ტაქტიკური დონის სამხედრო გადაწყვეტილებების მიღებისას, როდესაც გადაწყვეტილება დარტყმის განხორციელების შესახებ უყოყმანოდ (ანუ დაუყოვნებლივ, როდესაც ბევრი ფიქრის დრო პრაქტიკულად რომ არ არის) მიიღება.

## თანამედროვე ტექნოლოგიები პოლიტიკურ და სამხედრო გადაწყვეტილების მიღებაში

აღნიშნულის ფონზე ბუნებრივად იბადება რიტორიკული კითხვა:

„რატომ არის მნიშვნელოვანი ჩვენთვის ტექნოლოგიების განვითარების გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე?“

თანამედროვე სამხედრო ხელოვნებაში აქტიურად გამოიყენება დ.ო.გ.მ.-ის (ანუ: დაკვირვება, ორიენტირება, გადაწყვეტილება, მოქმედება) კონცეფცია, რომელიც ჩამოყალიბებული იქნა აშშ-ს საჰაერო ძალების პოლკოვნიკ ჯონ ბოიდის მიერ. იგი განიხილავდა მონინალმდეგეს და საკუთარ ძალებს როგორც სისტემებს, რომელიც მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების პროცესის მეშვეობით და ეყრდნობა გარემოზე (შენიშნა: ჩვენს გარშემო არსებული ვითარება) დაკვირვებას. მონინალმდეგე თვალს ადევნებს განვითარებულ მოვლენებს და აგროვებს ინფორმაციას იმისთვის, რომ მთელი სისტემა ორიენტირებული იქნას არსებულ საფრთხეზე რეაგირებისთვის. ჯ.ბოიდის აზრით, დ.ო.გ.მ.-ის ციკლის ორიენტირების ფაზა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან თუ მონინალმდეგე აღიქვამს საფრთხეს არასწორად ან ვერ გეულობს თუ რა ხდება მის გარშემო, მაშინ იგი თავისი ძალებისა და თავისი ამროვნების ორიენტირებას მოახდენს არასწორი მიმართულებით და საბოლოო ჯამში მივა არასწორ/მცდარ გადაწყვეტილებამდე. ჯ.ბოიდი აღნიშნავდა, რომ მონინალმდეგის დ.ო.გ.მ.-ის ციკლის სიჩქარე და ჩვენს ძალების ციკლის სიჩქარე შეიძლება განსხვავდებოდეს. ამ შემთხვევაში ჩვენი უმთავრესი მიზანია ის, რომ მაქსიმალურად დავაჩქაროთ ჩვენი დ.ო.გ.მ.-ის ციკლი და შევანელოთ მონინალმდეგის დოგმ-ის ციკლი. ანუ პირობითად მოვახდინოთ ჩვენი დ.ო.გ.მ.-ის წრის ჩასმა მონინალმდეგის დ.ო.გ.მ.-ის წრეში. ამის შედეგად, მონინალმდეგე ყოველთვის იძულებული იქნება, რომ იმყოფებოდეს ჩვენს გადაწყვეტილებებზე და მოქმედებებზე რეაგირების რეჟიმში, რითაც ჩვენ ყოველთვის შევინარჩუნებთ სტრატეგიულ ინიციატივას. ყოველივე ეს შესაძლებელია დაზვერვის ძალებისა და საშუალებების ოპტიმალური განაწილებისა და ეფექტური მართვის მეშვეობით, რომელიც კომბინირებულია ინფორმაციის მაღალ ხარისხიან/კვალიფიციურ მართვასთან/მენეჯმენტთან, რაზეც ეყრდნობა გადაწყვეტილების მიღება. ამ კონცეფციის უნივერსალურობა მდგომარეობს იმაში, რომ მისი გამოყენება შეიძლება როგორც კონვენციურ ანუ სახელმწიფო აქტორთან მიმართებაში, ისე ჰიბრიდულ არასახელმწიფო აქტორთან მიმართებაშიც.

აქედან გამომდინარე ლოგიკურია დაზვერვის კრიტიკული როლის გააზრება და მისი ეფექტურობის/პროდუქტიულობის ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებების მუდმივი გატარება სხვადასხვა მიმართულებით. აქვე არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაციის დამუშავება და მისი ინტეგრირება ბრძოლის მართვის სისტემაში. ამ თვალსაზრისით ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება ემსახურება ოპერაციების მართვისა და სიტუაციური ინფორმირებულობის ხარისხის ამაღლებას, მაგალითად: C2PC სისტემა ფართოდ გამოიყენება ნატოს წევრ ქვეყნებში და ემსახურება ბრძოლის ავტომატური მართვის ხარისხის ამაღლებას და სამეთაურო შემადგენლობის მუდმივ რეჟიმში განახლებადი ინფორმაციით უზრუნველყოფას.

თავის მხრივ, მონაცემთა სივრცითი მოდელირებისა და ანალიზის ტექნოლოგიები, როგორცაა გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემა (გ.ი.ს.), გამოყენება სივრცითი მონაცემების მართვის, გადაწყვეტილების პროცესის ოპტიმიზაციასა და სივრცით დაგეგმვის გაუმჯობესების საქმეში.

გ.ი.ს.-ების მეშვეობით შესაძლებელია ბრძოლის ველის ფიზიკური გარემოს სრული სამგანზომილებიანი სურათის შექმნა და საჭიროების შემთხვევაში მისი კრიტიკული კომპონენტების ანალიზი. მაგალითად, როგორცაა: თვალთვალისაგან და ცეცხლისგან დაფარული ზონები, გადაადგილების მარშრუტის ზუსტი მანძილების გამოთვლა, დროში უმოკლესი მარშრუტის შერჩევა, ზედაპირების დახრილობის ხარისხი და ა.შ. გ.ი.ს.-ები ათეული წლებია აქტიურად გამოიყენება აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში. მაგალითად, პროგრამები ArcGIS Military Analyst, ERDAS IMAGINE, „SkylineGlobe suites“ და „TerraExplorer“ მნიშვნელოვნად ეხმარებიან სხვადასხვა ფართო სპექტრის ოპერაციების სივრცით/დროით დაგეგმვაში [3].

აქვე, სამართლიანობისთვის უნდა აღვნიშნოთ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ტენდენცია კიბერ იარაღის შექმნის კუთხით. ყოველივე ეს განაპირობებს ბრძოლის გადატანას არაფიზიკურ დომენში,



სადაც მიყენებული ზიანი არანაკლებ მნიშვნელოვანია. მაგალითად, 2010 წელს ირანის ისლამური რესპუბლიკის ბირთვულ ობიექტებზე განხორციელებული კიბერშეტევა ვირუს „სტაქსნეტის“ (Stuxnet) გამოყენებით, რომელიც, როგორც მიიჩნევენ განხორციელებული იყო აშშ-სა და ისრაელის (შენიშვნა: ეს ჯერ კიდევ ოფიციალურად არაა დამტკიცებული) მიერ. დღემდე ეს ოპერაცია სადაო საკითხად ითვლება პრევენციული დარტყმის მაგალითის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ამ დარტყმას არ ჰქონდა სასიკვდილო ხასიათი ანუ ამ დარტყმას არც ერთი ადამიანის სიცოცხლე არ შეუწირავს.

## ტექნოლოგიები და სამართლებრივი ვაკუუმი

არასწორი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ თანამედროვე საბრძოლო მოქმედებები მოითხოვს მხოლოდ ტექნოლოგიურ მხარდაჭერას ისე, რომ დავივიწყოთ ანუ იგნორირებული იყოს ჰუმანიტარული და სამართლებრივი ასპექტები. კერძოდ, სახეზეა დისბალანსი ტექნოლოგიურ განვითარებასა და „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის“ ევოლუციას შორის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1907 წლის ჰააგის კონვენციის მიერ ჩამოყალიბდა პირობები, რომლის გათვალისწინებით კონფლიქტი მონაწილე ნებისმიერი პირი შეიძლება ჩაითვალოს კომბატანტად, კერძოდ: იგი უნდა იყოს განვერთანებული ფორმალურ სტრუქტურაში და უნდა იმყოფებოდეს კონკრეტული პასუხისმგებელი პირის მეთაურობის ქვეშ, უნდა ატარებდეს განმასხვავებელ ნიშნებს რომ შეიძლებოდეს მათი დისტანციიდან ამოცნობა, ღიად უნდა ატარებდეს იარაღს და მოქმედებდეს ომის კანონებისა და ტრადიციების შესაბამისად [4].

აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: როგორ შეგვიძლია განვსაზღვროთ დრონის ოპერატორის სტატუსი? არის თუ არა ის კომბატანტი თუ სამოქალაქო პირი, რომელიც პირდაპირ მონაწილეობს კონფლიქტში? ის ღიად არ ატარებს იარაღს, ხშირად არის სამოქალაქო პირი და შესაბამისად არა აქვს განმასხვავებელი ნიშნები და ზოგიერთ შემთხვევაში წარმოადგენს კონტრაქტით მომუშავე სპეციალისტს. თუ შევთანხმდებით, რომ ეს პიროვნება არის კომბატანტი, შესაბამისად მან უნდა დაიცვას „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის“ ისეთი პრინციპები როგორც არის: პროპორციულობა, განსხვავებითობა კომბატანტსა და სამოქალაქო პირებს შორის და სხვა. ამ შემთხვევაში ვინ აგებს სამართლებრივ პასუხს, როდესაც ტექნიკური თუ პროგრამული გაუმართაობის გამო ხდება თვითნებური გასროლა საბრძოლო იარაღიდან, რომელსაც ეწირება მშვიდობიანი მოსახლეობა? ან როდესაც ოპერატორის მიერ ხდება არასწორი ვიზუალური იდენტიფიცირება სამხედრო და სამოქალაქო პირს შორის, და აქედან გამომდინარე იღუპება სამოქალაქო. არის თუ არა უპილოტო სისტემის მწარმოებლის და/ან მის შემდგომ ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი კომპანიების სამართლებრივი პასუხისმგებლობა და რა პროპორციით უნდა მოხდეს ბრალის განაწილება?

სამართლებრივი ვაკუუმი უფრო აშკარა ხდება როდესაც გვინვეს ბრძოლის ველზე რობოტების ფაქტორის გაანალიზება. შეიძლება ითქვას, რომ დღეს უკვე საკმაოდ მაღალ დონეზე დგას ხელოვნური ინტელექტისა და რობოტების შექმნის საკითხი და თითქმის სრულყოფილებამდეა აყვანილი მათი მოქმედების ალგორითმი. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე რობოტები მხოლოდ წინასწარ დაპროგრამირებული აპარატები კი არ არიან ერთი კონკრეტული ოპერაციის შესასრულებლად, არამედ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მათ შეუძლიათ დამოუკიდებელად აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება და მოქმედება.

მაგალითად, საშუალო სიმაღლეზე და შორ მანძილზე მოქმედი ზოგიერთი უპილოტო საფრენ თუ წყალქვეშა აპარატს აქვს ავტონომიურად/დამოუკიდებლად აფრენა-დაჯდომის თუ წყალში მოქმედების (დაძვრა-გაჩერების, ჩაყვინთვა-ამოცურვის) შესაძლებლობა. ანუ პრაქტიკულად, რობოტებისა და დრონების ერთმანეთისგან განსხვავების მომენტი ზოგადად მდგომარეობს მათი დამოუკიდებლად ანუ ადამიანის ჩარევის გარეშე მოქმედების შესაძლებლობაში - მოახდინონ მანევრირება, აღმოაჩინონ და გაანადგურონ სამიზნე ობიექტები [5]. სწორედ აქ იკვეთება არსებითი პრობლემა, რომელიც ვერ ჯდება სამართლებრივ ჩარჩოში, კერძოდ: არ არის განსაზღვრული რობოტების სამართლებრივი სტატუსი - იგი კომბატანტია თუ არა? ასევე ბუნდოვანია პასუხისმგებლობის საკითხი - ვინ უნდა აგოს პასუხი, როცა ხელოვნური ინტელექტით მართვადი რიბოტიზირებული სისტემა ანადგურებს სამოქალაქო/მშვიდობიან ობიექტს (მაგალითად: ამოცნობის პარამეტრებში არსებული ნაკლოვანებების გამო რობოტი ანადგურებს ვიდეო ჟურნალისტს, რომელსაც მხარზე უდებს ვიდეო ვამერა და არა თუნდაც ყუმბარტმყორცნი).

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნული პრობლემის გათვალისწინებით, საერთაშორისო საზოგადოებამ სავარაუდოდ უნდა შეიმუშაოს ახალი მარეგულირებელი კონვენციები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქის ყველა გამოწვევა, მოხდება მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან და რომელიც აღიარებული იქნება ყველა იმ სახელმწიფოს მიერ რომელიც მონაწილეობს ამ პროცესში. ასევე, აუცილებელია საერთაშორისო კონსენსუსი კანონმდებლობაზე რომელიც განსაზღვრავს დრონების თუ რობოტიზირებული სისტემების გამოყენებით დარტყმების განხორციელებას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. „საჰაერო-კოსმოსური დაცვის სისტემა და მისი, განსხვავებული და მიზნობრივი კონფიგურაციით, ორბიტული კომპლექსის შექმნის აუცილებლობა საქართველოში“ - ელგუჯა მეძმარიაშვილი, ჟურნალი „სამხედრო მეცნიერება. საქართველო“ გვერდი 10 და 17, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ISSN #1(001)2018.
2. <https://www.wsj.com/articles/secret-u-s-missile-aims-to-kill-only-terrorists-not-nearby-civilians-11557403411> – The Wall Street Journal, May 19, 2019 – სტატია: “Secret U.S. Missile Aims to Kill Only Terrorists, Not Nearby Civilians”;
3. „გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები“, ზურაბ ლაომვილი, თბილისი, 2021;
4. [https://www.academia.edu/39701603/International\\_Armed\\_Conflict\\_and\\_Drone\\_Warfare\\_Quest\\_for\\_a\\_New\\_Apace\\_in\\_International\\_Humanitarian\\_Law?email\\_work\\_card=view-paper](https://www.academia.edu/39701603/International_Armed_Conflict_and_Drone_Warfare_Quest_for_a_New_Apace_in_International_Humanitarian_Law?email_work_card=view-paper) - International Journal of Law, Humanities & Social Science, volume 2, issue 4 (March, 2018), p.p. 70-82, - International Armed Conflict and Drone Warfare Quest for a New Apace in International Humanitarian Law – Abdul Alim;
5. [https://www.researchgate.net/publication/322276345\\_Robotic\\_Warfare\\_Law\\_of\\_Armed\\_Conflict\\_and\\_Law\\_of\\_Robotic\\_Armed\\_Conflict](https://www.researchgate.net/publication/322276345_Robotic_Warfare_Law_of_Armed_Conflict_and_Law_of_Robotic_Armed_Conflict) – “ROBOTIC WARFARE, LAW OF ARMED CONFLICT, AND LAW OF ROBOTIC ARMED CONFLICT” - Kadir Alpaslan Demir, Ebru Caymaz.

# იხველება თუ არა ომის ბუნება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე?

**ვიცა-კოლკოვნიკი თორნიკე ასათიანი**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

## აბსტრაქტი

ნაშრომი კრიტიკულად განიხილავს თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენას ომის ბუნების კლასიკურ კლავსურ გაგებაზე. შესავალი მოიცავს პრობლემის რაობას და ძირითად საკვლევ კითხვას - იცვლება თუ არა ომის ბუნება თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალობაზე.

საკითხის ფორმულირების შემდგომ, ჩამოყალიბებულია თუ რას გულისხმობს და რა ფაქტორებს მოიცავს ომის ბუნება, რომელიც საერთო აღიარებით უცვლელია მიუხედავად ეპოქებისა.

ომის ბუნების თითოეული ფაქტორი განხილულია იმ თანამედროვე ტექნოლოგიებთან მიმართებაში, რომელთაც ყველაზე მეტი გავლენა აქვთ მასზე: რობოტიზაცია - საფრთხის აღქმაზე და წინააღმდეგობრიობაზე, არალეგალურ მეთოდებს თუ საშუალებებს და საინფორმაციო განზომილებას - ძალადობრიობაზე, ბრძოლის სივრცის ვიზუალიზაციის ტექნოლოგიებს - ომის ბურუსზე, კიბერ დომენს - თვით ომის არსზე.

დასკვნაში მოცემულია მსჯელობის შეჯამება და პასუხი აქვს გაცემული მთავარ კითხვას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად თანამედროვე ტექნოლოგიების უდიდესი გავლენისა ომის ბუნებაზე და არა მხოლოდ მის მახასიათებლებზე, ომის კლავსურ ბუნება და მისი შემადგენელი ფაქტორები ჯერაც ძირითად უცვლელი რჩება, მაგრამ განიცდის გარკვეულ სახეცვლილებას, ტრანსფორმაციას, ხოლო ზოგიერთი ფაქტორი პოტენციურად შესაძლოა მომავლაში სრულიად შეიცვალოს ან ნივთიერდეს (მაგალითად საფრთხის აღქმა და შიშის ფაქტორი სრული რობოტიზაციის პირობებში).

საბოლოოდ, წარმოდგენილია რამდენიმე წინადადება საქართველოს თავდაცვის სფეროსთან მიმართებით:

- თანამედროვე ტექნოლოგიების პრიორიტიზირება;
- უპილოტო აპარატებთან ერთად მათი სანაღმდეგო საშუალებების შექმნა და მწყობრში ჩაყენება;
- თანამედროვე უნარ ჩვევების მქონე პ/შ-ის მოზიდვა;
- საინფორმაციო ოპერაციების ელემენტების ცამოყალიბება;
- თავდაცვის ძალებში კიბერ სარდლობის შექმნა და კიბერ შესაძლებლობების სრული სპექტრის ჩამოყალიბება.

### **საკვანძო სიტყვები:**

ომის ბუნება, სამხედრო ტექნოლოგიები, მომავალი ომი, ახალი თაობის სამხედრო ხელოვნება

# IS THE NATURE OF WAR CHANGES IN THE WAKE OF DEVELOPMENT OF MODERN MILITARY TECHNOLOGIES?

**LIEUTENANT COLONEL TORNIKE ASATIANI**

PHD IN HISTORY (GEORGIAN INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY), MA IN DEFENSE STUDIES (KING COLLAGE LONDON). INVITED LECTURER AT ILIAS STATE UNIVERSITY, FACULTY OF ARTS AND SCIENCES.

## ABSTRACT

The essay critically assesses influence of contemporary technologies on classical Clausewitzian understanding of nature of war. The introduction consists of problem framing and the main question to answer – is the nature of war changing together with the development of the new military technologies.

Each component of the nature of war is described and discussed in relation to the modern technology, which has the most influence on it:

- Danger and friction of war, in connection with robotization and automatization;
- Violence, with non-lethal weapon system, EW capabilities, information domain operations and PSYOPS;
- Fog of war – with big data, modern battlefield visualization devices and network centric warfare;
- Cyber domain discussed in connection with whole meaning of war itself.

The summary provides assumptions based on analyses in the previous sub-chapters and offers the answer on the main question, which states, that: despite significant influence of modern technologies on nature of war, it still stays generally unchanged, though some of its components are slightly modified and potentially, at least one of them – danger of war, can be eliminated in future if full automatization and robotization will be reinforced due to certain circumstances.

Finally, some suggestions toward Georgian Defense Forces are provided as following:

- Prioritization and investment in procurement of modern technologies, which are financially feasible for Georgia to purchase;
- To develop counter-UAV capabilities, together with procurement of UAVs;
- To focus on recruitment of proper personnel to easier transform them into educated, technologically savvy officers, NCOs and corporals with ability to acquire the skillset necessary to contemporary warfare;
- Establishment of Information Operations elements within the Georgian Defense Forces.
- Establishment of cyber command with full spectrum of cyber capabilities, including cyber offense and cyber intelligence.

### KEYWORDS:

Nature of war, Military technologies, Future war, New generation warfare

გენ. ჯეიმს მატისი: "I don't have the answers. It's going to be one of the big challenges for people who don't have the color of my hair, they are going to have to deal with this in the near term."<sup>1</sup>

## შესავალი

სამხედრო თეორიაში კლაუზევიცის ეპოქიდან მოყოლებული საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ომის წარმოების მახასიათებლები პერიოდულად იცვლება, სამხედრო ხელოვნებისა და ტექნოლოგიების ეპოქალურ ცვლილებებს ე.წ. სამხედრო საქმეში რევოლუციების<sup>2</sup> თუ ე.წ. ომის თაობათა ურთიერთ მონაცვლეობის კვალდაკვალ, მაგრამ ომის ბუნება, რომელიც მოიცავს - ძალადობრიობას, გაურკვევლობას, წინააღმდეგობა-დაპირისპირებას და შემთხვევითობას,<sup>3</sup> უცვლელი რჩება კაცობრიობის არსებობის ყველა ეტაპზე.<sup>4</sup> ეს აქსიომური ჭეშმარიტება გარკვეულწილად ეჭვის ქვეშ დადგა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებით და ომის წარმოების წესში კარდინალური ცვლილებების ფონზე.<sup>5</sup>

მოცემული თემა არ შეადგენს მხოლოდ თეორიული განსჯის საგანს. მას პირდაპირი პრაქტიკული დანიშნულებაც გააჩნია, რადგან თუ გამოვლინდება, რომ ხდება გარკვეული ცვლილებები ომის წარმოების ბუნებაში, ეს იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას პირადი შემადგენლობის შერჩევაზე, მათ მომზადებაზე, დოქტრინებზე, პერსპექტიული ტექნოლოგიების დანერგვის არჩევანზე და ოპერაციების დაგეგმვასა თუ წარმოებაზე. სწორედ ამიტომ, მსჯელობა ომის ბუნებისა და მახასიათებლების შესახებ ცვლილებების თაობაზე ამაჟამად ისევე აქტუალურია, როგორც სამხედრო საქმეში წარსულში მიმდინარე რადიკალური ცვლილებების ეპოქებში. ის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური გარღვევები იწვევს ომის მახასიათებლების ცვლილებას, აღარ არის დავის საგანი და აღიარებული მოცემულობა.<sup>6</sup> უფრო რთული საკითხია, რამდენად ეხება ეს ცვლილებები თვით ომის ბუნებასაც. სწორედ ამ უკანასკნელ თემას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

შესავლის შემდგომ, დახასიათებული იქნება თუ რა იგულისხმება ტერმინებში "ომის ბუნება" და "ომის მახასიათებლები" და რა პრინციპული განსხვავებაა მათ შორის. შემდგომ, სათითაოდ განიხილება მხოლოდ ის თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიები თუ ტენდენციები, რომელთაც ყველაზე მეტი გავლენა აქვთ ომის ბუნებაზე. საბოლოოდ, დასკვნაში მოყვანილი იქნება ზემოთხსენებული საკითხების განხილვის შეჯამება და პასუხი გაცემა ნაშრომის მთავარ კითხვას - რამდენად იცვლება ომის ბუნება ახალი ტექნოლოგიების გეგავლენით.

## ომის ბუნება და მახასიათებლები

კლაუზევიცის მიხედვით, ომის ბუნება არის ე.წ. ობიექტური, უცვლელი შემადგენელი ომის არსისა, რომელიც მოიცავს: ძალადობრიობას; გაურკვევლობას ანუ "ომის ბურსს"; მოვლენათა ალბათობის არასწორხაზოვან გავრცელებას და შესაძლებლობათა გაჩენის ან დაკარგვის მოცემულობას; დაბოლოს ფიზიკურ თუ სხვა, არახელშესახებ წინააღმდეგობებს.<sup>7</sup> ეს ყოველივე არის ის „რაც განასხვავებს რეალურ ომს, ფურცელზე დასახული ომისგან“.<sup>8</sup>

გენ. მატისი ასევე ხაზს უავამს, კვლავ კლაუზევიცის დასტურად,<sup>9</sup> რომ ომის ბუნება აგრეთვე შეიცავს ისეთ ფუნდამენტალურ ასპექტებს როგორც არის ადამიანური შიშის, საფრთხის შეგრძნების ფაქტორი და მასთან ბუნებრივად დაკავშირებულ სიმამაცეს ანუ გამბედაობას, ადამიანური ფაქტორით გამონვეულ შეცდომებსა და

1 Walter Pincus. General James Mattis and the Changing Nature of War. 02 February 2021

[https://www.thecipherbrief.com/column\\_article/general-james-mattis-and-the-changing-nature-of-war](https://www.thecipherbrief.com/column_article/general-james-mattis-and-the-changing-nature-of-war)

2 MacGregor Knox and Williamson Murray, eds., The dynamics of military revolution, 1300-2050, Cambridge University Press, Cambridge, 2001, გვ. 6

3 გენ. დავით თევზაძე. კლაუზევიცის დიდი ომის თეორია და "დიდი ომის" ჩიხი

<https://1tv.ge/video/davit-tevzadze-klauzevics-didi-omis-teoria-da-didi-omis-chikhi/>

4 "The nature of war—the use or threat of violence, as an extension of politics, to compel the enemy to our will within the fog, friction and chance of combat—is immutable. However, the character of war, or its expression and form, changes..." - Gen. M. A. Milley. Chief of staff of the Army: Changing Nature of War Won't Change Our Purpose. 01 October 2016

<https://www.ausa.org/articles/changing-nature-war-wont-change-our-purpose>

5 Jerry Wayne Champion, II. The Sixth Military-Revolution: Warfare in the Fourth Industrial Revolution. Fort Leavenworth, Kansas. 2019

<https://apps.dtic.mil/sti/pdfs/AD1105017.pdf>

6 Gen. Joseph F. Dunford Jr. The Character of War and Strategic Landscape Have Changed. JFQ 89, 2nd Quarter 2018

<https://apps.dtic.mil/sti/pdfs/AD1056962.pdf>

7 Antulio J. Echevarria. Globalization and the Nature of War. Army War College pub. March, 2003. გვ V-VI

8 Karl Von Clausewitz. On War. Book 1. Chapter 7. Friction in War. trans. COL James John Graham. London. N. Trübner. 1873

9 Ibid. Chapter 4. Danger in War



მეომრების, მეთაურების უნარ-ჩვევებს.<sup>10</sup>

რაც შეეხება ომის მახასიათებლებს, ეს სუბიექტური მხარეა ომისა და შესაბამისად ცვალებადიც. იგი შეიცავს: სამხედრო ძალებს, მათი დოქტრინებს, შეიარაღებას, სპეციფიკურ გეოგრაფიულს გარემოს და სხვა შემადგენლებს, რომელიც თითოეული სამხედრო დაპირისპირებისთვის განსხვავებულია და დამახასიათებელი.<sup>11</sup> ომის მახასიათებლებს მოცემული ნაშრომი არ ეხება, რადგან ეს არ წარმოადგენს განხილვის თემას. ყურადღება გამახვილდება მხოლოდ ომის ბუნების შემადგენელი ელემენტების შესაძლო გარდაქმნაზე თუ სახეცვლილებებზე.

## ომის ბუნებაზე შესაძლო გავლენის მეორე ტექნოლოგიები და ტენდენციები

### რობოტიზაცია და ავტონომიურობა

ახალი ტექნოლოგიებიდან, ყველაზე დიდი გავლენა ომის ბუნებაზე, ალბათ სხვადასხვა დონის ავტონომიურობის მეორე უპილოტო შეიარაღების სისტემებს და საბრძოლო რობოტებს გააჩნიათ. პირველ რიგში ეს ეხება ომის ბუნების ისეთ კომპონენტს, როგორც არის დაპირისპირებულ მხარეზე ძალადობრივი ზემოქმედების განხორციელებით განცდილი ფსიქოლოგიური და ფიზიკური წნეხის თუ ბრძოლაში ჩართულობით გამოწვეული საფრთხის აღქმის, მარტივად რომ ითქვას შიშის ქვეშ გადანაცვლებების მიღების პროცესის დინამიკის აბსოლუტური ცვლა.

პირველად ვაცობრიობის ისტორიაში, ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში განვითარებული სისტემები, რომელთა გაუმჯობესება და ავტონომიურობის ხარისხის ამაღლება კიდევ გრძელდება, იძლევა საშუალებას მონინალმდეგზე ზემოქმედება განხორციელდეს არა უბრალოდ შორი დისტანციიდან, არამედ საბრძოლო მოქმედებების თეატრიდან სრულიად მონყვეტილი და უშუალო კონტროლქმედებების საფრთხისგან აბსოლუტურად დაცული ვითარებიდან. ეს მოცემულობა ფაქტიურად ანიველირებს ომის ბუნების ისეთ ფაქტორს როგორც არის საფრთხე, შიშის აღქმა და მის დასაძლევად აუცილებელი სიმამაცე. მიუხედავად ამისა, რჩება ზოგადი საფრთხე არაპირდაპირი კონტროლქმედებებისა, თუმცა ამგვარი საშიშროება არა იმდენად ომის საფრთხეს უკავშირდება, მისი პირდაპირი ემპირიული გაგებით, არამედ გადანაცვლებების მიღების პასუხისმგებლობას და შედეგების კალკულაციას.

თუ ვვლავ გენ. მატისის სიტყვებს დავესესხებით: “რა მოხდება თუ ჩვენ გავაქრობთ შიშის ფაქტორს რობოტებისა და ავტონომიური სისტემების გამოყენებით? რა დაემართება ომის ფუნდამენტურ ბუნებას? როგორ უნდა შეაჩერო ომი, რომელშიც ომის მთავარი იარაღი ადამიანი აღარ არის და შიშის ფაქტორი აღარ იქნება გასათვალისწინებელი?”<sup>12</sup> ამავე მიზეზთა გამო ადვილდება მონინალმდეგის მოკვლის (განადგურების) ზღვარის გადალახვის გაადვილება, რაც ზოგჯერ იწვევს ძალადობის განხორციელებაზე ან მისი ზომის განსაზღვრაზე პასუხისმგებლობის აღქმის ნაკლებობას და არაადეკვატურობას. ყოველივე ამას შეუძლია სერიოზულად შეცვალოს ომის დინამიკა და მოთხოვნები სამხედროების თუ მათი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიმართ.

## ხელოვნური ინტელექტი და გადანაცვლებების ავტონომიურად მიღების პროცესი

წინა ქვეთავში აღწერილ ასპექტებს უკავშირდება ასევე ცვლილებები გადანაცვლებების მიღების პროცესში. სადღეისოდ, სამიზნის ამოცნობის და პოზიტიური იდენტიფიკაციის მოპოვების უზრუნველმყოფი ტექნოლოგიები იმდენად, ვითარდება, რომ შესაძლებელი ხდება ადამიანური ფაქტორის ჩარევის გარეშე მოხდეს მიზნებზე ზემოქმედების (ე.წ. თარგეთინგის) პროცესის სრული ციკლის აღსრულება ზეგავლენის ანუ ამ შემთხვევაში განადგურების ეტაპის ჩათვლით. სინამდვილეში, აღწერილ პროცესში ადამიანური ფაქტორის შენარჩუნება სადღეისოდ და კიდევ უფრო მეტად უახლოეს მომავალში უფრო მორალურ და იურიდიულ, საკანონმდებლო კატეგორიებს უკავშირდება ვიდრე ტექნიკურ აუცილებლობას. ამის გამო აქტუალურია დისკუსია რა ფორმით

10 Walter Pincus. General James Mattis and the Changing Nature of War. 02 February 2021 [https://www.thecipherbrief.com/column\\_article/general-james-mattis-and-the-changing-nature-of-war](https://www.thecipherbrief.com/column_article/general-james-mattis-and-the-changing-nature-of-war)

11 გენ. დავით თევზაძე. კლაუზევიცის დიდი ომის თეორია და “დიდი ომის” ჩიხი <https://1tv.ge/video/davit-tevzadze-klauzevics-didi-omis-teoria-da-didi-omis-chikhi/>

12 Walter Pincus. General James Mattis and the Changing Nature of War. 02 February 2021 [https://www.thecipherbrief.com/column\\_article/general-james-mattis-and-the-changing-nature-of-war](https://www.thecipherbrief.com/column_article/general-james-mattis-and-the-changing-nature-of-war)

უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ადამიანური ფაქტორის შენარჩუნება მიზნებზე ზემოქმედების პროცესში, ისე რომ არ შენელებს ოპერატიული აუცილებლობით ნაკარნახები გადაწყვეტილების მიღების სისწრაფე თანამედროვე დინამიურ ბრძოლის ველზე და ამავე დროს გარანტირებული იქნეს, გადაწყვეტილების მიღებაში ადამიანის უპირობო მონაწილეობა.<sup>13</sup>

საღვთისოდ, არსებობს კონსენსუსი, ადამიანის ფაქტორის მიზნებზე ზემოქმედების პროცესში (ე.წ. human in the loop) შენარჩუნების შესახებ, მაგრამ თუ წარმოვიდგინოთ მომავლის მსხვილმასშტაბიან მაღალი ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტს მეტ-ნაკლებად თანაბარ (ე.წ. near peer) დაპირისპირებულ სახელმწიფოთა შორის, ბრძოლის ტემპი და გამარჯვების ფასი იმდენად მაღალი იქნება, რომ სრულიად დასაშვებია, რომელიმე მხარემ უკუაგდოს ეთიკური მოსაზრებები ცეცხლის წარმოების პროცედურების შესამოკლებლად და დროის მოსაგებად. ამგვარად, გარკვეულ ვითარებაში, არსებობს ალბათობა შეიარაღების სისტემების სრული ავტომატიზაციის, რაც უკვე ეჭვგარეშე შეცვლის ომის აქამდე ნაცნობ ბუნებას.

პოტენციურად შესაძლებელია განადგურებაზე სრული პასუხისმგებლობა გადავიდეს ავტომატიზირებულ სისტემებზე, რითაც გამოირიცხება ადამიანური ფაქტორი და შესაბამისად სამხედროთა პასუხისმგებლობაც სხვა პლასტში გადავა, უფრო ზოგადში და არა კონკრეტულ ქმედებებზე. ეს ბუნებრივად მოახდენს გავლენას პ/შ-ის შერჩევის მოთხოვნებზეც. მიზნის გამოვლენის, მიდევნების, ამოცნობის და განადგურების პროცესი სრულიად რეალისტურია მთლიანად ავტომატიზირებული იქნეს, რაც ცხადია აბსოლუტურად შეცვლის ომის ბუნებას და მთლიანად გამოირიცხავს ადამიანურ ფაქტორს, ტაქტიკურ დონეზე მაინც. ამრიგად, ხელოვნური ინტელექტი და C2-ის თანამედროვე სისტემები უკვე ეხებიან ომის ბუნებას და მის მოდიფიცირებას ახდენენ, ხოლო მომავალში პოტენციურად ხელენიფებათ მთლიანად შეცვალონ იგი.

## **გამდიდრებული რეალობა (AUGMENTED REALITY) და საბრძოლო სივრცის ვიზუალიზაცია - ომის ნისლის გაფანტვა?**

ერთ-ერთი მთავარი და ურყევად უცვლელი შემადგენელი ომის ბუნების ნამდვილად არის ე.წ. ომის ბურუსი ან ნისლი, რაც ალფეგორიულად გამოხატავს იმ მუდმივად ცვლად, ამოუწურავ, დიდნილად უცნობ, ინფორმაციას საბრძოლო სივრცის შესახებ, რომელიც თან ახლავს ნებისმიერ საომარ მოქმედებებს. მონიშნაღმდეგის და საბრძოლო გარემოს შესახებ ცოდნის ხარისხი სამხედრო ისტორიის მანძილზე მუდმივად იცვლებოდა, თუმცა თანამედროვე ტექნოლოგიებმა ამ სფეროშიც მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინეს. ბრძოლის ველის ვიზუალიზაციის საშუალებები და სიტუაციური სიფხიზლის სისტემები განუმოძღვრეს უადვილებს მეთაურებს სივრცესა და მოვლენებში ორიენტირებას. თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელი ხდება უკვე სამ-განზომილებიანი სიტუაციური სურათის ფლობაც და არა მარტო შტაბებში ან სამხედრო ტექნიკაში, არამედ ქვეითი ჯარისკაცების ალჭურვილობითაც კი, რაც ტაქტიკურ დონეზე ე.წ. გამდიდრებული რეალობის ოპტიკური მონაცემებით მიიღწევა.<sup>14</sup> ამას ემატება სატელიტური თვალთვალის, უპილოტო საჰაერო აპარატების, რადიო-გადაჭერის საშუალებების და სხვა სენსორების მომაცემების რეალური დროის მასშტაბში სრული ინტეგრაციით ბრძოლის ველის ფაქტიურად სრულყოფილი უტყუარი სურათის შექმნა. 5G ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა კი, კიდევ უფრო სწრაფს გახდის ყოველივე ამ ინფორმაციის ნაკადების შერწყმას და გავრცელებას. ამასთანავე, დიდ მონაცემთა დამუშავების (Big Data) ტექნოლოგიები აადვილებს უზარმაზარი რაოდენობის სადაზვერვო მასალების დამუშავებას და მომხმარებელთათვის მიწოდებას. ყოველივე ეს არის საომარი მოქმედებების წარმოების თანამედროვე კონცეფციის - ე.წ. ქსელცენტრული სამხედრო ხელოვნების (Network Centric Warfare, NCW)<sup>15</sup> ნაწილი. აღწერილი ტექნოლოგიები პრაქტიკულად აქარწყლებს ბრძოლის ბურუსის გავლენას საომარ მოქმედებებზე. თუმცა ეს მხოლოდ ეხება ტექნოლოგიურად დანინაურებული არმიების დაპირისპირებას შედარებით ჩამორჩენილ მონიშნაღმდეგესთან.

ომის ბუნების კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილის - ომის ბურუსის აბსოლუტურად ნიველირება თანამედროვე ტექნოლოგიებითაც შეუძლებელია, მაგრამ გარკვეულ პირობებში მისი მნიშვნელობა იმდენად მცირდება, რომ საბრძოლო მოქმედებებზე მინიმალურადღა ზემოქმედებს.

13 Vincent Boulanin, Neil Davison, Netta Ggoussac, Moa Peldán Carlsson. Identifying Practical Elements of Human Control. SIPRI, ICRC. 2020

14 Mark A. Livingston, Lawrence J. Rosenblum, Dennis G. Brown, Gregory S. Schmidt, Simon J. Julier, Yohan Baillot, J. Edward Swan II, Zhuming Ai, and Paul Maassel. Military Applications of Augmented Reality <https://apps.dtic.mil/sti/pdfs/ADA638065.pdf>

15 David S. Alberts John J. Garstka Frederick P. Stein. Network Centric Warfare: Developing and Leveraging Information Superiority. 2nd Edition (Revised). CCRP. 2000

[http://www.dodccrp.org/files/Alberts\\_NCW.pdf](http://www.dodccrp.org/files/Alberts_NCW.pdf)



## ინფორმაციული დომენი და არალეთალური იარაღი

ომის ბუნების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს მისი ძალადობრიობა, რაც პირველ რიგში ყოველთვის გამოიხატებოდა ფიზიკური ძალადობით. კაცობრიობის განვითარებამ აქვს შეიტანა გარკვეული კორექტივები, მაგრამ ომის ბუნების შემადგენელი ნაწილებიდან, ყველაზე ნაკლები ცვლილება ალბათ სწორედ მისმა ძალადობრივმა ხასიათმა განიცადა. თუნდაც ტრანსფორმირებული ფორმით, ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ტექნოლოგიური, ძალადობის გარეშე საომარი მოქმედებები წარმოუდგენელია. ამ შემთხვევაში, საუბარი შეიძლება იქნეს მხოლოდ ხვედრით წილზე თუ რა სახის ძალადობა პრევენირებს თანამედროვე საომარ მოქმედებებში. ამ მხრივ, ცხადია პირდაპირი ფიზიკური ზემოქმედებით ბრძოლის ველზე უპირატესობის მოპოვების გარდა, ბოლო ათწლეულებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციები. ამას კიდევ უფრო უწყობს ხელს სოციალური მედიის და ინფორმაციის მინოდების, გავრცელების სულ უფრო მზარდი შესაძლებლობები. სწორედ ამიტომ და ასევე ინფორმაციული დომენის მართვა და კონტროლის სისტემებში მნიშვნელობის გამო, ზოგიერთი ორგანიზაცია “ინფორმაციას” როგორც ასეთს, ერთ-ერთ საბრძოლო ფუნქციად აღიარებს.<sup>16</sup>

მიუხედავად არალეთალურობისა, რასაკვირველია ფსიქოლოგიური ან ინფორმაციული ზემოქმედებაც ძალადობის ერთგვარი ფორმაა. აგრეთვე შესაძლოა არალეთალური იყოს, მაგრამ მაინც ძალადობრივი ხასიათი გააჩნია ელექტრონული ბრძოლის წარმოებას თუ კიბერ მოქმედებებსაც. აქვე გასათვალისწინებელია მზარდი, თუმცა კი ლიმიტირებული ეფექტიანობის მქონე სხვა არალეთალური სისტემები, როგორც არის აკუსტიკური ანუ სონიკური შეიარაღება და რომლის განხილვაც ბოლო ხანს საკმაოდ პოპულარული გახდა ე.წ. კუბის სინდრომის მოვლენათა განვითარების ფონზე.<sup>17</sup>

აქ საქმე ეხება არა იმდენად ომის ბუნების ალბათ უმთავრესი კომპონენტის - ძალადობრიობის ცვლაზე, არამედ უფრო ტრანსფორმაციაზე და ნაკლებად ძალადობრივი თუ არამომაკვდინებელი სისტემების მნიშვნელობის ზრდაზე.

## კიბერ დომენი

სადაო, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დიდი გავლენა ომის ბუნებაზე კიბერ დომენის - ახალი საბრძოლო სივრცის გაჩენამ იქონია.

კიბერ სივრცეში აქტივობანი, თვით ომის განსაზღვრებას არღვევს, რადგან, ერთი შეხედვით კიბერ თავდასხმები ადვილად შეიძლება კვალიფიცირდეს ქვეყანაზე აგრესიად, მაგრამ ეს ასე არ ხდება. დღემდე არ არის ცხადი რა შეიძლება ოფიციალურად მიიჩნეს ომის აქტად ან იძლეოდეს “cazuz belli”-ის საფუძველს კიბერ სივრცეში. პრაქტიკულად ყველა წამყვან ქვეყანაში მოქმედებს კიბერ სარდლობები და ქვედანაყოფები. ფაქტიურად ყოველდღიურად მიმდინარეობს დაპირისპირება კიბერ სივრცეში, ხოლო პერიოდულად ცნობილი ხდება მსხვილი თავდასხმების შესახებ, რომლებიც იწვევს ფინანსურ, ინფრასტრუქტურულ თუ ზოგჯერ ფიზიკურ ზიანსაც კი. ამ პირობებში პარადოქსულია, მაგრამ კიბერ სფეროში ომის საყოველთაოდ აღიარებული ფორმალური იურიდიული განსაზღვრება ჯერაც არ არსებობს. თვით კიბერ სივრცეში დაპირისპირება ხასიათდება ზუსტად ისეთივე ელემენტებით, რასაც ომის ბუნება და მახასიათებლები მოიცავს, მაგრამ თავად კიბერ სივრცის, როგორც ბრძოლის განზომილების არსებობა, უპირისპირდება ომის კლასიკურ გაგებას, რადგან კიბერ ბრძოლები თან ყოველდღიურობაა და თან არ აღიქმება ომად.

ეს არ არის მხოლოდ კამუნიკაციური თეორიული საკითხი, არამედ დიდი თავის ტკივილია სამხედრო-პოლიტიკური ელიტებისთვის, რომელთათვისაც მეტად რთულია სწორად პოზიცირება და ადეკვატურად ორიენტირება ამგვარ გაურკვეველ ვითარებაში.<sup>18</sup>

16 Christopher Paul. Understanding and Pursuing Information Advantage. The Cyber Defense Review (Summer 2020). გვ. 109-123

17 Maya Brehm, Anna de Courcy Wheeler. Discussion paper for the Convention on Certain Conventional Weapons (CCW). Article 36. Discussion Paper. Geneva. 2018

18 CIA chief warns against in-kind retaliation for Russian hacking: NPR

<https://www.reuters.com/article/us-usa-cyber-russia-idUSKBN14C1LE> ; Vladimir Soldatkin, Humeyra Pamuk. Biden tells Putin certain cyberattacks should be “off-limits”

<https://www.reuters.com/technology/biden-tells-putin-certain-cyber-attacks-should-be-off-limits-2021-06-16/>

## დასკვნა

როგორც ომის ბუნების ცალკეული კომპონენტების თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებთან მიმართებაში განხილვამ ცხადყო, მათი უმრავლესობა სხვადასხვა ზომით, მაგრამ მაინც განიცდის გარკვეულ სახეცვლილებას.

ამრიგად ომის ბუნების შემადგენელი ფაქტორები თუ მთლიანად არ იცვლება, ალბათ ტრანსფორმირდება მაინც და ღებულობს გარკვეულწილად ახლებურ სახეს, ხოლო ზოგიერთი ასეთი ფაქტორი, მართლაც პოტენციურად მომავალში შესაძლოა სრულად გაქრეს.

ყოველივე ზემოთ განხილულიდან გამომდინარე, იკვთება, რომ ომის ბუნება სადღეისოდ ტრანსფორმაციას განიცდის, მაგრამ ძირეულად უცვლელი რჩება და სავარაუდოდ ასეთად დარჩება მუდამ, მაგრამ პირველად ვაკობრიობის ისტორიაში, თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიების განვითარება ახდენს ომის ბუნების შემადგენელი ზოგიერთი კომპონენტის მნიშვნელოვან მოდიფიცირებას, რაც უკვე იწვევს და მომავალში კიდევ უფრო მეტად გამოიწვევს ფუნდამენტალურ ცვლილებებს ომის წარმოებაში და შესაბამისად მისადმი მომზადების პროცესში. აქედან გამომდინარე, ქვეყნები, რომლებიც უფრო ადრე გაიაზრებენ ამ ცვლილებებს და ადეკვატურ რეაგირებას მოახდენენ მათზე, მნიშვნელოვანწილად დაინაურდებიან სამხედრო თვალსაზრისით.

## წინადადებები

დროთა განმავლობაში, ტექნოლოგიურად ჩამორჩენილ ქვეყნებს გამარჯვების შანსი კონვენციურ საომარ მოქმედებებში სულ უფრო მცირე ექნებათ. ვინაიდან საქართველო საფრთხეების საკმაოდ ფართო სპექტრს უპირისპირდება, კონვენციური კომპონენტი სრულიად უგულვებელყოფილი ვერ იქნება. ამიტომ, აუცილებელია მეტი ყურადღება, ინვესტირება და სტრუქტურულად ადაპტირება თანამედროვე ტექნოლოგიების პრიორიტეტიზირების და დანერგვისთვის.

ახალი ტექნოლოგიები უკვე ამცირებს და მომავალში კიდევ უფრო მეტად შეამცირებს ადამიანური თუ მატერიალური რესურსებით გამოწვეულ უპირატესობებს. აქედან გამომდინარე, საქართველოსაც შეუძლია, ადამიანურ, მატერიალურ და ინტელექტუალურ რესურსებში სწორად ინვესტირების პირობებში, მძლავრი მონინალმდგვის აგრესიული გეგმების პრევენცია.

აუცილებელია კიბერ სარდლობის ჩამოყალიბება თავდაცვის ძალების შემადგენლობაში. ასევე, კიბერ შესაძლებლობების სრული სპექტრის შექმნა, და თავდაცვის გეგმებში სრულყოფილად ინტეგრირება. უპოლოტო საფრენი აპარატებთან ერთად პრიორიტეტული უნდა გახდეს მათთან ბრძოლის საშუალებების შექმნა და ოპერაციონალიზაცია. თქ-ებში სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ (ბრიგადების) დონეზე, უნდა ჩამოყალიბდეს საინფორმაციო ოპერაციების ელემენტები. ჩამოთვლილი ცვლილებების პ/შ-ით უზრუნველყოფისთვის აუცილებელი იქნება სამხედრო სამსახურში ახალი თაობის, თანამედროვე უნარ-ჩვევების მქონე პერსონალის მოზიდვა.

## გამოყენებული ლიტერატურა

- თევზაძე, გენ. დავით. კლაუზევიცის დიდი ომის თეორია და “დიდი ომის” ჩიხი. <https://1tv.ge/video/davit-tevzadze-klauzevicis-didi-omis-teoria-da-didi-omis-chikhi/>
- შუშაბერიძე, თეიმურაზ. კლასიკური სამხედრო სტრატეგიები და მათი გეოსტრატეგიული მოდელები XXI საუკუნეში აშშ-ს და რუსეთის ფედერაციის მაგალითზე. კავკასიის საერთ. უნივ. სამაგისტრო ნაშრომი. 2018
- Alberts, David S.; Garstka, John J.; Stein, Frederick P. Network Centric Warfare: Developing and Leveraging Information Superiority. 2nd Edition (Revised). CCRP. 2000. [http://www.dodccrp.org/files/Alberts\\_NCW.pdf](http://www.dodccrp.org/files/Alberts_NCW.pdf)
- Brehm, Maya; Wheeler, Anna de Courcy. Discussion paper for the Convention on Certain Conventional Weapons (CCW). Article 36. Discussion Paper. Geneva. 2018
- Champion, Jerry Wayne, II. The Sixth Military-Revolution: Warfare in the Fourth Industrial Revolution. Fort Leavenworth, Kansas. 2019. <https://apps.dtic.mil/sti/pdfs/AD1105017.pdf>
- CIA chief warns against in-kind retaliation for Russian hacking: NPR. <https://www.reuters.com/article/us-usa-cyber-russia-idUSKBN14C1LE>
- Clausewitz, Karl Von. On War. trans. COL James John Graham. London. N. Trübner. 1873. <https://www.clausewitz.com/readings/OnWar1873/TOC.htm#a>
- Cole, Brian. Clausewitz’s Wondrous Yet Paradoxical Trinity. The Nature of War as a Complex Adaptive System. [https://ndupress.ndu.edu/Portals/68/Documents/jfq/jfq-96/JFQ-96\\_42-49\\_Cole.pdf?ver=2020-02-07-150502-163](https://ndupress.ndu.edu/Portals/68/Documents/jfq/jfq-96/JFQ-96_42-49_Cole.pdf?ver=2020-02-07-150502-163)
- Dunford, Gen. Joseph F. Jr. The Character of War and Strategic Landscape Have Changed. JFQ 89, 2nd Quarter 2018. <https://apps.dtic.mil/sti/pdfs/AD1056962.pdf>
- Echevarria, Antulio J. Globalization and the Nature of War. Army War College publications. 2003
- Knox, MacGregor and Murray, Williamson. eds. The dynamics of military revolution, 1300-2050. Cambridge University Press. Cambridge. 2001.
- Limits on Autonomy in Weapon Systems. Identifying Practical Elements of Human Control. Vincent Boulanin, Neil Davison, Netta Ggoussac, Moa Peldán Carlsson. SIPRI, ICRC. 2020
- Livingston, Mark A.; Rosenblum, Lawrence J.; Brown, Dennis G.; Schmidt, Gregory S.; Julier, Simon J.; Baillot, Yohan J.; Swan, Edward II; Ai, Zhuming; Maassel, Paul. Military Applications of Augmented Reality. <https://apps.dtic.mil/sti/pdfs/ADA638065.pdf>
- Milley, Gen. M. A. Chief of staff of the Army: Changing Nature of War won’t Change Our Purpose. 01 October 2016. <https://www.ausa.org/articles/changing-nature-war-wont-change-our-purpose>
- Paul, Christopher. Understanding and Pursuing Information Advantage. The Cyber Defense Review (Summer 2020)
- Pincus, Walter. General James Mattis and the Changing Nature of War. 02 February 2021. [https://www.thecipherbrief.com/column\\_article/general-james-mattis-and-the-changing-nature-of-war](https://www.thecipherbrief.com/column_article/general-james-mattis-and-the-changing-nature-of-war)
- Research: The Changing Character of War. What is War Today? Oxford University. <http://www.ccw.ox.ac.uk/work-3>
- Terrorism. Commentary on Security Documents. Vol. 127. Changing Nature of War
- Vladimir Soldatkin, Humeyra Pamuk. Biden tells Putin certain cyberattacks should be “off-limits”. <https://www.reuters.com/technology/biden-tells-putin-certain-cyber-attacks-should-be-off-limits-2021-06-16/>

# ახალი ტექნოლოგიების გამოყენება ასიმეტრიულ ომში

## ლევან მაისურაძე

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
დოქტორანტი, სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

### აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია ახალი სამხედრო ტექნოლოგიების გავლენა ასიმეტრიული ომის წაგებაზე. ხაზგასმულია იაფი და ადვილად ხელმისაწვდომი უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების მნიშვნელობა, რაც ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედ ძალებს აყენებს უპირატეს მდგომარეობაში. ყურადღება გამახვილებულია ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობაზე, რომლის გამოყენება ზრდის დაზვერვის, თვალთვალისა და რეკოგნოსციონების შესაძლებლობებს, ასევე აუმჯობესებს უპილოტო საფრენი აპარატების ბრძოლისუნარიანობას, რადგან ადამიანის ჩარევის გარეშე ავტონომიურ რეჟიმში შესაძლებელია მანევრის განახორციელება, მიზნების ამოცნობა და განადგურება. თანამედროვე კიბერტექნოლოგია ასევე იძლევა საინფორმაციო სივრცის კონტროლის საშუალებას, რაც ასიმეტრიული ომში გამარჯვების წინაპირობაა. სახელმწიფოს მიერ თავდაცვის შესაძლებლობების გაძლიერების უმთავრეს საფუძვლად წარმოდგენილია ახალი სამხედრო ტექნოლოგიების შექმნა ან მოპოვება, რაც რიცხობრივად და შეიარაღებით აღმატებულ მონინააღმდეგესთან ასიმეტრიული ომის წარმატებულად წარმოების საშუალებას იძლევა.

#### საკვანძო სიტყვები:

ასიმეტრიული ომი; ახალი ტექნოლოგია; ხელოვნური ინტელექტი; უპილოტო საფრენი აპარატი.

# USE NEW TECHNOLOGIES IN ASYMMETRIC WARFARE

LEVAN MAISURADZE  
LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY,  
STUDENT DOCTORAL PROGRAM ON MILITARY ENGINEERING

## ABSTRACT

The article discusses the impact of new military technologies on asymmetric warfare. The importance of using cheap and easily accessible unmanned aerial vehicles is emphasized, which puts the forces operating with asymmetric tactics in an advantageous position. Emphasis is placed on the importance of artificial intelligence, the use of which increases the capabilities of intelligence, surveillance and reconnaissance, as well as improves the combat capability of drones, because without human intervention it is possible to maneuver in autonomous mode, identify targets and destroy. Modern cyber technology also allows control of the information space, which is a prerequisite for winning an asymmetric war. The main basis for strengthening the defense capabilities of the state is the creation or acquisition of new military technologies, which will allow to successfully conduct an asymmetric war with a numerically superior enemy.

**KEYWORDS:**

Asymmetric warfare; New technology; Artificial intelligence; Unmanned aerial vehicle.

თანამედროვე სამყარო დინამიკური ცვლილებებით ხასიათდება და მეცნიერების უახლესი მიღწევები თითქმის მყისიერად ინერგება პრაქტიკაში, მათ შორის სამხედრო საქმეში. მასობრივი არმიების გამოყენებით და გაშლილ ფრონტზე ერთიანი შეტევებით ომის წარმოების ტექნიკა და მეთოდები მოძველდა. უახლესმა ტექნოლოგიებმა გააჩინა ახალი შესაძლებლობები, საბრძოლო მოქმედებები უფრო კომპლექსური, ხოლო საფრთხეები მრავალფეროვანი და ურთიერთდაკავშირებული გახდა. ახალი ტექნოლოგიებისა და მიდგომების გამოყენებამ რესურსებით, ასევე შეიარაღების რაოდენობით სუსტ სახელმწიფოებს გაუჩინა ასიმეტრიული ომში წარმოების მოპოვების შესაძლებლობა.

ახალი ტექნოლოგიები, როგორცაა: ხელოვნური ინტელექტი, გლობალური ავტომატიზაცია და მაღალი ხარისხის კომპიუტერული სისტემები, ზრდის სხვადასხვა აღჭურვილობის ფუნქციონირებას და იძლევა მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ეს მიღწევები ასევე იწვევს სამხედრო შესაძლებლობების გაზრდას არამეგობრულ ქვეყნებში.

ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში მიმდინარე საომარი მოქმედებების ანალიზმა ცხადყო, რომ სამხედრო ძალის გამოყენების ფარგლები, ფორმები და მეთოდები მნიშვნელოვნად შეიცვალა. უფრო მეტიც, თანამედროვე სამყარო უკვე შესულია დაპირისპირების ეპოქაში, როდესაც ყველა საშუალების გამოყენება, სამუხაროდ, დასაშვებად არის მიჩნეული. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რუსეთის მიერ საერთაშორისო უსაფრთხოების არსებული სისტემის უგულვებელყოფა.

თუ გადავხედავთ საქართველოს უსაფრთხოების გარემოს, ცხადია, რომ სამხედრო სცენარების საფრთხე რეალურია. მონინალმდევს აქვს შესაძლებლობა ოპერატიულ გარემოში ერთდროული დარტყმები მიაყენოს ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში არსებულ მნიშვნელოვან სამიზნეებს: კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, თავდაცვის ძალებს. სავარაუდო სცენარების ანალიზი აჩვენებს, რომ, მონინალმდევს მხრიდან ძალის გამოყენების მასშტაბისა და მეთოდების მიუხედავად, მისი პრიორიტეტული მიზნები იქნება ის, რაც გავლენას მოახდენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე და საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ ქვეყნის თავდაცვის მართვის უნარზე.

სამხედრო თეორეტიკოსების ნაწილი თვლის, ვისაც მეტი ტანკი აქვს, უფრო ძლიერია. მაგრამ ასევე არსებობს შეფასების არანრთივი მიდგომა. მაგალითად, დღეს ბიზნესში კონკურენციას ქმნის არა იმდენად აქტივები, რამდენადაც მენეჯმენტის მოდელეები, მთავარი როლი კი აქვს ორ კომპონენტს: ინფორმაცია და დრო. ეს ასევე ეხება ჯარებსა და ქვედანაყოფებს ბრძოლის ველზე. დრო და ინფორმაცია არამატერიალური აქტივები და საბრძოლო შესაძლებლობებია. შედეგად, უფრო წარმატებული არის ის, ვისაც აქვს მეტი ინფორმაცია, ამუშავებს მას უფრო სწრაფად, იღებს გადაწყვეტილებას უფრო ოპერატიურად და უტევს მტრის ყველაზე დაუცველ ადგილს.

საქართველოს ადევკატური პასუხი თანამედროვე გამოწვევებზე არის უსაფრთხოების სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის დაჩქარება, პირველ რიგში, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა, რომლებიც ზრდიან მონინალმდევს შეიარაღების სისტემების გამოვლენის, განეიტრალების ან განადგურების საშუალებას. ამჟამინდელი კონფლიქტები ძირითადად მიმდინარეობს კიბერსივრცეში და მედიაში (მათ შორის სოციალური, ბეჭდური და ტელევიზია), ვიდრე ბრძოლის ველზე. დროთა განმავლობაში კიბერტექნოლოგია და ხელოვნური ინტელექტი გახდა ყველაზე მოთხოვნილი საშუალება ასიმეტრიული ომის წარმოებისთვის. ისინი ემსახურებიან პროპაგანდის, ფიზინგისა და მონაცემების მანიპულირების ინსტრუმენტს, ინფორმაციის გავრცელებას, პირადი მონაცემების მოპარვას, რაც გამოიყენება სახელმწიფოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების სფეროს წინააღმდეგ.

ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან ერთად უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება თანამედროვე კონფლიქტებში ასიმეტრიული ომის კრიტიკულ ელემენტად იქცა. ბოლო წლებში შეიარაღებული დაჯგუფებები სულ უფრო ხშირად იყენებენ მათ ტაქტიკური და ოპერატიული მიზნების წინააღმდეგ, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა კონფლიქტის დინამიკა. ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიის რეგიონში წარმოებული ომების ანალიზი აჩვენებს უპილოტო თვითმფრინავების გამოყენების უფრო საშიშ ფორმას. კერძოდ, ადვილად ხელმისაწვდომი თვითმფრინავების გავრცელებამ, ხელოვნური ინტელექტისა და ავტონომიურობის სწრაფმა წინსვლამ შეიძლება მომდევნო წლებში მკვეთრად გააუმჯობესოს სამხედრო ძალების შესაძლებლობები, რაც სამიზნეების ფართო სპექტრზე კოორდინირებული და გამანადგურებელი შეტევის განხორციელების საშუალებას გააჩენს.

საქართველოს ტიპის მცირე რესურსების მქონე სახელმწიფოს ტექნოლოგიური მიღწევების გამოყენებით შეუძლია გაზარდოს მონინალმდევზე საჭიერო ზემოქმედების შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში თვითმფრინავები უფრო პატარა, სწრაფი და მანევრირებადი გახდა. მათ ასევე შეუძლიათ უფრო დიდხანს ფრენა და მეტი ტვირთის გადატანა, რაც განაპირობა ტელეფონის ტექნოლოგიის მიღწევებმა,



სმარტფონების კომპონენტებმა, როგორცაა: გიროსკოპები, ამაჩქარებლები, GPS, პროცესორები და კამერები. ისინი თანდათან ინტეგრირდება პოპულარული და ფართოდ ხელმისაწვდომი კომერციული თვითმფრინავების საბორტო ტექნოლოგიაში. ამ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა კიდევ უფრო მეტი საშუალება მისცა საბრძოლო ჯგუფებს განახორციელონ წარმატებული ოპერაციები.

თუმცა, როგორც სამხედრო და უსაფრთხოების ექსპერტებმა აღნიშნეს, თვითმფრინავების ტექნოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი (და პოტენციურად საშიში) წინსვლა ავტონომიურობის სფეროში ხდება. არსებითად, თვითმფრინავები, რომლებიც დღეს გამოიყენება მონინალმდეგეზე ან სამიზნეებზე თავდასხმისთვის, მოითხოვს ოპერატორების დისტანციურ მუშაობას მონყობილობის ბრძანებისა და კონტროლის სიგნალების დიაპაზონში. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით უპილოტო საფრენი აპარატები უფრო დაიხვეწება და მალე მოითხოვს ადამიანთა ნაკლებ ხელმძღვანელობას და იმოქმედებენ, როგორც ავტონომიური იარაღი. ერთ პირს შესაძლებლობა ექნება მართოს რამდენიმე უპილოტო საფრენი აპარატი, რომლებიც შეასრულებენ წინასწარ დაპროგრამებულ მისიას დამოუკიდებლად. მიუხედავად იმისა, რომ დღეს არცერთი შეიარაღება სრულად ავტონომიურად არ მუშაობს, სამხედრო ექსპერტები ვარაუდობენ, რომ განვითარების ასეთი სწრაფი ტემპი უახლოეს მომავალში შესაძლებელს გახდის ხელოვნური ინტელექტით იმართოს შეიარაღების სისტემები და გაადვილდეს მათზე ხელმისაწვდომობა.

შეიარაღების სისტემების ავტონომიურ იარაღად განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ხელოვნური ინტელექტი, რომელიც სამ ძირითად უნარს უნდა ეყრდნობოდეს: შეეძლოს გარემოს გათვალისწინებით ინტელექტუალურად მანევრირება; პოტენციურ სამიზნეებს შორის მონინალმდეგის სწორი ამოცნობა; სამხედრო ძალების მსგავსად სამიზნის დაზიანების შესაძლებლობა. ბოლო უნარი უკვე არაერთხელ იყო დემონსტრირებული, როდესაც ჯგუფები და ცალკეული პირები იარაღდებოდნენ უპილოტო საფრენი აპარატებით. პირველი უნარი ტერიტორიის სკანირებით ნავიგაციას ახერხებს, მაგრამ კვლავ პრობლემად რჩება სრული ავტონომიურობა მანევრში. ექსპერტების აზრით, ეს პრობლემა მალე გადაიჭრება. ასევე, მთავარ სირთულეს წარმოადგენს სამიზნეების იდენტიფიცირება, თუმცა ამ მიმართულებით ტექნოლოგია იხვეწება. სახის ამოცნობის ნერვული ქსელების მრავალი პროგრამა უკვე ხელმისაწვდომია ინტერნეტის მონაცემთა ბაზაში და შესაძლებელია მისი შემდგომი განვითარება.

ავტონომიურობასთან ერთად იზრდება ერთ სამიზნეზე უპილოტო საფრენი აპარატების „ჯგროდ“ შეტევის შესაძლებლობები. წინასწარ დაპროგრამებული უპილოტო საფრენი აპარატების ჯგუფი უკვე გამოიყენება ახლო აღმოსავლეთში, რაზეც მეტყველებს მათი შეტევები რუსეთის სამხედრო ბაზებზე სირიაში. პროგრამული უზრუნველყოფით აღნიშნული აპარატების ერთობლივი ქცევა უკვე საშუალებას იძლევა რამდენიმე ადამიანის კონტროლირებით გამოყენებული იქნას დიდი რაოდენობის რესურსი. იგი აგრეთვე უზრუნველყოფს სწრაფ რეაქციას, რაც ადამიანს შესაძლებლობას აძლევს მართოს მთელი ჯგუფი. მაგალითად, მოვლენის შესახებ გადანაცვებილების მიღების შესაძლებლობა იცვლება სწრაფად, ვიდრე ეს იქნებოდა მაშინ, როდესაც თითოეულ პლატფორმას გააკონტროლებდა ერთი ადამიანი. სამხედრო ძალები მთელ მსოფლიოში ცდილობენ შეიმუშაონ ხელოვნური ინტელექტით აღჭურვილი უპილოტო საფრენი აპარატები, რათა დააკმაყოფილონ უფრო მაღალი მოთხოვნები. სწორედ ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედი ძალა ამ ტექნოლოგიებისა და „ჯგროდ“ შეტევის პრინციპების გამოყენებით აღმოჩნდება უპირატეს მდგომარეობაში მონინალმდეგესთან შედარებით, ხოლო უპილოტო საფრენი აპარატები უახლოეს მომავალში უფრო სერიოზულ საფრთხეებს შექმნიან.

ხელოვნური ინტელექტი ასევე ცვლის ასიმეტრიული ომის ხასიათს, რადგან მას აქვს პოტენციური მნიშვნელოვნად გაზარდოს დაზვერვის, თვალთვალისა და რეკოგნოსციონების შესაძლებლობები. ხელოვნური ინტელექტის მქონე სატელიტური გამოსახულება და დისტანციური ზონდირება შეიძლება დაეხმაროს სახელმწიფოებს ერთმანეთის ქმედებების სწორად ინტერპრეტაციაში, რამაც შეიძლება ასიმეტრიული ომის ბუნება უფრო რთული გახადოს.

სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ახალი ტექნოლოგიების შექმნისა და თავდაცვის პოტენციალის გაძლიერების ამოცანები, რადგან სწორედ მას შეუძლია ეროვნული სამხედრო სამეცნიერო ბაზისა და კერძო ბიზნესების ინტერესების ერთ სიბრტყეში გაერთიანება. კვლევისა და განვითარების სამუშაოების დაჩქარებამ, კერძო და უცხოური ინვესტიციების ჩათვლით, შეიძლება მნიშვნელოვნად გააძლიეროს სახელმწიფოს უნარი უპასუხოს სამხედრო და უსაფრთხოების გამოწვევებს. თავდაცვის ტექნოლოგიების განვითარების სახელმწიფო სისტემა შეიძლება იქცეს ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ პროექტად, რომელსაც შეუძლია ასიმეტრიული ომისთვის შექმნას არა მხოლოდ შემაკავებელი იარაღი, არამედ უზრუნველყოს ახალი სამხედრო ტექნიკური მიღწევების ექსპორტი.



## გამოყენებული ლიტერატურა

- თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030, თბილისი, 2021
- თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2021-2025, თბილისი 2021
- Reuben Steff, Simona R. Soare, Joe Burton, Emerging Technologies and International Security: Machines, the State, and War, 2020
- „The Rising Threat from Armed Drones“, January 12, 2018  
<https://thesoufancenter.org/tsc-intelbrief-rising-threat-armed-drones/>
- John R. Allen, Frederick Ben Hodges, Julian Lindley-French, Future War and the Defence of Europe, 2021
- Malik Ayub Sumbal, Tovuz to Karabakh: A Comprehensive Analysis of War in South-Caucasus, 2021
- Victor Gervais, Asymmetric warfare: The threat of militant groups using drones in the Middle East, 2021

# უპილოტო საფრენი აპარატების როლი თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში: დრონების მასიური გამოყენების დადებითი და უარყოფითი მხარეები

**ვალერი მოდებაძე**  
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი  
საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია უპილოტო საფრენი აპარატების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში. აღწერილია თუ როგორ დაიწყო აშშ-მ ოცი წლის წინათ ტერორისტების გადასანადგურებლად ოპერატიულ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება. დრონების მასიური გამოყენება შეიარაღებული ძალების მიერ პირველად მოხდა ყარაბახის კონფლიქტის დროს, 2020 წელს. ამ კონფლიქტმა აჩვენა თუ რა დიდი საჭიროება უპირატესობას მოპოვება შეუძლია ბრძოლის დროს სახელმწიფოს დრონების სწორად გამოყენების შემთხვევაში. ყარაბახის მეორე ომის შემდეგ გაიზარდა დრონების პოპულარობა და შესაბამისად იზრდება სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებსაც სურს მათი შექმნა თავდაცვისუნარიანობის ამაღლებს მიზნით. თუმცა ასევე აღსანიშნავია ის, რომ უპილოტო საფრენი აპარატებით ინტერესდებიან ასევე ტერორისტული ორგანიზაციები და არასახელმწიფოებრივი აქტორები. სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებები სულ უფრო ხშირად იყენებენ დრონებს ტერორისტული აქტების განხორციელების დროს. ამჟამად სახელმწიფოებისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს თავდაცვითი მექანიზმების შემუშავება, რომ მოხდეს დრონებიდან მომავალი საფრთხეების სწრაფი განეიტრალება და აღმოფხვრა.

### **საკვანძო სიტყვები:**

უპილოტო საფრენი აპარატები, დრონები, ტერორისტული თავდასხმები, კონფლიქტები.

# **THE ROLE OF UNMANNED AERIAL VEHICLES IN MODERN ARMED CONFLICT: THE PROS AND CONS OF MASS DRONE USE**

**VALERI MODEBADZE**  
DOCTOR OF SOCIAL SCIENCES  
PROFESSOR OF INTERNATIONAL RELATIONS  
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

## **ABSTRACT**

The article analyzes the role and significance of unmanned aerial vehicles in modern armed conflicts. It describes how the USA began using operational-tactical unmanned aerial vehicles to eliminate terrorists twenty years ago. The massive use of drones by the armed forces first occurred during the Karabakh conflict, in 2020. This conflict has shown what a great air superiority a state can gain if it uses drones properly during the battle. After the Second Karabakh War, the popularity of drones has increased considerably and consequently the number of states is rising that want to buy them in order to increase their military capabilities. However, it is also noteworthy that terrorist organizations and non-state actors are also interested in unmanned aerial vehicles. Various terrorist groups are increasingly using drones to carry out terrorist acts. One of the main challenges that states face today is to develop defense mechanisms to quickly neutralize and eliminate threats from drones.

**KEYWORDS:**

Unmanned Aerial Vehicles, Drones, Terrorist Attacks, Conflicts.

## შესავალი

უპილოტო საფრენი აპარატები და დრონები ბოლო 20 წელიწადია რაც აქტიურად გამოიყენება შეიარაღებულ კონფლიქტებში. უპილოტო საფრენი აპარატების მიმართ დაინტერესება მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა მთიანი ყარაბაღის მეორე ომში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და თურქული და ებრაული დრონების მეშვეობით შეძლო სომხეთის დამარცხება ექვს კვირიან ომში. პირველად სწორედ ყარაბაღის მეორე ომში მოხდა უპილოტო საფრენი აპარატების მასიური და ფართომასშტაბიანი გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის, რის გამოც ეს ომი ისტორიაში ცნობილია შემდეგი სახელწოდებით - „დრონების ომი“. ომის მსვლელობისას აზერბაიჯანულმა მხარემ ძირითადად ორი ტიპის დრონი გამოიყენა - თურქული წარმოების დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატი „ბაირახტარი“ და ებრაული წარმოების დრონი - „კამიკაძე“. სწორედ ამ დრონების მეშვეობით მოახერხა აზერბაიჯანმა სრული საჰაერო უპირატესობის მოპოვება და მონინალმდევგე მხარის შეიარაღებული ძალებისა და მძიმე ტექნიკის განადგურება. ბოლო პერიოდში აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ნავთობისა და გაზის ექსპორტისაგან მიღებული ფინანსური რესურსებით შეიძინა დიდი რაოდენობით უპილოტო საფრენი აპარატები და მსოფლიოს დაანახა, რომ ოპარატიულ-ტაქტიკური დრონების მეშვეობითაც სავსებით შესაძლებელია საჰაერო სივრცეში დომინანტური პოზიციის მოპოვება და ომის წარმატებით წარმოება.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ გაიზარდა მსოფლიოში მოთხოვნა უპილოტო საფრენ აპარატებზე და სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებმა დაიწყეს დრონების მასიური შეძენა სამხედრო მიზნებისათვის.

## დრონების გამოყენება ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად

დრონების გამოყენება პირველად ვაცობრიობის ისტორიაში მოხდა ჯორჯ ბუშ უმცროსის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, როდესაც მან წამოიწყო ომი ტერორიზმის წინააღმდეგ. თავდაპირველად, როდესაც ჯორჯ ბუშმა ომი გამოუცხადა ტერორიზმს, არ ხდებოდა დრონების მასიური გამოყენება. აშშ-ს მთვარ მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ მაღალი რანგის ტერორისტების განადგურება, ამიტომაც ოპერაციის მასშტაბები შეზღუდული იყო. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველმა დაიწყეს დრონების გამოყენება ალ ქაიდას წევრებისა და სხვადასხვა ტერორისტების გასანადგურებლად. პირველი მიზანმიმართული თავდასხმა ტერორისტზე დრონის მეშვეობით განხორციელდა 2001 წლის 7 ოქტომბერს და მიმართული იყო თალიბანის ლიდერის მულა ომარის წინააღმდეგ. დრონების მეშვეობით იმდენად წარმატებით ხდებოდა ტერორისტების ლიკვიდაცია, რომ ამერიკის მომდევნო პრეზიდენტი, ბარაკ ობამა კიდევ უფრო აქტიურად შეუდგა მის გამოყენებას სხვადასხვა ტერორისტული ორგანიზაციების წინააღმდეგ. უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენებამ პიკს მიაღწია 2010 წელს, როდესაც პაკისტანში მასიურად ხდებოდა შეტევების განხორციელება სხვადასხვა ტერორისტულ დაჯგუფებებზე. სულ 122 შეტევა განხორციელდა იმ პერიოდში. ამერიკელებმა დრონების გამოყენება ორი წლის შემდეგ იემენშიც დაიწყეს, სადაც სულ 41 შეტევა განხორციელეს. შეერთებულმა შტატებმა გამოიყენა დრონები პაკისტანში, იემენში, სომალიაში, ავღანეთში და ლიბიაში. 2015 წელს ამერიკელებმა დრონის მეშვეობით შეძლეს საშიში ტერორისტის - აბუ ნაბილის ლიკვიდაცია, რომელიც იყო ისლამური სახლემინფოს ლიდერი ლიბიაში. შეერთებულმა შტატებმა სპეციალურად შეიძინა აეროდრომი სიცილიაში რომ უპილოტო საფრენი აპარატების მეშვეობით განხორციელებია სპეციალური სამხედრო ოპერაციები ლიბიაში. (Walsh & Schulzke, 2018)

## დრონების გამოყენება კონფლიქტების დროს

თანდათანობით იზრდება ქვეყნების რიცხვი, რომლებიც ფლობენ ოპერატიულ-ტაქტიკურ დრონებს, ხოლო რაც შეეხება უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებას, განსაკუთრებით ჩინეთი, ისრაელი და თურქეთი დაწინაურდა ამ დარგში. ეს ქვეყნები მასიურად აწარმოებს დრონებს და ყიდის მთელ მსოფლიოში. ბოლო დროს დიდი პოპულარობით სარგებლობს თურქული წარმოების დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატი „ბაირახტარი“ - Bayraktar TB2. სწორედ „ბაირახტარი“-ს მეშვეობით შეძლო აზერბაიჯანის არმიამ ყარაბაღის ომში დიდი უპირატესობის მოპოვება და სომხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ტექნიკის განადგურება.

ამ კონფლიქტის შემდეგ გაიზარდა ქვეყნების რიცხვი, რომლებსაც სურთ თურქული უპილოტო საფრენი აპარატების შექმნა. მათ რიცხვს მიეკუთვნება ასევე ევროპის სხვადასხვა ქვეყნები, მათ შორის პოლონეთი, უკრაინა, ლატვია და სერბეთი. უკრაინამ თურქული წარმოების დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება აქტიურად დაიწყო ბოლო პერიოდში და თურქული „ბაირახტარები“-ს წყალობით წარმატებით განახორციელა შეტევები სეპარატისტების წინააღმდეგ დონეცკის და ლუგანსკის ოლქში. სწორედ თურქული უპილოტო საფრენი აპარატების მეშვეობით შეძლო უკრაინამ სეპარატისტების სამხედრო ტექნიკის განადგურება რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებში და საჰაერო უპირატესობაც მოიპოვა სეპარატისტების წინააღმდეგ წარმოებულ ომში. უკრაინის შეიარაღებულ ძალების გენერალურმა შტაბმა განაცხადა, რომ მათ გამოიყენეს უპილოტო საფრენი აპარატები იმისათვის, რომ ეიძულებინათ პრო-რუსი სეპარატისტები ცეცხლის შეწყვეტაზე.

უკრაინამ გააფორმა შეთანხმება ანკარასთან უპილოტო საფრენი აპარატების ერთობლივი წარმოების შესახებ. უკრაინა და თურქეთი გეგმავენ დრონების ერთობლივ წარმოებას ერთ-ერთ ქარხანაში, რომელიც უკრაინის დედაქალაქთან, კიევთან ახლოს მდებარეობს (Daily Sabah, 2021). ამ შეთანხმებამ რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია. რუსეთი ბოლო პერიოდში მჭიდროდ თანამშრომლობს თურქეთთან სირიაში, ლიბიაში და მთიან ყარაბაღში, მიუხედავად იმისა რომ კონფლიქტში ისინი სხვადასხვა მხარეებს უჭერენ მხარს და მათი გეოპოლიტიკური მიზნები და ამოცანები ხშირად არ ემთხვევა ერთმანეთს. მსხვილმასშტაბიანი ერთობლივი ენერგოპროექტების განხორციელების შემდეგ ეს ორი, ერთმანეთის მიმართ ისტორიულად მტრულად განწყობილი სახელმწიფო ერთმანეთს ეკონომიკურად იმ დონეზე გადაეჯაჭვა, რომ მიუხედავად განსხვავებული გეოპოლიტიკური ინტერესებისა, მაინც ახერხებს საერთო ენის გამონახვას და მოლაპარაკებების და დიპლომატიის მეშვეობით პოლიტიკური დაძაბულობის განმუხტვას (Reuters, 2021).

როდესაც კრემლმა შეშფოთება გამოთქვა უკრაინის მხრიდან უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენების გამო და განაცხადა რომ დრონებს შეუძლიათ დესტაბილიზაციის გამოწვევა აღმოსავლეთ უკრაინაში, თურქეთის ხელისუფლებამ მაშინვე მოსკოვის ბრალდებები უარყო თითქოს ანკარა დამნაშავე იყო შექმნილ ვითარებაში. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მევლუთ ჩავუშულუმ განაცხადა რომ თურქეთის დადანიშნულება არ შეიძლება იმის გამო, რომ უკრაინა იყენებს თურქული წარმოების უპილოტო საფრენ აპარატებს. რომში, G20-სამიტზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრის შემდეგ, ჩავუშოლუმ ჟურნალისტებთან საუბრისას განმარტა, რომ თუ რომელიმე სახელმწიფო ყიდულობს უპილოტო საფრენ აპარატს თურქეთისგან, ის უკვე აღარ ითვლება თურქულ პროდუქტად და მის გამოყენებაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სახელმწიფოს, რომელიც მას იყენებს სხვადასხვა მიზნებისათვის. მისი აზრით შეიძლება უპილოტო საფრენი აპარატები თურქეთში იყოს დამზადებული, მაგრამ შექმნის შემდეგ ის უკვე უკრაინას ეკუთვნის და თურქეთის დადანიშნულება არ შეიძლება იმის გამო, რომ უკრაინა სამხედრო კონფლიქტებში ოპერატიულ-ტაქტიკურ უპილოტო საფრენ აპარატებს იყენებს. ჩავუშოლუმ დასძინა რომ თურქი სამხედროები ტერორისტებთან ბრძოლისას ხშირად აწყდებიან სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებულ იარაღს, მათ შორის რუსეთის ფედერაციაში ნაწარმოებ სამხედრო ტექნიკას, თუმცა მათ აზრადაც არასოდეს მოსვლიათ, რომ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები დაედანიშნაულებითა და მათთვის ბრალდებები წაეყენებინათ ამის გამო (Daily Sabah, 2021). მან ასევე მოუწოდა უკრაინას, რომ შეწყვიტოს „თურქულ“ დრონებად უპილოტო საფრენი აპარატების მოხსენიება, რადგან შექმნის შემდეგ ის თურქეთის საკუთრებად აღარ ითვლება და მის გამოყენებაზე სრული პასუხისმგებლობა უკვე უკრაინას ეკისრება (Reuters, 2021).

უპილოტო საფრენ აპარატებს ბევრი უპირატესობა გააჩნია და მათი პოპულარობა დღითიდღე იზრდება განსაკუთრებით პატარა ქვეყნებში: უპილოტო საფრენი აპარატების მეშვეობით შესაძლებელი ხდება სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება. დრონების შექმნა გასანსაკუთრებით ხელსაყრელია პატარა ქვეყნისათვის, რომელსაც დიდი სამხედრო ბიუჯეტი არ გააჩნია და არ შეუძლია ძვირადღირებული თვითმფრინავების ყიდვა. უპილოტო საფრენი აპარატები ამცირებს ომის ხარჯებს და პატარა ქვეყანასაც უტოვებს შესაძლებლობას რომ მოიპოვოს საჰაერო უპირატესობა ომის მსვლელობისას. ოპერატიულ-ტაქტიკური უპილოტო საფრენი აპარატების კიდევ ერთი ძლიერი მხარე ის არის, რომ მცირე ზომის გამო საჰაერო თავდაცვის სისტემებს უჭირთ მათი დეტექტირება. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში რთულდება დრონების აღმოჩენა და დაფიქსირება, თუ ქვეყანას არ გააჩნია ძლიერი და თანამედროვე საჰაერო თავდაცვის სისტემა. მაგალითად, ყარაბაღის ომის დროს სომხეთი ძირითადად მოძველებულ საბჭოთა წარმოების საჰაერო თავდაცვის სისტემებს იყენებდა, რომლებსაც ფაქტიურად არ შეეძლოთ ამერბაიჯანული არმიის ოპერატიულ-ტაქტიკური დრონების დეტექტირება, რის გამოც ამერბაიჯანმა კონფლიქტის დროს სრული საჰაერო უპირატესობა მოიპოვა.

დრონების გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყრელია ასიმეტრიული კონფლიქტების დროს, როდესაც მტერი არ ფლობს ანტისაჰაერო სისტემებს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თურქეთის



მიერ განხორციელებული ანტი-ტერორისტული ოპერაციები ჩრდილოეთ ერაყში, როდესაც დრონების მეშვეობით ხდებოდა დიდი რაოდენობით ტერორისტების ლიკვიდაცია და ქურთისტანის მუშათა პარტიის ინფრასტრუქტურის განადგურება(Cancian, 2021).

## **დრონების გამოყენება სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებების მიერ**

დრონებს არა მარტო სახელმწიფოები იყენებენ კონფლიქტების დროს, არამედ ასევე არასახელმწიფოებრივი აქტორებიც. არსებობს დიდი საფრთხე, რომ ტერორისტული ორგანიზაციებიც დაიწყებენ მასიურად დრონების გამოყენებას თავიანთი შავ-ბნელი მიზნების მისაღწევად. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ინდოეთის სამხედრო ინფრასტრუქტურაზე განხორციელებული თავდასხმა ქაშმირის პროვინციაში. ამა წლის 27 ივნისს, ორი ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული უპილოტო საფრენი აპარატი შეეჯახა ინდოეთის საჰაერო ძალების სადგურს. ერთმა ასაფეთქებელმა მონყოილობამ სამხედრო შენობის სახურავი დააზიანა, ხოლო მეორე ღია ადგილას აფეთქდა. მსუბუქი დაზიანება მიიღო ორმა სამხედრო მოსამსახურემ. ეს არის პირველი შემთხვევა ინდოეთის ისტორიაში, როდესაც უპილოტო საფრენი აპარატები გამოიყენეს ტერორისტებმა და განახორციელეს შეტევა ინდოეთის სამხედრო ობიექტზე. თუმცა უპილოტო საფრენმა აპარატებმა ვერ შეძლეს დიდი ზიანის მიყენება ინდოეთის არმიისათვის, ამ ინციდენტს მაინც დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რადგან აღმოჩნდა რომ კარგად დაცული სამხედრო ობიექტებიც კი მოწყვლადია უპილოტო საფრენი აპარატების თავდასხმების მიმართ. ინდოეთში შიშობენ რომ დრონებით თავდასხმები შეიძლება გახდეს პაკისტანში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფებების სასურველი არჩევანი და მათ შეიძლება უპილოტო საფრენი აპარატების მასიურად გამოყენება დაიწყონ ინდოეთის წინააღმდეგ, რამაც შეიძლება კიდევ უფრო დაძაბოს ქაშმირში არსებული ისედაც რთული პოლიტიკური ვითარება (Ramachandran, 2021).

ქურთისტანის მუშათა პარტიამ ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება თურქეთის წინააღმდეგ. უკვე რამოდენიმე წელია რაც ქურთისტანის მუშათა პარტია ანადგურებს სხვადასხვა ობიექტებს თურქეთში დრონების მეშვეობით. ქურთისტანის მუშათა პარტია იყენებს როგორც კვადკოპტერებს, ასევე უფრო მსხვილი მასშტაბის უპილოტო აპარატებს ასაფეთქებელი ნივთიერებების ჩამოსაყრელად და მონინააღმდეგეზე თავდასხმის განსახორციელებლად. (Cancian, 2021)

სავსებით შესაძლებელია რომ სხვადასხვა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა დაიწყონ დრონების მასიური შეძენა და გამოყენება ტერორისტული თავდასხმების განსახორციელებლად. განსაკუთრებით სახიფათო იქნება დრონები იმ შემთხვევაში, თუ ტერორისტები შეეცდებიან მათ გამოყენებას კრიტიკული ინფრასტრუქტურის გასანადგურებლად.

2017 წელს აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) დირექტორმა კრისტოფერ რეიმ განაცხადა, რომ უპილოტო საფრენი აპარატები და დრონები წარმოადგენენ მომავლიდან საფრთხეს აშშ-ს ქალაქებისთვის. მან გააფრთხილა კონგრესი, რომ სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფებები დაინტერესებული არიან, რომ დრონების მეშვეობით განახორციელონ თავდასხმები აშშ-ს ტერიტორიაზე. როგორც მან განაცხადა, დრონი არ არის ძვირადღირებული ტექნოლოგია და მისი შეძენა თავისუფლად შეუძლია როგორც სახელმწიფო ისე არასახელმწიფო აქტორებს, მათ შორის კერძო პირებსაც კი. არც უპილოტო საფრენი აპარატის მართვა და ფუნქციონირება წარმოადგენს დიდ სირთულეს, თუმცა საკმაოდ რთულია მისი მონიტორინგი და მწყობრიდან გამოყვანა.

დიდ სირთულეს არ წარმოადგენს დრონის ნაწილების შეძენა. დრონის აწყობაც საკმაოდ მარტივი და იოლი პროცედურაა. სწორედ ამიტომ, სავსებით შესაძლებელია რომ უახლოეს მომავალში ტერორისტულმა ორგანიზაციებმა თავად დაიწყონ დრონების მასიური წარმოება და დამზადება. თუ აგრესიული არასახელმწიფოებრივი აქტორების ხელში აღმოჩნდება დიდი რაოდენობით დრონები, მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე აღმოცნდება, ვინაიდან შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს ტეროტირისული თავდასხმების და ტერორისტული აქტების რაოდენობა მსოფლიოში.

სახელმწიფოების წინაშე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება თავდაცვითი მექანიზმების შემუშავება, რომ მოხდეს ასეთი საფრთხეების სწრაფი განეიტრალება. ბევრი სახელმწიფო დღეს არ არის მზად, რომ ეფექტურად გაუმკლავდეს ასეთ გამოწვევას. საფრთხე კი ნამდვილად რეალურია და თუ დროზე არ მოხდება თავდაცვითი მექანიზმების შემუშავება, შეიძლება დიდი ფინანსური და მატერიალური ზარალი მიადგეს სხვადასხვა ქვეყნებს მომავალში. უპილოტო საფრენი აპარატების განადგურება შეიძლება მარტივი პროცედურა იყოს კონფლიქტურ ზონებში, სადაც სამხედროებს აქვთ შესაბამისი რესურსი და პოტენციალი, რომ



გაუმკლავდნენ ასეთ საფრთხეებს, მაგრამ გაცილებით რთულია მათი ლიკვიდაცია დასახლებულ პუნქტებში და მშვიდობიან ადგილებში, სადაც მოსახლეობას არ აქვს სპეციფიკური ცოდნა და არც გამოცდილება თუ როგორ აღმოფხვრას დრონიდან მომავალი საფრთხე.

თანამედროვე ტერორისტულ დაჯგუფებებს ადვილად შეუძლიათ სამომხმარებლო დონის დრონები გადააკეთონ ისე, რომ გამოიყენონ ისინი მსხვილმასშტაბიანი თავდასხმების განსახორციელებლად და მონინააღმდეგის გასანადგურებლად. მაგალითად, ისლამური სახელმწიფოს ტერორისტები ხშირად იყენებენ ასეთ დრონებს თვიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და მონინააღმდეგე თავდასხმის განსახორციელებლად. ტერორისტები დრონებს იყენებენ არა მარტო ტერორისტული შეტევების განსახორციელებლად, არამედ ასევე სათვალთვალო მიზნებისათვის. მათ მიერ დრონების გამოყენება ასევე აქტიურად ხდება პროპაგანდისტული მიზნებისათვის. (Shajkovi & Kanunnikova, 2021)

უპილოტო საფრენი აპარატებს და დრონებს აქტიურად იყენებენ ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორცაა ჰეზბოლა, ჰამასი, ალ ქაედა, ისლამური სახელმწიფო, და ა.შ. მომავალში შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს ტერორისტული ორგანიზაციების რიცხვი, რომლებსაც ექნებათ ოპერატიულ-ტაქტიკურ დრონები და მასიურად გამოიყენებენ მათ კონფლიქტების დროს.

## დასკვნა

დრონების გამოყენება სულ უფრო ხშირად ხდება შეიარაღებული კონფლიქტების დროს ბოლო ათწლეულებში, რის გამოც ძირეული ცვლილებები მოხდა ომის წარმოების ტაქტიკასა და სტრატეგიაში. უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება კონფლიქტის დროს შეიძლება ფინანსურად მომგებიანი იყოს პატარა სახელმწიფოსთვის, რომლის სამხედრო ბიუჯეტი შეზღუდულია და რომელსაც არ შეუძლია ძვირადღირებული საავიაციო ტექნიკის და საფრენი აპარატების შეძენა შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო. უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება დაიწყეს არა მარტო სახელმწიფოებმა, არამედ ასევე არასახელმწიფოებრივმა აქტორებმაც. განსაკუთრებით საშიში ხდება დრონების გამოყენება აგრესიული არასახელმწიფოებრივი აქტორების მიერ, რომლებიც უპილოტო საფრენი აპარატებს იყენებენ ტერორისტული აქტების განსახორციელებლად. რადგან ტერორისტული ორგანიზაციები სულ უფრო აქტიურად იყენებენ დრონებს თავიანთი აგრესიული მიზნების მისაღწევად, ამიტომ სახელმწიფოების მხრიდან საჭირო ხდება თავდაცვითი მექანიზმების შემუშავება და უსაფრთხოების სტრატეგიის დახვეწა, რომ უპილოტო საფრენი აპარატების მეშვეობით ორგანიზებული ტერორისტული აქტების სწრაფი და უსაფრთხო განეიტრალება მოხდეს ისე, რომ ზიანი არ მიაღწეს მშვიდობიან მოსახლეობას.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Walsh, James Igoe & Schulzke, Markus. 2018. „Drones and Support for the Use of Force“, Ann Arbor: University of Michigan Press <https://library.oapen.org/bitstream/id/dbc17a3f-949f-4f0a-8b59-acbb273e97c/1004146.pdf>
- Ramachandran, Sudha .2021. „Drone Attacks on Military Installation Rattle India’s Security Establishment“, the Diplomat <https://thediplomat.com/2021/06/drone-attacks-on-military-installation-rattle-indias-security-establishment/>
- Cancian, Matthew .2021. „WHAT’S THE BUZZ ABOUT DRONES? EVOLUTIONARY, NOT REVOLUTIONARY“, Modern War Institute <https://mwi.usma.edu/whats-the-buzz-about-drones-evolutionary-not-revolutionary/>
- Shajkovi, Ardian & Kanunnikova, Tatyana. 2021. „Drones in the Hands of Terrorists: What Happens Then? <https://russiancouncil.ru/en/analytics-and-comments/interview/drones-in-the-hands-of-terrorists-what-happens-then/>
ისლამი ყოველთვის იყო ზუსტად ის იდეოლოგია, რომელიც რუსეთის ჩრდილოკავკასიის ბატონობის წინააღმდეგ გამოდიოდა. ეს აშკარად ჩანს, XVIII-XIX საუკუნეების მოვლენებში; როდესაც რუსეთი ინტენსიურად ცდილობდა რეგიონში გაბატონებას. ამ დროს ჩეჩენეთი ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა მას და რელიგიურ-ისლამურ სლოგანებს იყენებდა, რუსეთი კი ამის საპასუხოდ ქრისტიანული არგუმენტებით გამოდიოდა.

ამავ დროს „ჭიჭადის“, „წმინდა ომის“ იდეა გავრცელდა, თუმცა ამ იდეამ ვერ მოახერხა მუსლიმანების გაერთიანება და ვერ შეუწყო ხელი ისლამური სახელმწიფოს დაარსებაში. ჩეჩენეთში ამ იდეოლოგიის მამამთავარი შეიხი მანსური იყო, რომელიც სოფლებს ანადგურებდა მხოლოდ იმის გამო, რომ იქაური მოსახლეობა მისი იდეის მიმდევარი არ იყო. ისლამური სახელმწიფოს შექმნის იდეის მიმდევრებს სჭეროდათ, რომ მხოლოდ ისლამური სახელმწიფო შეძლებდა დაპირისპირებოდა რუსეთის ზენოლას (Markedonov 2010).

ისლამი რუსეთ-კავკასიის ხალხების ფორმირების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო. ამ მხრივ არც საბჭოთა პერიოდი იყო გამონაკლისი. კომუნისტური ხელისუფლებისა და ჩეჩენეთის ურთიერთობაში ისლამს თავისებური, ზოგჯერ კი წინააღმდეგობრივი როლი ეკავა. კომუნისტური ხელისუფლება ხან „ეთამამებოდა“ მუსლიმანებს და კომპაკების ანტი-სოვეტურ მოძრაობას უპირისპირებდა (მაგ.: 1920 წ.), ზოგჯერ ისლამური

ტრადიციების და კანონმდებლობის გამოყენებით ამხნევებდა მათ; ხანაც, ისლამს თავის მტრად აცხადებდა და მეჩეთებს ანადგურებდა (1930-იან და 1980-იან წლებში) (Moore, Tumelty 2008).

აღსანიშნავია, რომ 1950-იან წლებში ჩეჩნური დიასპორა უკვე საკმაოდ გულგრილი იყო ისლამის მიმართ. თუმცა, უკვე საბჭოთა რეჟიმის დასასრულისკენ, ისლამი კვლავ მოთხოვნადი და პოპულარული გახდა რეგიონში, უფრო მეტიც, იგი სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთ ფაქტორადაც იქცა.

პირველი ჩეჩნური კონფლიქტი დაიწყო ისლამის აღორძინების ფონზე, ყოფილ სსრკ-ს ტეროტორიაზე. ჩრდილოკავკასიაში ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიური დაღესტანში და ჩეჩნეთში გახდა. ისლამურმა აღორძინებამ ხელი შეუწყო ჭიჭადის რეგენერაციას. ჩეჩენი ხალხის აზროვნებაში და მეხსიერებაში ჭიჭადი ღირსების, სიამაყის და ნებისმიერ გარედან შემოსული ძალის წინააღმდეგ დაპირისპირების გრძნობა და მრწამსი იყო (Borchevskaya n.d). შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ 1990-იან წლების დასაწყისი რელიგიური ემოციების ეიფორიის მოკლე პერიოდი იყო, რომელიც ჩეჩენ პოლიტიკოსებზეც იყო მოდებული, ამის მაგალითი ჩეჩნეთის რესპუბლიკის თვითგამოცხადებული პრეზიდენტი, ჯოჰარ დუდაევი იყო, რადგან ის თავდაპირველად არც კი ცდილობდა ისლამის პოლიტიკურ მიზნებში გამოყენებას.

რეგიონში ისლამის რადიკალიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია – მოსკოვის სამხედრო ქმედებები. მოსკოვს რომ არ გამოიყენებინა სამხედრო მეთოდები სეპარატისტების წინააღმდეგ, ჩეჩნეთში ისლამური აღორძინება ასეთ რადიკალურ და ექსტრემისტულ ფორმას არ მიიღებდა. ზუსტად მოსკოვი-გროზნოს სამხედრო კონფრონტაციამ მისცა ბიძგი რეგიონში რადიკალური ისლამის აყვავებას. 1996 წელს დუდაევმა თქვა: “რუსეთმა გვაიძულა ჩვენ ისლამის გზაზე დავმდგარიყავით, თუმცა, ჩვენ არ ვიყავით მზად იმისათვის, რომ ისლამის ღირებულებები მიგველო“ (Акаев 1999).

რელიგიური რენესანსის „წმინდა ომში“ ტრანსფორმაციამ ისლამი ჯერ ჩეჩნეთის კონფლიქტში, შემდეგ კი მთელ რეგიონში მთავარ ფაქტორად აქცია.

## **ჩეჩნეთის პოლიტიკური ლიდერების „ჭიჭადში“ შეფუთული ამოცანები**

დუდაევი და მისი მოკავშირეები იძულებულები გახდნენ, რომ რეალიზაცია თავიანთ პოლიტიკურ მიზნებში გამოეყენათ. არც დუდაევს და არც მის მოკავშირეებს ამ ნაბიჯების შედეგები არ ჰქონდათ გათვალისწინებული. ზუსტად ამ გადადგმულ ნაბიჯებს მოჰყვა დუდაევის სიკვდილი 1996 წელს, რამაც გამოიწვია ჩეჩნური საზოგადოების და მისი სამხედრო-პოლიტიკური ლიდერების განხეთქილება. (Buttaeva 2009).

რა თქმა უნდა, დუდაევის ისლამისკენ გადახრამდეც ჩეჩნეთში უკვე არსებობდა ისლამური დაჯგუფებები, რომლებიც თავის თავს სალაფიტებად აღიარებდნენ და ცდილობდნენ მთელი ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში „წმინდა ისლამის“ გავრცელებას. ჩეჩნეთში გამოჩნდა ისლამური ისლამური პარტია, რომელიც კვაზი-სალაფიტურ იდეოლოგიაზე იყო დაფუძნებული და მისი ლიდერი, ისლამ ხალიმოვი იყო, რომელიც შემდგომ დუდაევის მრჩეველი გახდა. სალაფიტები ჩეჩნეთში საკმაოდ აქტიურ ქადაგებას ეწეოდნენ, თუმცა, დაღესტანთან შედარებით, ის ნაკლებად წარმატებული იყო. ეს პარტია ჩეჩნეთში და მთელ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონშიც ვერ ჩამოყალიბდა სრულყოფილ ოპოზიციურ პარტიადა, რადგან მისი აქტივობა მხოლოდ „საგანმანათლებლო სფეროში“ შემოფარგლებოდა და „წმინდა ისლამს“ პროპაგანდირებდა (Malashenko 2012).

ჩეჩნური პოლიტიკოსების მიზანი ისლამის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება წარმოადგენდა. თვით დუდაევიც კი, თავისი აღზრდის, ცხოვრების სტილისა და პროფესიიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, საკუთარ თავს ღრმა მორწმუნედ არ თვლიდა. მართალია, ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ „ის ბავშვობიდანვე ღრმა რელიგიური რწმენის ადამიანი იყო“, მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ მუსლიმანი თითქმის არასდროს არ აღიარებს ათეისტურ შეხედულებებს საჯაროდ (Markedonov 2010).

ამჟამად, რომ ჩეჩნეთში ჭიჭადის იდეოლოგიის გამავრცელებელი თვით დუდაევი იყო. სხვა შემთხვევაში ეს იდეოლოგია რესპუბლიკაში ვერ დამკვიდრდებოდა. ამის კიდევ ერთი დასტურია დუდაევის 1991 წლის ნოემბრის ცნობილი განცხადება: „მოსკოვი, ჩვენი თავისუფლების გამო, უბედურების ზონად უნდა იქცეს“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტექსტში სიტყვა ჭიჭადი არ არის ნახსენები, მის ფრაზეოლოგიაში და რიტორიკაში ჩანს, რომ დუდაევს გადანყვეტილი ჰქონდა რელიგიური ფაქტორის პოლიტიკურ მიზნებში გამოყენება (Сборник указов Президента Чеченской Республики 1992).

რაც დრო გადიოდა, მით უფრო რწმუნდებოდნენ დუდაევი და მისი მოკავშირეები იმაში, რომ ჭიჭადი ჩეჩნეთის თავისუფლებისთვის ბრძოლაში ყველაზე კარგი იდეოლოგია და ხერხი იყო. ისინი თვლიდნენ, რომ

„წმინდა ომი“ გააერთიანებდა და გაახალისებდა ხალხს ბრძოლი-სათვის (Souleimanov 2017). გამომდინარე იქიდან, რომ ბრძოლამ თავისუფლებისათვის „წმინდა ომის“ კლიშე მიიღო, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ორმაგი იდენტი-ტობის იყო: რელიგიური და ნაციონალური. 1998 წელს, ჩეჩნეთის მუფტი აჰმედ-ჰაჯი კადიროვი (რომელიც ვაჰაბიზმის შეურიგებელი მტერი იყო) გამოაცხადა, ჩეჩნეთის რეგისტრაციის მოძრაობა უნდა ჩაითვალოს ჯერ რელიგიურ და მერე ნაციონალურ მოძრაობად” (Акаев 1999).

ჯიჰადი ისლამურ აღორძინებასთან ასოცირდებოდა. ჩეჩნეთის ცნობილი პოლიტიკოსი და დუდაევის სიკვდილის შემდგომ, რამდენიმე თვით ჩეჩნეთის პრეზიდენტი ზელიმხან იანდარბიევი თქვა: „ჩეჩნეთში ისლამური აღორძინების პროცესი ყველაზე კარგად არის ინტერპრეტირებული, როგორც „ჯიჰადი“ ან „გაზავატი“. ყველა შემთხვევაში ასეთი შეფასება ძალიან კარგად უხდება 1990 წლების პირველ ნახევარში განვითარებულ მოვლენებს (Berezhnoy 2004).

მიუხედავად იმისა, რომ ჩეჩენურმა ჯიჰადმა რუსეთის მუსლიმანების სრული მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, მათი აზრით, ჩეჩნეთის ქმედებები ისლამს რეპუტაციას უღახავს და ამის გამო მის მიმართ ხალხში უარყოფითი დამოკიდებულება გაჩნდა. რა თქმა უნდა, არსებობდნენ განსხვავებული პოზიციის ადამიანებიც: თათრეთის და ბაშკორტოსტანის ზოგიერთი რადიკალური დაჯგუფების წევრი იმდენად ამ იდეის ერთგული იყო, რომ მოხალისედ მიდიოდა ჩეჩნეთში საბრძოლად (Yarlykapov 2003).

რთულია ამის შეფასება თუ ჩეჩნეთის მოსახლეობის რომელმა ნაწილმა მხარი დაუჭირა ქვეყნის ისლამიზაციას და რომელიც ამ პროცესს ოპოზიციის მიზნად მიიჩნევდა. თუმცა, ერთი რამ არის ცხადი, ისლამიზაციის მხარდაჭერები თავის ოპოზიციისაგან განსხვავებით, მეტად იყვნენ აქტიურნი და თავის მიზნის მისაღწევად ძალას არ იშურებდნენ. უფრო მეტიც, სალაფიტები ჩეჩნეთის ყოველდღიურ ცხოვრებაშიც კი ეროვნულად მათ აკრძალეს ალკოჰოლის გაყიდვა და მოხმარება, ქალები აიძულეს ისლამისათვის შესაფერისი სამოსი ეტარებინათ და ა.შ. ისინი ჩაერივნენ ხალხის რელიგიურ ცხოვრებაში, აკრძალეს „ტარიკატის“ ადათ-წესები მაგალითად წმინდა შეიხების გასვლა (Sagramoso, Yarlykapov 2020).

ქვეყნის საბედნიეროდ, სალაფიზმის ოპოზიციის მასხადოვისა და კადიროვის მომხრეები მათგან ძლიერნი აღმოჩნდნენ. 1997 წლის აგვისტოში გუდერამში სახელმწიფო დაცვის ანუ მასხადოვის მხარდაჭერით ვაჰაბიზმის მომხრეებს შორის შეიარაღებული ბრძოლის შედეგად „შარიათის მომხრეების“ დაჯგუფებების ლიდერები და მქადაგებლები, ბაგუტდინ მუჰამედის მეთაურობით, განდევნილ იქნენ.

თუმცა, მასხადოვისა და მისი მომხრეების წარმატება ნაწილობრივი იყო: ისლამური რადიკალები აგრძელებდნენ ბასაევის მხარდაჭერას, რომლებსაც „ვაჰაბიზმის“, როგორც პოლიტიკური ძალის, ასევე რელიგიური ტრენდის დამარცხება არ სურდათ (Текушев, Шевченко 2011).

1999 წლის ბასაევის ცნობილმა თავდასხმამ დაღესტანზე ჩეჩნეთის მეორე სამხედრო კამპანია გამოიწვია, რის შედეგადაც მისმა მხარდაჭერებმა საკმაოდ დიდი დანაკარგი განიცადეს, ქვეყანაში შედგა პრო-მოსკოვური სამოქალაქო ადმინისტრაცია და ქვეყანა გადავიდა ფედერალური ძალების კონტროლის ქვეშ. 2000 წელს კადიროვი მუფტიის თანამდებობიდან გადადგა და ქვეყნის ადმინისტრაციის მეთაურად დაინიშნა.

## დასკვნა

ბოლო 30 წლის მოვლენებმა გვიჩვენეს, რომ რუსეთში ისლამის აღორძინება ისლამიზმის ფორმით მიმდინარეობს და ეს პროცესი თანდათან პოლიტიკური ორგანიზაციების აღორძინებასა და საქმიანობაში გადადის აქ რელიგია გადაჭაჭვულია პოლიტიკასა და კრიმინალურ საქმიანობასთან. იმ კონფლიქტების გამოკვლევისას, რომელშიც ჩართული არიან ისლამური რადიკალისტები, ძალიან რთულია განასხვავო ვაჰაბიტების იდეოლოგია კრიმინალური ქმედებებისაგან, რადგან მათი „საღვთო საქმიანობა“ ნარკოტიკების არალეგალურ ბრუნვას, იარაღით ვაჭრობას, ადამიანების გატაცებასა და ტყვედ აყვანას უკავშირდება. ამრიგად, კრიმინალი პირდაპირ კავშირშია პოლიტიკურ და ძალაუფლების მქონე ჯგუფების რელიგიურ საქმიანობასთან, ეს უკანასკნელი მჭიდროდ არიან დაკავშირებული რადიკალებთან. დღეისათვის ისლამი რუსეთში, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ არის გავრცელებული, უფრო მეტ მასშტაბებს იძენს და სწრაფად ვრცელდება.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Akaev, V. Sufism and Wahhabism in the North Caucasus. Confrontation or Compromise? Makhachkala. 1999. //Акаев, В. (1999). Суфизм и ваххабизм на Северном Кавказе. Конфронтация или компромисс? Махачкала//.
- Akaev, V. Religious and political conflict in the Chechen Republic of Ichkeria // Central Asia and the Caucasus. No. 5. 1999. //Акаев, В. (1999). Религиозно-политический конфликт в Чеченской Республике Ичкерия // Центральная Азия и Кавказ. №5//.
- Buttaeva, A. Islamic Revival in Russia. Bulletin of the Dagestan Scientific Center of the Russian Academy of Sciences. 36. 2009.
- Borschevskaya, A. The Future of Chechens in ISIS. Hate Speech International Investigating Extremism. (n.d.).
- Berezhnoy, S. Islamic Fundamentalism in the South of Russia Monograph, Rostov-on-Don Publishing House SKNTs VSh. 2004.
- Borschevskaya, A. The Future of Chechens in ISIS. Hate Speech International Investigating Extremism. (n.d.).
- Collection of decrees of the President of the Chechen Republic. (1992). from November 1, 1991 to June 30, 1992. //Сборник указов Президента Чеченской Республики. (1992). с 1 ноября 1991 г. по 30 июня 1992 г//.
- Domitilla Sagramoso, D. Yarlykarov, A. Jihadist violence in the North Caucasus. Political, social and economic factors. In: Yemelianova, G.M. and Broers, L, eds. The Routledge Handbook of the Caucasus, London: Routledge, pp.273-287. 2020.
- Golubchikov, Y., Mnatsakanyan, R. The Islamization of Russia: Alarming Scenarios for the Future. М. 2005. //Голубчиков, Ю., Мнацаканян, Р. (2005). Исламизация России: тревожные сценарии будущего. М//.
- International Crisis Group. Jihad on Export? North Caucasian Underground and Syria Report. № 238. Brussels, Belgium. 2016.
- International Crisis Group. Europe Report: N°220. The North Caucasus: The Challenges of Integration (I), Ethnicity and Conflict. Author. 2012.
- Markedonov, S. Radical Islam in the North Caucasus: Evolving Threats, Challenges, and Prospects. A Report of CSIS and Eurasia Program. 2010.
- Markedonov, S. Radical Islam in the North Caucasus: Strangers in the Night. A report of the CSIS and Eurasia Program. 2010.
- Moore, C., & Tumelty, P. Foreign Fighters and the Case of Chechnya: A Critical Assessment. Studies in Conflict and Terrorism, 31(5), 412–433. 2008.
- Malashenko, I. The glitter and poverty of Chechen Islam, in Genadiy Chufrin, ed., The Security of the Caspian Sea Region. Oxford: Oxford University Press. 2001.
- Malashenko, A. All is not quiet in Russian Islam. Carnegie Moscow Center. (2012). Souleimanov, E. (2017). The North Caucasus Insurgency: Dead or Alive? Strategic Studies Institute and U.S. Army War College Press.
- Tekushev, I., Shevchenko, K. Islam in the North Caucasus: History and Modernity. Medium
- Orient. 2011. //Текушев, И., Шевченко, К. (2011). Ислам на Северном Кавказе: История и Современность. Medium Orient//.
- Yarlykarov, A. Islamic education in the North Caucasus in the past and present. Herald of Eurasia. 2003.



# ჩვენური ნაციონალიზმის ეკონომიკური ასპექტები

## შადიმან ბინაძე

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის  
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის  
მაგისტრანტურის უსაფრთხოების კვლევის  
მიმართულების ასოცირებული პროფესორი

## აბსტრაქტი

მსოფლიოში იშვიათია ერი, რომელსაც არ აქვს საკუთარი „ნაციონალური იდეა“ - ჩამოყალიბებული კონსენსუსი ეთნიკური ერთობის ძირეული ინტერესების შესახებ.

ჩვენების ნაციონალური იდეა ემყარება ჩვენთვის უმთავრესი სიმდიდრის ნავთობის მოპოვების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ასპექტებს. ამ მხრივ ჩვენური ნაციონალიზმი ძალიან წააგავს ბასკურ ნაციონალიზმს.

XIX ს-ის ბოლოს ბასკთა ქვეყნის ტერიტორიაზე სომოსროსტროსა და გალდამესაში აღმოჩენილმა რკინის მადანმა ბასკეთი ესპანეთის მძიმე მეტალურგიის ცენტრად აქცია. რკინის მადნის ექსპლუატაციამ, რასაც ძირითად უცხოური ფირმები ახორციელებდნენ, მნიშვნელოვნად შეცვალა ბასკეთში სოციალ-პოლიტიკური ვითარება, რამაც მძლავრი ბიძგი მისცა ბასკების ეროვნულ მოძრაობას. მოძრაობა, რომელიც ბასკური ენის დაცვის საბაბით დაიწყო, საბოლოო ჯამში ცენტრსა და რეგიონს შორის სისხლიან დაპირისპირებაში გადაიზარდა...

ანალოგიური პროცესები განვითარდა ჩვენთვის ნავთობის აღმოჩენის შემდეგ. სანავთობო ინდუსტრიის აღმავლობამ უცხო ელემენტის რაოდენობრივი ზრდა მოყვა, რამაც ჩვენების იდენტობას გარკვეული საფრთხე შეუქმნა. გარდა იმისა, რომ მოპოვებული ნავთობის რეალიზაციიდან ჩვენებს ფაქტიურად არაფერი რჩებოდათ, ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებდა და თვით ჩვენებს შორის არსებული კლანური დაპირისპირება ნავთობის მოპოვებისა და დისტრიბუციის მექანიზმების გაკონტროლების მიზნით.

ნაციონალიზმმა, რომელიც ეკონომიკური ფაქტორებით იკვებება, შეიძლება უმძიმესი შედეგები მოიტანოს, რომლის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს ჩვენთვის ორი ომი. დაპირისპირებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან უამრავი მსხვერპლი მოყვა, კონფლიქტი კი ბოლომდე ჯერაც არ არის დასრულებული და შესაძლებელია მომავალში განახლდეს კიდევ.

საქართველოს მოსაზღვრე რეგიონში კონფლიქტის განახლებამ ქვეყნის უსაფრთხოებას შესაძლებელი გარკვეული პრობლემები შეუქმნას. მოვლენების აღნიშნული სცენარით განვითარების შემთხვევაში სწორ პოლიტიკურ მიდგომასთან ერთად აუცილებელია შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება ხელისუფლების მხრიდან.

### საკვანძო სიტყვები:

ყარაბაღის მეორე ომი, სამხრეთი შეთანხმება, თანამშრომლობის ახალი ფორმატი 3+3, რეუნიფიკაციის პროცესი, საიმედო პარტნიორები.

# ECONOMIC ASPECTS OF THE CHECHENS NATIONALISM

**SHADIMAN BITSAZDE**  
ASSOCIATE PROFESSOR OF MASTER'S DEGREE  
PROGRAM IN SECURITY RESEARCH AT  
LEPL DAVID AGMASHENEBELI  
GEORGIAN NATIONAL DEFENSE ACADEMY

## ABSTRACT

There are infrequent encounters a nation in the world that does not have its own "national idea" - formulated a consensus about the fundamental interests of ethnic unity.

The national idea of the Chechens is based on aspects of oil extraction, processing and sale of the main wealth of Chechnya. In this respect, Chechen nationalism is very similar to Basque nationalism.

At the end of the 19th century, discovered iron ore at Somorostro and Galdamesa in the Basque Country made the Basque Country the center of heavy metallurgy in Spain. The exploitation of iron ore, carried out by major foreign firms, significantly changed the socio-political situation in the Basque Country. The current situation gave a powerful impetus to the emergence of the Basque national movement, which started under the pretext of defending the Basque language, eventually turned into a bloody confrontation between the center and the region...

Similar processes unfolded after the discovery of oil in Chechnya. The rise of the oil industry, followed by an increase in the number of foreign elements, posed a certain threat to the identity of the Chechens. Apart from the fact that the Chechens had virtually nothing left from the sale of the extracted oil, the situation was further aggravated by the clan confrontation between the Chechens themselves to control the mechanisms of oil extraction and distribution.

Nationalism fueled by economic factors, can have dire consequences, as evidenced by the two wars in Chechnya. The confrontation with the central government has resulted in numerous casualties, but the conflict is not over yet and may even resume in the future.

The resumption of the conflict in the border region of Georgia will create certain possible problems for the security of the country. If this scenario develops, along with a correct political approach, appropriate preventive measures will be required on the part of the state.

### **KEYWORDS:**

The second Karabakh war, trilateral agreement, the new format of "3 + 3" cooperation, Reunification process, reliable partners.

## შენახალი

ნავთობის კუსტარული გზით მოპოვება და გამოყენება ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ XIX-ის 30-იან წლებში დაიწყო. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ის გროზნოს შემოგარენში შეინიშნებოდა.

1885 წლიდან ცნობილი მეცნიერის დიმიტრი მენდელეევის ხელმძღვანელობით ნავთობის საბადოების მეცნიერულ კვლევა-ძიებას მყარი საფუძველი ჩაეყარა. 1893 წელს ძველი გროზნოს ტერიტორიაზე აღიმართა პირველი ჭაბურღილი და ჩეჩნეთში დასაბამი მიეცა ნავთობის მრეწველობას. საწყის ეტაპზე განსაკუთრებით აქტიურობდნენ ინგლისური ფირმები, რომლებიც თანდათანობით შეავიწროვეს როტშილდებმა. 1913 წლიდან გროზნოს ნავთობის უმდიდრეს საბადოებს ფლობდნენ მსხვილი ფირმები „ნობელი“, „შელი“ და „ოილი“. დღის წესრიგში დადგა მოპოვებული ნავთობის ტრანსპორტირების პრობლემა.

### ჩეჩნური ნავთობის დივერსიფიკაცია რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შუაგულში

1913 წელს ფირმამ „ა. ახვერდოვი და CO“ დაიწყო საკუთარი ნავთობსადენის გროზნო-პეტროვსკის (მახაჩყალა) მშენებლობა, რომელიც ერთი წლის შემდეგ დასრულდა: მილსადენი შედგებოდა 4 საქაჩი სადგურისაგან - გროზნო, გუდერმესი, ხასავიურტი, ტემირგოე. პეტროვსკში აშენდა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და ნავსადგური. 1917 წლის ნოემბერში გაჩენილმა ხანძარმა მილსადენი მწყობრიდან გამოიყვანა. რევოლუციამ გარკვეული კორექტივები შეიტანა რეგიონის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

1918 წლის მაისში შეიქმნა ჩრდილო კავკასიის მთიელთა რესპუბლიკა, რომლის არსებობამ მხოლოდ ერთი წელი გასტანა. გროზნოს ნავთობის საბადოთა დიდი ნაწილი ხელში ჩაიგდო რესპუბლიკის პრეზიდენტმა, წარმატებულმა ნავთობმრეწველმა აბდულ-მეჩიდ (ტაპა) ჩერმოვემა, რომელიც ერთი წლის შემდეგ იძულებული გახდა ემიგრაციაში წასულიყო. სწორედ ტაპა ჩერმოვეის ფინანსებით გამოიცემოდა ვარშავაში ფრანგულ ენაზე ჟურნალი „პრომეთე“ (რედაქტორი გიორგი გვაზავა) და ჟურნალი „კავკასია“, რომლის გარშემო იყო შემოკრებილი ე.წ. „ბამატის ჯგუფი“ (პეიდარ ბამატი-ჩერმოვეის სიძე, მთიელთა რესპუბლიკის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი) -შ. ამირეჯიბი, ზ. ავალიშვილი, გ. კვინიტაძე, რ. გაბაშვილი [დაუშვილი და უტიაშვილი 2011, 143].

ემიგრაციაში „ოილ დატჩ შელის“ მეპატრონემ, „ნავთობის ნაპოლეონმა“ ჰენრი დეტერტინგმა (1900 წელს მან ნიდერლანდური სამეფო ნავთობკომპანია „როიალ დატჩი“ ბრიტანულ კომპანიას - „შელს“ შეუერთა) ტაპა ჩერმოვეისაგან იაფად შეიძინა ჩეჩნეთში არსებული ნავთობსაბადოები იმ იმედით, რომ ბოლშევიკების ხელისუფლება დროებითი იქნებოდა, მაგრამ მოვლენები მისთვის სამწუხაროდ განვითარდა. 1918 წელს რსფსრ ხელისუფლებამ სპეციალური დეკრეტით ნავთობმრეწველობის სრული ნაციონალიზაცია მოახდინა.

1921 წლის მარტში „ბაქო-ბათუმის ახალი ხაზი იქნა გაყვანილი თბილისამდე, ხოლო 20 მაისისათვის ბათუმში ნავთობის პირველი პარტია გადაიტვირთა. რეგიონის გასაბჭოების შემდეგ იმავე წლის ივნისში ლენინი პირადად გაეცნო პროექტს გროზნო-არმავირი-ტიხორეცკაია განშტოებით ცარიცინისა და ტუაფსესაკენ და სპეციალისტებისაგან დადებითი პასუხის მიღების შემდეგ დაამტკიცა მისი მშენებლობის დანწყება.

აშშ-ს სამშენებლო ფირმების მიერ საჭირო თანხის გამოყოფაზე უარის თქმის შემდეგ იძულებული გახდნენ, საკუთარი მწირი შესაძლებლობებიდან გამომდინარე გროზნო-ტეპლოვოდნაიას მონაკვეთის გაყვანის შემდეგ სამუშაოები შეეჩერებინათ. მუშაობა განახლდა 1926 წელს. ლითონის მიღების მწვავე დეფიციტის ფონზე, შექმნილმა კომისიამ, რომელსაც ცნობილი ინჟინერი ვ.გ. შუხოვი მეთაურობდა, მიიღო გადაწყვეტილება ნავთობის ტრანსპორტირებისათვის ხის მილები გამოეყენებინათ. 1928 წლის ნოემბრიდან 1929 წლის მაისამდე გროზნოდან ტუაფსემდე გადაიტვირთა ნედლი ნავთობის დიდი პარტია, ხოლო შემდეგ ტუაფსეში გადამამუშავებული ნავთობი, რომელიც ტუაფსეს ქარხანაში იქნა გადამამუშავებული. სწორედ ამ დროს ნ.ნიკოლაძემ წამოაყენა საკითხი გროზნო-ფოთის მილსადენის გაყვანის შესახებ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო აღნიშნული პროექტი განუხორციელებელი დარჩა.

### ნავთობი - ჩეჩნური ნაციონალიზმის საფუძველი

საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე ცენტრსა და რეგიონს შორის უაღრესი სიმწვავეთ გამოირჩეოდა, რასაც 1944 წელს ჩეჩნების შუა აზიაში გასახლება მოჰყვა.

რეაბილიტაციის შემდეგ ჩეჩნებსა და მათ ტერიტორიაზე ჩასახლებულ რუსებს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაართულდა. რუსმა მოსახლეობამ მასობრივად დაიწყო ჩეჩნეთიდან გადინება, რასაც თან გარკვეული ექსცესები ახლდა.

„მიუხედავად რუსებსა და ჩეჩნებს შორის დაძაბული ურთიერთობებისა, მოსკოვისათვის აშკარა იყო ეკონომიკური მოტივაცია, რომლის გამოც აუცილებელი იყო ჩეჩნეთის შენარჩუნება: საბჭოთა მხრეს სჭირდებოდა ჩეჩნეთში მოპოვებული მაღალი ხარისხის ნავთობი, დამატებითი მილსადენების ქსელი და ჩეჩნეთზე გამავალი სახმელეთო საკომუნიკაციო ხაზები, მაგრამ 1980-იანი წლების პერიოდში ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი შიგნიდან იშლებოდა“ [2, 303].

კომუნისტური იმპერიის შენარჩუნებისათვის გატარებულმა დემოკრატიულმა რეფორმებმა შედეგები ვერ გამოიღო და 1991 წლის 24 მარტს ერთ დროს მონოლითური ქვეყანა დაიშალა.

სსრკ-ს დაშლის ფონზე საინტერესოდ განვითარდა პოლიტიკური პროცესები ჩეჩნეთში. 1991 წლის 27 სექტემბერს ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული იქნა გენერალი ჯოხარ დუდაევი, რომელიც დაპირდა მოსახლეობას, რომ ნავთობის მეშვეობით უახლოეს დროში მეორე კუვიტად გადააქცევდა რესპუბლიკას.

ჩეჩნეთის მოლოდინი მალე იმედების გაცრუებით შეიცვალა. ნავთობის მეშვეობით ჩეჩნური ელიტის მლაპრული მოგების ფონზე მოსახლეობის ცხოვრების დონე კატასტროფულად დაეცა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოსკოვმა შეწყვიტა სახელმწიფო სექტორის დაფინანსება, რაც ფაქტიურად დოტაციაზე უარის თქმას ნიშნავდა.

პრეზიდენტი დუდაევი იძულებული გახდა ჩეჩნეთში არსებული „ნავთობის მაფიისათვის ბრძოლა გამოეცხადებინა, რომლის სათავეშიდაც იდგნენ პირველი ვიცე-პრემიერი იარაგი მამადაევი, ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის დირექტორი ადამ ალბაკოვი და გროზნოს მერი ბესლან განტემიროვი.

1993 წელს თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ მაღალმა თანამდებობის პირებმა მოსკოვს შეაფარეს თავი და დუდაევის შეიარაღებულ ოპოზიციად იქცნენ -1994 წლის 26 ნოემბერს ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ გროზნოს ასაღებად გამართულ სამხედრო ოპერაციებში.

1994 წლის 20 სექტემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანიასა და უცხოეთის 12 ნავთობკომპანიას შორის გაფორმდა „საუკუნის კონტრაქტი“, რომელიც ითვალისწინებდა კასპიის აუზის ენერგომატარებლების მოპოვებასა და ტრანსპორტირებას. აღნიშნული ფაქტით დაიმედებულმა ჯოხარ დუდაევმა სამთავრობო დელეგაციასთან ერთად ერთგვარი ვოიაჟი განახორციელა აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში საქმიან წრეებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების მიზნით, მაგრამ უშედეგოდ. ნავთობის რეალიზაციის მიზნით დუდაევა გადაწყვიტა ჩეჩნეთის ტერიტორიიდან საავტომობილო გზა გაეყვანა საქართველოსაკენ. „ჯოხარს სურდა გაერღვია ბლოკადა. დიდი საიდუმლოების დაცვით შენდებოდა გზა გაუვალ მთებში საქართველოსაკენ, რომელიც უნდა გამხდარიყო სიცოცხლის გზა. ის კილომეტრებს ითვლიდა...“ - წერს ალა დუდაევა [Дудаева 2005, 67]. საბოლოოდ დუდაევი თვითონვე აღმოჩნდა კორუფციაში ჩართული. მან პირად კონტროლზე აიყვანა ნავთობთან დაკავშირებული ყველა საკითხი, თვითონვე გასცემდა ლიცენზიებს ნავთობის მოპოვება-რეალიზაციასთან დაკავშირებით, საიდანაც საკმაოდ დიდი თანხები მის პირად ანგარიშებზე ირიცხებოდა და სხვადასხვა ქვეყნებში უძრავი ქონების შექმნას ხმარდებოდა.

1996 წლის 21 აპრილს ჯოხარ დუდაევი ფიზიკურად იქნა განადგურებული. პრეზიდენტის პოსტზე ის ასლან მასხადოვმა შეცვალა, რომელმაც ნავთობის მოპოვებისა და რეალიზაციის გაკონტროლების უფლებისათვის დაწყებული პირველი სისხლისმღვრელი ომი ხასავიურტის შეთანხმებით დაასრულა, თუმცა დროებით.

1996 წლის 31 აგვისტოს ხელი მოეწერა ხასავიურტის შეთანხმებას ა. მასხადოვსა და ა. ლეებდს შორის „რუსეთის ფედერაციასა და ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობების განმსაზღვრელ ძირითადი პრინციპების შესახებ“. აღნიშნული შეთანხმება შედგა ჩეჩნეთისათვის ხელსაყრელ სიტუაციაში. 6 აგვისტოდან 22 აგვისტომდე წარმატებით ჩატარებული საომარი ოპერაციების („ჯიჰადი“) შედეგად ჩეჩნებმა ფედერალებს დაათმობინეს ქალაქები გროზნო, გუდერმესი და არღუნი. ხელშეკრულების ძალით შეწყდა სამხედრო მოქმედებები ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, მოხდა რუსეთის სამხედრო ნაწილების გაყვანა ჩეჩნეთიდან და სტატუსის განსაზღვრის ვადამ გადაინია 2001 წლის 31 დეკემბრამდე.

ხასავიურტის შეთანხმების დადებისთან ერთად გაფორმდა რუსეთ-აზერბაიჯანის ხელშეკრულება კასპიის ნავთობის ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გატარების შესახებ. ხელშეკრულების გაფორმებას ხელი შეუწყო რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებამ ჩეჩნეთის ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის შესახებ. 1997 წლის სექტემბერში რუსეთის, აზერბაიჯანისა და ჩეჩნეთის წარმომადგენლებმა მიაღწიეს შეთანხმებას კასპიის ნავთობის ტრანზიტის შესახებ გროზნოს გავლით ნოვოროსიისკამდე, მაგრამ რუსეთის მხარემ აღნიშნული შეთანხმება დაარღვია - ნაკისრი ვალდებულება ჩეჩნური მხარისადმი ტრანზიტის საფასურთან დაკავშირებით არ შეასრულა. შექმნილი



მდგომარეობიდან გამომდინარე აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტმა ნატიგ ალიევმა დაუფარავად განაცხადა, რომ აზერბაიჯანის მხარე იძულებულია ვასპის ნავთობის დივერსიფიკაციისათვის ალტერნატიული გზები მოიხსოს. 1997 წლის აგვისტოში ასლან მასხადოვი თბილისს ეწვია და შეხვედრები და მოლაპარაკებები გამართა ქვეყნის პირველ პირებთან. იმავე წელს თბილისში ჩამოვიდა ჩეჩნეთის პარლამენტის დელეგაცია. გაგრძელდა მოლაპარაკებები ორი კავკასიელი ხალხის საქმიან კავშირებზე მათი შემდგომი დაახლოების მიზნით. მოლაპარაკებებში დასმულ იქნა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხიც. მასხადოვმა გამოთქვა სინანული ჩეჩნების აფხაზეთის ომში მონაწილეობის გამო [მენაღარიშვილი 2013,13].

ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებმა ფაქტიურად ხელი შეუწყო ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენის გაყვანას, რომელიც 1999 წლის 17 აპრილს შევიდა ექსპლოატაციაში.

აზერბაიჯანული მხარის სკეპტიციზმს თავისი ახსნა ჰქონდა. ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მასობრივად მიმდინარეობდა ე.წ. „საველე მეთაურების“ მიერ როგორც მოპოვებული ნავთობის კრიმინალური დატაცება, ასევე მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილების მითვისებაც. გროზნოს შემოგარენში განსაკუთრებით აქტიურობდა გროზნოს მერი ლეჩი დუდაევი, ჯოხარის ძმის, ბეკმურზას ვაჟი. (დუდაევი იყო საველე მეთაურებიდან ერთადერთი, ვისაც ნავთობთან პროფესია აკავშირებდა. მას დამთავრებული ჰქონდა გროზნოს ნავთობის ინსტიტუტი. ინჟინერ-მექანიკოსის დიპლომით. დაიღუპა 2000 წლის 31 იანვარს გროზნოს ალყიდან გასვლის დროს - ნაღმზე აფეთქდა. მაშინ დაკარგა ტერფი შამილ ბასაევა). უმდიდრეს საბადოებს აკონტროლებდნენ ვიცე-პრეზიდენტი ვახა არსანოვი, შამილ ბასაევი, სალმან რადეევი და სხვები.

1997 წლის 12 მაისს ასლან მასხადოვმა უკვე პრეზიდენტის რანგში რუსეთის პრეზიდენტთან ერთად ხელი მოაწერა „რუსეთის ფედერაციასა და ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩკერიას შორის შეთანხმებას მშვიდობისა და ურთიერთობების პრინციპების შესახებ“. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ჩეჩნეთის სოციალ-ეკონომიური კომპლექსის აღდგენას და რაც მთავარია, საფინანსო-ფისკალური ურთიერთობების ნორმალიზებას.

იმავე დღეს ვიქტორ ჩერნომირდინმა და ასლან მასხადოვმა ხელი მოაწერეს სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებას ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“ ფართო მამტაბის შეთანხმების პირობების მომზადების დაცვით.

მოლაპარაკების დროს ყურადღების ცენტრში იყო ჩეჩნეთის სტატუსი. შეთანხმების მიხედვით ჩეჩნეთი ცხადდებოდა, როგორც რუსეთის ფედერაციასთან „საკუთარი ნებით“ გაერთიანებული სახელმწიფოებრივი ერთეული.

კონფლიქტის დარეგულირებისათვის გადადგმულმა ნაბიჯმა თავისი შედეგი გამოიღო - 1997 წლის 25 ოქტომბერს აზერბაიჯანიდან ნოვოროსიისკის პორტში გროზნოს გავლით ნავთობის პირველი პარტია გადაიტვირთა, საიდანაც ტანკერებით მოხდა მისი ტრანსპორტირება ევროპაში.

თუ ჩეჩნეთის პირველი კამპანია „ჯიჰადის“ ფონზე წარიმართა, მეორე ომი ა. მასხადოვის გადანყვეტილებით „ვაჰაბიზმის“ დროშით უნდა წარმართულიყო. ჩეჩნეთის მუფტი ა. კადიროვი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის წინააღმდეგი წავიდა და საველე მეთაურებთან, ძმებ იამადავებთან ერთად გუდერმერისა და კურჩალოს რაიონები ფედერალურ ძალებს უბრძოლველად გადასცა.

2000 წლის 20 ივნისიდან ა. კადიროვი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ადმინისტრაციის უფროსის თანამდებობაზე ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე. ა. კადიროვი შეეცადა ერთგვარი წესრიგი დაემყარებინა ნავთობის ინდუსტრიაში, მაგრამ უშედეგოდ - კრიმინალს ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. „მარცხენა“ ნავთობპროდუქტებით დატვირთული სატვირთო მანქანების ნაკადი ინგუშეთისა და დაღესტნისაკენ არ შეწყვეტილა. ადგილი ჰქონდა ერთგვარ სიმბიოზს - ფედერალები „ბოვიკებთან“ ერთად აწარმოებდნენ არალეგალურ ბიზნესს [5].

აჰმად კადიროვმა შექმნილ ვითარებაზე ფედერაციის უშიშროების საბჭოზე ისაუბრა პუტინის თანდასწრებით, რასაც რუსეთის პრეზიდენტის ჩეჩნეთში ჩასვლა მოჰყვა. გამოძიებამ 4 500-მდე საიდუმლო ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის არსებობა და ნედლეულის უკანონო რეალიზაციის უამრავი ფაქტი დაადასტურა დატაცების დღიური მოცულობა დაახლოებით 1500-2000 ტონას აღემატებოდა. სარგებლობდა რა კრემლის მხარდაჭერით, ა.კადიროვმა დაიწყო საკუთარი შეიარაღებული ფორმირებების ჩამოყალიბება მასხადოვისა და ბასაევის წინააღმდეგ პირადი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, რაც პრინციპში წარმოუდგენელი იყო ნავთობის კონტროლისა და რეალიზაციის გარეშე. კადიროვის აზრით, ომის დროს განადგურებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად აუცილებელი იყო შექმნილიყო სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი რესპუბლიკის მთავრობის დაქვემდებარებაში. მის გათვლებში იყო ერთგვარი ლოგიკა.

2000 წელს რუსეთის ფედერაციის მთავრობის N1320 დადგენილებით ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ნავთობის



მოპოვებისა და დივერსიფიკაციის უფლება გადაეცა სახელმწიფო კორპორაციას „როსნეტს“. „როსნეტმა“ თავის მხრივ შექმნა შვილობილი კომპანია „გროზნეტგაზი“, რომელსაც „გადაულოცა“ ნავთობის მოპოვებისა და გადამუშავების უფლება, თვითონ კი გადამუშავებული ნავთობის ტრანსპორტირება და რეალიზაციის პრეროგატივა დაიტოვა, რაც კომპანიას დიდ მოგებას მისცემდა. თუ „გროზნეტგაზი“ ჩეჩნეთის მთავრობის საკუთრებაში გადავიდოდა, როგორც დამოუკიდებელი კომპანია, მთელი შემოსავალი რესპუბლიკის ბიუჯეტში დარჩებოდა [6].

მიუხედავად იმისა, რომ 2003 წელს აჰმად კადიროვი ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე აირჩიეს, მას არ დასცალდა ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა 2004 წლის 22 აგვისტოს გროზნოს სტადიონზე განხორციელებული ტერაქტის შედეგად მძიმედ დაიჭრა და საავადმყოფოში მიყვანამდე გზაში გარდაიცვალა. ცოტა მოგვიანებით 2005 წლის 8 მარტს პირადი მცველის ვესხან ხაჯიმურატოვის მიერ მოკლულ იქნა ჩეჩნეთის მეორე ომის დროს ჩეჩნური წინააღმდეგობის ხელმძღვანელი ასლან მასხადოვი.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მან ინტერვიუ მისცა ინტერნეტგამოცემას „ჩეჩენურესს“, სადაც აღნიშნავდა, რომ ერთადერთი გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან იყო ჩეჩნეთის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა და მოლაპარაკებების დაწყება. მასხადოვი რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას ერთგვარ გარიგებას სთავაზობდა. მიუთითებდა, რა დასავლეთის ქვეყნების გააქტიურებაზე ვასპის ზღვის რეგიონში. 1998 წლის აპრილში აშშ-ს სენატში სპეციალური კანონპროექტის „აბრეშუმის გზის სტრატეგიის“ დამტკიცების შემდეგ მასხადოვი შემდეგი ინიციატივით გამოვიდა - „აღუთქვამთ რუსეთს, თუ ის გაიყვანს ჯარებს, ჩვენ თვითონვე გავამაგრებთ მის სამხრეთის საზღვრებს და არ დავუშვებთ აქ სხვა სახელმწიფოების გავლენას, არ გავატარებთ მათ ვასპისაკენ თუ ჩვენ რუსეთი გავვიგებს და დაგვეხმარება“. [7] დიდ გამჭირახობას არ მოითხოვს იმის ამოცნობა, თუ რა ინტერესები ამოძრავებდა და ამოძრავებს დღესაც ჩეჩნეთის პოლიტიკურ ელიტას - ესაა უზარმაზარი მოგება ნავთობის რეალიზაციის გზით.

2007 წლიდან აჰმად კადიროვი მისმა ვაჟმა რამზანმა შეცვალა, რომელმაც მამის დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა - 2016 წელს მან ოფიციალური თხოვნით მიმართა პუტინს „გროზნეტგაზის“ ჩეჩნეთის საკუთრებაში გადასვლასთან დაკავშირებით. 2018 წლის 18 სექტემბერს სპეციალური ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

რუსეთის ფედერაციის სუბიექტებიდან ჩეჩნეთის რესპუბლიკა მესამეა (თათარსტანისა და ბაშკორტოსტანის შემდეგ!), რომელსაც საკუთარი ნავთობკომპანია გააჩნია, რომელიც ჩეჩნეთის მართველი ელიტის დაფინანსებას და აქედან გამომდინარე ცენტრისადმი მისი ერთგულებისა და ლოიალობის ყიდვას ხმარდება, რაც კიდევ ერთხელ უსვავს ხაზს რუსეთის ფედერაციის რეგიონალური პოლიტიკის სრულ აბსურდულობას.

## დასკვნა

ნავთობი ჩეჩნეთში და ფართო გაგებით ჩრდილოეთ კავკასიაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა და ახდენს რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. სიმდიდრე, რომელიც უნდა ხმარდებოდეს ჩეჩენ ხალხს დღემდე რჩება ზღვარდაუდებელი კორუფციის უმთავრეს მიზეზად და ხშირ შემთხვევაში რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლენით მთავრდება.

ჩეჩნეთში განვითარებული მოვლენები უყურადღებოდ ვერ დარჩება საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომლის უმთავრესი მოვალეობაა ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დაცვა. ჩეჩნურ ნაციონალიზმს არაფერი აქვს საერთო რელიგიურ ფუნდამენტალიზმთან და მის საფუძველს ეკონომიკური ასპექტები განსაზღვრავს.

## გამოყენებული ლიტერატურა

- დაუშვილი, რუსუდან და შოთა უტიაშვილი. (2011). საქართველო-დასავლეთი ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან. საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ. თბილისი; გამომცემლობა „გრიფონი.“
- ომებისა და სამხედრო ხელგუნების ისტორია. (2013). ნაწილი II. წიგნი II. თბილისი; საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია.
- მენადარიშვილი, ირაკლი. (2013). ჩრდილოეთ კავკასია-საქართველოს პრობლემური სამუშაო. ექსპერტის აზრი. თბილისი; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.
- Дудаева, Алла. (2005). Миллион Первый. Екатеринбург; УЗЛ. Ультра. Культура.
- Истинные причины войны в Чечне  
<https://golosislama.com/news.php?id=3587> ბოლო წვდომა 22,11,2021
- Нефть как фактор, вызвавший войну в Чечне  
<https://www.svoboda.org/a/24196654.html> ბოლო წვდომა 22,11,2021
- Масхадова хватит на 5-10 лет  
[https://www.gazeta.ru/politics/2004/07/06\\_a\\_131923.shtml](https://www.gazeta.ru/politics/2004/07/06_a_131923.shtml) ბოლო წვდომა 22,11,2021

# სამოქალაქო ინვესტირება და განსაზღვრული ხიდეების გამოყენების შესაძლებლობა თავდაცვის ძალებში

## ჯამბულ ფალოვილი

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი  
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

### აბსტრაქტი

სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესი, განსაკუთრებით ციფრულ სფეროში, გავლენას ახდენს ცხოვრების ყველა სფეროზე. ამ პროგრესმა, რომელიც დაიწყო ბიზნეს სექტორში, გამოიწვია ტექნოლოგიის დემოკრატიზაცია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც იარაღი. ტექნოლოგიური მიღწევები ასევე ქმნის ახალ დილემებს სამხედროების მიერ ამ ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით.

ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, ახალი ტექნოლოგიები, რომელთაც შეუძლიათ ჩაშალონ საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება, სერიოზულ გამოწვევებს უქმნის შეკავების, თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკას.

#### **საკვანძო სიტყვები:**

ახალი ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, კიბერშეტევა, ციფრული ტექნოლოგიები, ხიდეები, სამხედრო ხიდეები.

# POSSIBILITY OF USING CIVILIAN INVENTORY AND FOLDING BRIDGES IN THE DEFENSE FORCES

JAMBUL ZALOSHVILI

LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY, PHD STUDENT  
DOCTORAL PROGRAM IN MILITARY ENGINEERING

## ABSTRACT

Technological progress, especially in the digital field, is affecting all aspects of life. This progress, which began in the business world, has led to the democratization of technologies that can be used as weapons. Technological advances are also creating new dilemmas regarding the use of these technologies by the military. At the national and international levels, new technologies that can disrupt the normal functioning of society pose serious challenges to containment, defense and security policies.

**KEYWORDS:**

New technologies, Artificial intelligence, Cyber-attack, Digital technologies, Bridges, Military bridges.

## შესავალი

ქვის ხანიდან დაწყებული დღემდე - ახალი ტექნოლოგიები დიდი გავლენას ახდენს საომარ მოქმედებებზე და არის რევოლუციების გამომწვევი სამხედრო საქმეში. საომარი მოქმედებები, თავის მხრივ, ხშირად აჩქარებს ტექნოლოგიების განვითარებას, რომლებიც შემდგომში გამოიყენება სამოქალაქო ცხოვრებაში. ადამიანის მიერ მატერიალური სამყაროს მიზანმიმართულ მანიპულირებას თითქმის ყოველთვის ჰქონდა ორმაგი მიზანი - სანადირო იარაღები და გემები, ასაფეთქებელი ნივთიერებები და შიდა წვის ძრავები, რკინიგზა და თანამგზავრები, ეტლები და გალერეები, მექანიზირებული სატრანსპორტო საშუალებები და მფრინავი აპარატები. საინჟინრო მეცნიერება ყოველთვის მონაწილეობდა საომარი მოქმედებების წარმოებაში, დაწყებული გამაგრებულ ნაგებობების მოწყობითა და არტილერიით და კომუნიკაციებითა და დაზვერვით დამთავრებული. თუმცა, სამხედრო მიზნებისთვის სამეცნიერო კვლევების სისტემატური ჩატარება დაიწყო მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დროს და, შეგვიძლია ვთქვათ, კულმინაციას მიაღწია ცივი ომის დროს.

ტექნოლოგიურად მოწინავე სამხედრო ლიდერები ყოველთვის ახერხებდნენ, რომ ტექნოლოგია გამხდარიყო ომის პირობებში საბრძოლო ეფექტურობის გაზრდის ფაქტორი და ამით უფრო მეტი ზიანი მიეყენებინათ მოწინააღმდეგისათვის ან შეეზღუდათ მოწინააღმდეგის მიერ მოყვნიებული ზიანი. ისტორიული მაგალითებით ტექნოლოგიური უპირატესობა იწვევს გამარჯვებას, მაგრამ არ არის გამარჯვების გარანტი: თანაბარი სიძლიერის დაპირისპირებული მხარეები ურთიერთმიმართებში ახერხებენ მოიპოვონ შედარებითი უკეთესი ტაქტიკური უპირატესობები და შესწავთ მათზე რეაგირება, ხოლო ამჟამად ნაკლები სიძლიერის მოწინააღმდეგეები თუნდაც იმავე კონფლიქტში, ხშირად (და ზოგჯერ წარმატებით) იყენებენ საპასუხოდ "ასიმეტრიულ" ტაქტიკას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საომარი მოქმედებების პროცესში ტექნოლოგიური უპირატესობა ყოველთვის ფარდობითია მტრის პოტენციალთან.

ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად იცვლება კონფლიქტების განვითარების ხასიათი. ხელოვნური ინტელექტი (AI) და მანქანათმცოდნეობის მიღწევები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ტრანსფორმაციულ პროცესში, რის შედეგადაც იცვლება საფრთხეების ხასიათი. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება აუმჯობესებს კიბერშეტევების სიზუსტეს, ასევე ფიზიკურ თავდასხმებს და თავდასხმებს ბიოლოგიური იარაღის გამოყენებით, ამასთანავე ართულებს დამნაშავეთა იდენტიფიცირებას. ხელოვნური ინტელექტის განვითარების შედეგად, მსოფლიო ლიდერების მიერ მისი განვითარების მასობრივი დაგრობის მიუხედავად, შესაძლებელი გახდა ლეტალური იარაღის ავტონომიური სისტემების გამოყენება. ასეთი იარაღი განსაზღვრავს და ანადგურებს კონკრეტულ სამიზნეს ადამიანის ჩარევის გარეშე. ადამიანი ხელმძღვანელობს მორალური პრინციპებით და მართავს სისტემას, რომელსაც გადაეცემა პასუხისმგებლობა გადანყვებილების მიღებაზე სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ და ხელმძღვანელობს კომპლექსური მონაცემთა ბაზებით, თანაგრძნობისა და ეთიკური ნორმების გარეშე.

დღეს ყველაზე გავრცელებული საფრთხე კიბერშეტევებია. წლიდან წლამდე შეტევების რაოდენობა და შეტევის ობიექტები იზრდება. გასული წლის განმავლობაში გამოვლინდა ასზე მეტი კიბერინციდენტი, რამაც შეიძლება შეაფერხოს საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება. ასეთმა თავდასხმებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი და გამოიწვიოს მსხვერპლი.

ციფრული ტექნოლოგიები ასევე დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. დღეს ექსტრემისტულ ჯგუფებს აქვთ უპრეცედენტო წვდომა ფართო საზოგადოებაზე ინტერნეტის საშუალებით, რაც მათ საშუალებას აძლევს უფრო ეფექტურად განახორციელონ მოხალისეთა დაქირავების, ნახალისებისა და პროპაგანდისტული კამპანიები, ასევე შეიძინონ იარაღი და განახორციელონ არარეგულირებული ფულადი გზავნილები.

ტექნოლოგიური პროგრესი სულ უფრო მეტ სივრცეს იკავებს თანამედროვე საზოგადოების ყოველდღიურ სამოქალაქო და სამხედრო ცხოვრებაში.

## ინჟინერული და გასაშლელი ხიდები

ხიდი ზოგადი მცნებაა და მოიცავს ნაგებობათა ფართო სპექტრს, ამიტომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში - იგი იცვლება შესაბამისი კონკრეტული დასახელებით.

სახიდე ნაგებობები - ხელოვნური საინჟინრო ნაგებობებია, რომლებიც ეწყობა როდესაც გზა (საავტომობილო, სარკინიგზო, საქვიითო) გადაკვეთს წყლის დაბრკოლებას (ხიდი), სხვა გზას (გზაგამტარი), ღრმა ხევებს ან კანიონებს (ვიადუკი), ქალაქისა და მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიას (ესტაკადა).

ხიდების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი მახასიათებლების გათვალისწინებით: ფუნქციური დანიშნულება;

ბურჯებისა და მალის ნაშენის ტიპი; მალის ნაშენში გამოყენებული მასალა; სატრანსპორტო მოძრაობის დონე; სტატიკური სქემა; მალის ნაშენის ძირითადი მზიდი ელემენტების მდებარეობა წყლის ზედაპირთან მიმართებაში; გადასალახი წინაღობების კვეთა; ხიდის სიგრძე; საექსპლოატაციო ხანგრძლივობა.


სახიდე ნაგებობების აგება რთული კომპლექსური სამშენებლო ამოცანაა, რომელშიც გაერთიანებულია პროექტირება, საჭირო კონსტრუქციული ელემენტების დამზადება და ყველა სამშენებლო ელემენტის მონტაჟი.

სახიდე ნაგებობების მშენებლობის პროცესში ძირითადად გამოიყენება რკინაბეტონის ან ლითონის ინვენტარული მალის ნაშენის კონსტრუქციები, რომელთა კლასიფიცირება ხდება კონსტრუქციის ტიპის, სტატიკური სქემისა და გამოყენებული სამშენებლო მასალის მიხედვით.

**ა) რკინაბეტონის ხიდების ინვენტარული მალის ნაშენის კონსტრუქციები**

რკინაბეტონის ხიდების ინვენტარული მალის ნაშენის კონსტრუქციები არმირების ტიპის მიხედვით შეიძლება იყოს წინასწარდაძაბული არმატურით და ჩვეულებრივი არმატურით.

რკინაბეტონის ხიდების ინვენტარული მალის ნაშენის კონსტრუქციები სტატიკური სქემის მიხედვით არის კოჭური (ჭრილი, უჭრი, კონსოლური), ჩარჩოვანი, თაღური (იხ. ნახ. 1.1).




ნახ. 1.1 რკინაბეტონის ხიდების ძირითადი სისტემები:

- ა) ჭრილ-კოჭური;
- ბ) უჭრ-კოჭური;
- გ) კოჭურ-კონსოლური;
- დ) ჩარჩოვანი;
- ე) თაღური.

მცირე და საშუალო რკინაბეტონის ხიდები ძირითად ჭრილ-კოჭური სისტემისაა. უფრო მეტი სიგრძის სახიდე ნაგებობების მშენებლობის დროს გამოიყენება უჭრ-კოჭური კონსტრუქციები. უჭრ-კოჭური კონსტრუქციები სამშენებლო მასალის ხარჯით ეკონომიურია ჭრილ-კოჭურ კონსტრუქციებთან შედარებით, მაგრამ უფრო მგრძობიარეა ბურჯების არათანაბარი ჯდენის და ტემპერატურული დეფორმაციების მიმართ, რის გამოც მათი გამოყენება იზღუდება ზოგიერთ შემთხვევაში. რკინაბეტონის ხიდების ჩარჩოვანი მალის ნაშენის კონსტრუქციებში დგარები რიგელთან ხისტად არის დაკავშირებული და ერთობლივად მუშაობენ დატვირთვებზე. რკინაბეტონის ხიდების ჩარჩოვანი მალის ნაშენის კონსტრუქციები გამოირჩევა სიხისტით და სამშენებლო მასალის მეტი ხარჯით, ვიდრე ჭრილ-კოჭური მალის ნაშენის კონსტრუქციები, მაგრამ მათთვის დამახასიათებელია იგივე შემლუდვები რაც უჭრ-კოჭური მალის ნაშენის კონსტრუქციებისათვის. რკინაბეტონის ხიდებში თაღური მალის ნაშენის კონსტრუქციები გამოიყენება ძალიან დიდი სიგრძის სახიდე ნაგებობების მშენებლობაში. თაღური მალის ნაშენის კონსტრუქციების უპირატესობა ჭრილ-კოჭურ მალის ნაშენის კონსტრუქციებთან არის ის, რომ თაღი უმთავრესად მუშაობს კუმშვაზე და ყველაზე მეტად უზრუნველყოფს რკინაბეტონის სიმტკიცის თვისებებს. თაღური სისტემის მალის ნაშენის კონსტრუქციები შეიძლება იყოს გამბჯენიანი, უგამბჯენო, უსახსრო და სახსროვანი სისტემის. თაღური ხიდები კაპიტალურ ხიდებს მიეკუთვნება, ხოლო მათი მოწყობა მოითხოვს დიდ დროსა და დიდ ხარჯებს.

კომბინირებულ რკინაბეტონის ხიდებში შეიძლება გამოყენებული იყოს ორი ან მეტი სხვადასხვა სისტემის მალის ნაშენის კონსტრუქციები. კომბინირებულ ხიდებს მიეკუთვნება თაღური სისტემის მალის ნაშენის კონსტრუქციების შუასაველელი ხიდი, კიდული სისტემის მალის ნაშენის კონსტრუქციები და ვანტური სისტემის მალის ნაშენის კონსტრუქციები (იხ. ნახ. 1.2).






ნახ. 1.2 კომბინირებული სისტემის ხიდები:

- ა) თაღური შუასავლელი;
- ბ) ვანტური;
- გ) კიდული.

**ბ) ლითონის ხიდების ინვენტარული მალის ნაშენის კონსტრუქციები**


ლითონის ინვენტარული მალის ნაშენის კონსტრუქციები გამოიყენება დიდი და ძალიან დიდი სახიდე ნაგებობების მშენებლობის პროცესში. ისინი გამოირჩევიან ექსპლუატაციის ხანგრძლივი დროით - 70 წელი და მეტი. ლითონის ხიდების საიმედოობა დიდი დინამიური დატვირთვების ქვეშ მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილია სამშენებლო ფოლადით, რომელსაც გააჩნია მაღალი სიმტკიცე და პლასტიკურობა. ლითონის ხიდების ძირითადი უპირატესობებია: ინდუსტრიალიზაცია და მაღალი ხარისხის ქარხნული წარმოება; ავტომატური ელექტრომედულების გამოყენება; მონტაჟის პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება, სამუშაოების მექანიზაცია და მუშა-მოსამსახურეთა შრომის მცირე ინტენსივობა. ლითონის ხიდების ძირითადი უარყოფითი მხარეა მისი კონსტრუქციული ელემენტების მგრძობელობა კოროზიის მიმართ, რაც მოითხოვს მათ სპეციალურ მოვლას ექსპლუატაციის პერიოდში. ლითონის ხიდები არსებობს კოჭური, თაღური, ჩარჩოვანი და კომბინირებული სისტემების (იხ. ნახ. 1.3 და ნახ. 1.4).



ნახ. 1.3 ლითონის ხიდების კოჭური სისტემის მალის ნაშენები:

- ა),ბ) ტრილ-კოჭური;
- გ),დ,ე) უტრ-კოჭური;

l - მალის ნაშენის სიგრძე; l1-სანაპირო მალის სიგრძე; h-სავალი ნაწილის კოჭის სიმაღლე; H-ფერმის სიმაღლე.



ნახ. 1.4 ლითონის ხიდების თალური, ჩარჩოვანი და კომბინირებული სისტემის მალის ნაშენები:

ა),ბ),გ),დ),ე),ვ) თალური და კომბინირებული;

ზ),თ) თალი-შემკოჭით; ი) ჩარჩოვანი;

l - მალის ნაშენის სიგრძე; l1 - სანაპირო მალის სიგრძე; h-სავალი ნაწილის კოჭის სიმაღლე; H-ფერმის სიმაღლე; f-თალის სიმაღლე.

ლითონის ხიდების ტიპური მალის ნაშენის კონსტრუქციული ელემენტების აწყობისა და მონტაჟის პროცესში გამოიყენება ელექტროშედუღება, მაღალსიმტკიციანი ჭანჭიკები და მოქლონები.

### გ) გასაშლელი ხიდები

გასაშლელი ხიდები (ასანყობ-დასაშლელი) - ეს არის სხვადასხვა რელიეფის პირობებში მრავალჯერადი გამოყენების უნიფიცირებული ლითონო-კონსტრუქციული ელემენტების ერთობლიობა.

გასაშლელი ლითონის ხიდები უზრუნველყოფენ:

- ხიდების გაშლასა და დემონტაჟს დროის მცირე მონაკვეთში, მოსამზადებელი და მექანიზირებული სამუშაოების მოცულობების მკვეთრად შემცირების ხარჯზე;

-სახიდე ნაგებობების სხვადასხვა რელიეფის პირობებში მშენებლობის პროცესში სამშენებლო მასალების ფაქტიურ შემცირებას ერთი და იგივე უნიფიცირებული ლითონოკონსტრუქციული ელემენტების გამოყენების ხარჯზე;

-უნიფიცირებული ლითონოკონსტრუქციული ელემენტების საკუთარი მასის მნიშვნელოვნად შემცირებას, მათში უფრო ეფექტური მასალების გამოყენებით;

-უნიფიცირებული ლითონოკონსტრუქციული ელემენტებში რაციონალური კონსტრუქციული ფორმების გამოყენებას, რომელთა დამზადებაც შესაძლებელია ქარხნებში;

-უნიფიცირებული ლითონოკონსტრუქციული ელემენტების მარტივ ტრანსპორტირებას, მონტაჟსა და დემონტაჟს;

-სამუშაოების წარმოების პროცესში მომსახურე პერსონალის შემცირებას.

ვინაიდან გასაშლელი ხიდები მრავალჯერადი უნიფიცირებული ლითონოკონსტრუქციული ელემენტების კომპლექტია და მათი გამოყენება მოითხოვს სამუშაოების შესრულების პროცესში გარკვეულ პროფესიონალურ ცოდნას, ისინი ითვლებიან ტაბელურ საშუალებებად.

გასაშლელი ხიდები სპეციალურ სახიდე ნაგებობებს წარმოადგენს, რომელთა დანიშნულება ხელოვნური საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა და მწყობრიდან გამოსული ხიდების აღდგენაა სარკინიგზო და საავტომობილო გზებზე. საავტომობილო გზებზე გასაშლელი ხიდები გამოიყენება როგორც დროებით ხიდებად, ასევე მცირე დროით, მწყობრიდან გამოსული სახიდე ნაგებობის აღდგენამდე.

სტატიკური სქემის მიხედვით გასაშლილი ხიდები უმეტეს შემთხვევაში ჭრილ-კოჭური სისტემისაა. ასეთი ტიპის კონსტრუქციები მარტივია დასამზადებლად, მონტაჟისათვის, ადვილია მათი ტრანსპორტირება და ნაკლებად მგრძობიარეა ბურჯების შესაძლო დაჯდომის მიმართ.

გასაშლილი ხიდების კონსტრუქციებში შეიძლება გამოყენებული იქნას უჭრი, კიდული და კომბინირებული სტატიკური სქემის ელემენტები.

გასაშლილი ხიდების კონსტრუქციებში ძირითადად გამოიყენება მაღალი მარკის ლითონები, იშვიათად მსუბუქი შენადნობები.

გასაშლილი ხიდების კონსტრუქციებით ეწყობა როგორც ქვესავლელი ასევე ზესავლელი ხიდები. მცირე და საშუალო გასაშლილი ხიდების კონსტრუქციებით ეწყობა ზესავლელი ხიდები, დიდი გასაშლილი ხიდების კონსტრუქციებით - ქვესავლელი ხიდები. ზოგიერთ შემთხვევაში ქვესავლელი ხიდები ღია პროფილისაა, მათ არ აქვთ ჰორიზონტალური კავშირები.

## დასკვნა

სახიდე ნაგებობა - ეს უძველესი საინჟინრო ნაგებობა დღესაც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში. ტექნოლოგიური პროგრესი დიდ გავლენას ახდენს სახიდე ნაგებობების საინჟინრო კონსტრუქციებზე, თუმცა ამით მათი ძირითადი ფუნქცია არ იცვლება და ერთნაირად მნიშვნელოვანია ადამიანთათვის, როგორც მშვიდობიანობის დროს, ასევე ომში.

ტაქტიკური დანიშნულების მიხედვით სამხედრო ხიდები იყოფა: საიერიშო ხიდებად, რომლებიც უზრუნველყოფენ საბრძოლო ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის გადაადგილებას ბრძოლის ველზე; გამყოლ ხიდებად, რომლებიც მიყვება ჯარებს და უზრუნველყოფს ჯარების გადაადგილებას სხვადასხვა სახის წინააღმდეგობაზე; ზურგის ხიდებად, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯარების გადაადგილებასა და ტვირთების გადაზიდვას ოპერაციის რაიონის ზურგში.

ხიდების, როგორც საგზაო ინფრასტრუქტურის შემადგენელი ნაწილის განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების საკითხს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გასაშლილი (ასანწყობ-დასაშლილი) ხიდების გამოყენება, რადგან მისი გაშლა და საჭიროების შემთხვევაში დემონტაჟი მოითხოვს ნაკლებ დროს და ადამიანურ რესურსს, ეს კი ჩვენს დღევანდელ რეალობაშიც, როდესაც არსებობს საფრთხე (ვარაუდი, რისკი), რომ მონინალმდევამ სამხედრო ინტერვენცია განახორციელოს საქართველოს ტერიტორიაზე და მოახდინოს ძირითადი საკომუნიკაციო ხაზების (მათ შორის ხიდების) კონტროლი, საქართველოს თავდაცვის ძალებს საშუალებას მიცემს ალტერნატიული გზებით მოახდინოს მუდმივი გენოლა მონინალმდევგზე და ამასთანავე შეინარჩუნოს მოქმედებების უწყვეტობა.

აღნიშნული უპირატესობების გამო გასაშლილი ხიდები გამოიყენება, როგორც ომიანობის დროს ჯარების გადასაყვანად და სამხედრო ტვირთების გადასაზიდად, ასევე სტიქიური უბედურებების დროს, მწყობრიდან გამოსული სახიდე გადასასვლელების აღსადგენად და ჩასანაცვლებლად.

გასაშლილი ხიდები მუდმივ მოდიფიცირებას განიცდის და მრავალი ქვეყნის საინჟინრო ჯარებში გამოიყენება.

საჭიროების შემთხვევაში, ვითარებიდან გამომდინარე, თავდაცვის ძალების მატერიალური რესურსების გათვალისწინებით, ოპერაციების ჩატარების დროს, საჭირო გახდება ინვენტარული ხიდების გამოყენება ზურგის ხიდებად.

სამოქალაქო ინვენტარული და გასაშლილი (ასანწყობ-დასაშლილი) ხიდების გამოყენებით თავდაცვის ძალებს მნიშვნელოვნად გაუმარტივდებათ თავდაცვითი და სამოქალაქო ხელისუფლების მხარდამჭერი ოპერაციების ჩატარება.

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხიდები უმნიშვნელოვანესი საინჟინრო ნაგებობაა, რომელთა გამართულ ფუნქციონირებაზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ასევე ჰუმანიტარული, სამხედრო და პოლიტიკური კეთილდღეობა.

## გამოყენებული ლიტერატურა

- В. О. Осипов [и др.]. Мосты и тоннели на железных дорогах : учебник для вузов / Москва, Транспорт, 1988. 367с.
- В. Г. Курлянд, В. В. Курлянд. Строительство мостов : учебник для вузов / Москва, МАДИ, 2012. 176с.
- ელგუჯა მეძმარიაშვილი [და სხვები]. სამშენებლო ხელოვნების სპეციალური ზოგადი კურსი/ თბილისი, საქართველოს სამხედრო საინჟინრო აკადემია, 2005. 838 გვ.
- Ю. В. Дмитриев, А. С. Дороган. Аналитические методы расчета висячих и вантовых мостов /Хабаровск, ДВГУПС, 2008. 194 с.
- Н. П. Дианов, Ю. С. Милородов. Табельные автодорожные разборные мосты: учеб. Пособье /Москва, МАДИ(ГТУ), 2009. 236 с.
- Andreas Krieg, Jean-Marc Rickli, Surrogate Warfare: The Transformation of War in the Twenty-First Century, Washington (D.C.), Georgetown UP, 2019.
- Thomas Rid, Cyber War Will Not Take Place, London, Hurst & Co., 2013 and 2017. См. также Antonio Missiroli, "The Dark Side of the Web: Cyber as a Threat", European Foreign Affairs Review, vol.24, no.2, 2019, 135-152.

# SOCIAL ADAPTATION OF DISCHARGED MILITARYMEN IN A DYNAMIC ENVIRONMENT

RASHAD IBRAHIMOV  
WAR COLLEGE OF THE ARMED FORCES,  
REPUBLIC OF AZERBAIJAN

## ABSTRACT

Although the military art has a centuries-old history, the issue of social adaptation of discharged militarymen (both retired and dismissed) was not the subject of research until the end of World War II. Some discharged militarymen face serious difficulties in finding a civilian occupation. The process of adapting to the civilian life of a person who leaves the umbrella is painful. According to the researcher, this situation can even be described as a “crisis”.<sup>1</sup> As a result, people who are able to contribute to the development of society see themselves as “defenseless”, which creates an additional risk group for the state. According to Tarziyev, an average of 70% of expert on the social adaptation of discharged militarymen, notes that the demobilization of servicemen face serious difficulties in choosing a civil occupation.<sup>2</sup> However, as noted, this approach does not apply to all discharged militarymen.

**KEYWORDS:**

discharged militarymen, retired, dismissed, social adaptation, dynamic environment, civilian integration.

---

1 Venelin Terziev, Ibid.

2 Michelle Fox, Ibid.



Although the military art has a centuries-old history, the issue of social adaptation of discharged militarymen (both retired and dismissed) was not the subject of research until the end of World War II. The vast majority of discharged militarymen face various obstacles in the process of integration into civilian life. Experience shows that one-third of discharged militarymen are offered jobs in various private organizations, banks or licensed security companies. Some discharged militarymen face serious difficulties in finding a civilian occupation. Despite being highly skilled, many are unable to find work for months and, over time, lose their skills. McNeill described the successful integration of discharged militarymen into civilian life as follows: "Discharged militaryman is considered to have assumed a new (civil) role, it has relinquished its military behaviour and has adapted to industrial procedures and norms in a short period of time" [1, p.33]. Otherwise, they will be unemployed for months or even years, unable to provide for their previous living conditions and most importantly, want to be addressed with his military rank in civilian life. Researchers, such as Drass, Ulman, and McDonald have generally described the process of adaptation of discharged militarymen before the end of their service as follows: "Approaching separation from the military heralds a dramatic loss of prestige, power and authority. The service gives the professional military man the opportunity to perform tasks considered important, responsible, creative and demanding. The uniform adds self-respect and meaning to what he is doing. By the time the military professional contemplates retirement, he is accustomed to deference and a panoply of military symbols that command it. He has enjoyed the upward climb, the competition, and the rewards of satisfactory service that have carried him continually higher in his profession. He now faces starting at the bottom, bereft of the commonly accepted myths and symbols of power in the military society. He fears becoming at 45 as awkward as the young recruits he now commands. He feels he is turning from a whale into a minnow. Other intrapsychic problems stem from unfamiliarity with the new world he is about to enter" [1, p.8]. Venelin Tarziyev, an expert on the social adaptation of discharged militarymen, notes that the demobilization of servicemen results in the overthrow of many of their families and many of their hopes, future prospects and personal development [2]. In general, even before discharge, servicemen must prepare for civilian life. Bill Sweet, a retired U.S. military official, claims the training should be based on the soldier's financial situation. Tara Falcon, founder of the ReisuP education company, also states that preparation for the adaptation process is a prerequisite for discharge [3]. At the same time, according to Sweet, in the military, people form a specific identity, they know their role very well and in civil life this is a very complicated issue [3]. The reason for this is that the military is a strictly structured organization, and many issues are carried out against the will of the serviceman, and in civilian life, on the contrary, all the responsibility falls on him. No one is doing anything for him. Strange as it may sound in this regard, the researcher presented the Kilpatrick military organization as the most perfect example of human security. The process of adapting to the civilian life of a person who leaves the umbrella is painful. According to the researcher, this situation can even be described as a "crisis" [1, p.8]. As a result, people who are able to contribute to the development of society see themselves as "defenseless", which creates an additional risk group for the state. According to Tarziyev, an average of 70% of expert on the social adaptation of discharged militarymen, notes that the demobilization of servicemen face serious difficulties in choosing a civil occupation [2]. However, as noted, this approach does not apply to all discharged militarymen.

## USED MATERIALS

- 1. Terziev, V. Social adaptation of military servicemen, discharged from military service, in dynamic social environment // IJASOS- International E-Journal of Advances in Social Sciences, Vol. V, Issue 13, – 2019. April; – p. 250-257.
- 2. Fox, M. 6 key financial strategies for life after military service: [Electronic resource] / November 9, 2019  
URL: <https://www.cnbc.com/2019/11/09/6-financial-strategies-for-life-after-military-service.html>
- 3. The Military to Civilian Transition / US Department of Veterans Affairs, – 2018. – 58 p.

# CHARACTERISTICS OF HYBRID WARFARE RETROSPECTIVE ANALYSIS

**KHAYAL ISKANDAROV**

PHD, ASSOC. PROF. PIOTR GAWLICZEK

PHD MAHAMMAD AKBAROV

WAR COLLEGE OF THE ARMED FORCES, REPUBLIC OF AZERBAIJAN  
UNIVERSITY OF WARMIA AND MAZURY, POLAND

## ABSTRACT

The article presents the characteristic features of hybrid warfare based on retrospective analysis. The authors seek to describe the current security environment, where hybrid strategies are used for political purposes. Historical examples are brought to the fore and it is emphasized that Russia is not the only actor that can apply hybrid tactics. According to the authors, this could be any country with a certain power and interest in different regions. Neoclassical realism has been chosen as the means to make sense of this study. The main objective of this paper is to introduce the characteristics of hybrid warfare based on the retrospective analysis.

### KEYWORDS:

Hybrid warfare, hybrid threat, Bronze Soldier, Stuxnet, frozen conflict, asymmetric war.

An analysis of recent history shows that there has been a sharp decline in traditional wars, but this does not mean that military operations are off the agenda. Changes in the nature of conflicts make it necessary to divert resources from traditional forces to those capable of fighting asymmetrically. John Chambers claims that only about 20 percent of all conflicts since 1918 are traditional and that this trend will not change in the future.<sup>1</sup>

Researchers are divided into proponents and skeptics of a “hybrid war” as a new type of war. Although Roger McDermott calls hybrid war a myth, Michael Koffman and Mathew Rojansky emphasize that hybrid war cannot replace the traditional notion of war. According to Mary Ellen O’Connell, similar examples of war can be found in the history of the twentieth century, so the events in Ukraine are not an example of a new type of war.<sup>2</sup>

Superpowers or regional actors try to “justify” their intervention in some countries in different ways. This, in fact, leads to “purposeful instability” through non-kinetic operations. The main goal is to put pressure on the state to achieve its political and military goals. If “instability” causes external interference, then how is “instability” created? The answer is very simple: by creating different conflicts. Although not all, most conflicts in human history have been carried out through the application of asymmetric operations based on the use of the opponent’s weaknesses, thus creating complex situations involving regular/irregular and traditional/non-traditional tactics. There are different approaches of “hybrid warfare” to various scientists and researchers. According to Jarna Petman, professor of international law at the University of Helsinki, “Hybrid operations are to directly affect the internal affairs of other states without the use of force”.<sup>3</sup>

The term “hybrid warfare” was first used in 2005. Later, Hezbollah’s strategy in the 2006 Lebanese war was described as a hybrid war. Since then, the term “hybrid” has become the basis of all discussions about modern and future wars. The concept of hybrid warfare first became popular in 2007 with the publication of Frank Hoffman’s book – “Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars”. The easiest definition of hybrid warfare was also proposed by Frank Hoffman: “Hybrid warfare is the simultaneous application of traditional and non-traditional tactics, terrorist and criminal activities to achieve political goals in the same time and battle space”.<sup>4</sup> Military historian Peter Mansoor describes hybrid warfare as “a combination of traditional military and irregular forces (guerrillas, rebels, and terrorists) involving both state and non-state actors to achieve a common political goal”.<sup>5</sup>

Though the concept of “hybrid warfare” has emerged not long ago, it is not a new phenomenon in nature. Examples of the application of hybrid techniques and approaches at the tactical, operational and strategic levels include the ancient Peloponnesian War, as well as the recent Napoleonic Wars, India-Pakistan (1971), Georgia-Russia (2008) wars, the Crimean conflict (2014), and even it can be found in the writings of the Chinese strategist and philosopher Sun Tzu. During the Spanish Civil War of 1930, Benito Mussolini was sent to fight by “little men in black shirts” by Francisco Franco. These people were selected voluntarily and did not have any insignia.<sup>6</sup> Germany supported the German ethnic group that provoked the government in Czechoslovakia in 1938 and forced the government to react harshly. That reaction was supposed to be the main reason to save the German ethnic group from persecution. In this regard, Adolf Hitler said in his speech at the Congress in 1938: “I am not saying that let’s oppress 3.5 million French people living in Germany. Or I don’t say that let’s show mercy to the 3.5 million English people. I want 3.5 million Germans to be freed from oppression and to have the right to self-determination”. When they entered Afghanistan in 1979-1988, the Soviet military faced an asymmetric war. In 1990, a number of elements of hybrid warfare were observed in Moldova, Georgia and Azerbaijan.<sup>7</sup>

While the means by which hybrid war is conducted today have changed, the fundamental principle of utilizing a combination of conventional and irregular methods to achieve a political objective is consistent with

1 John Chambers, “Countering grey-zone hybrid threats, An Analysis of Russia’s “New Generation Warfare” and Implications for the US Army”. October 18, 2016. URL: <https://bit.ly/2HJ2SxF>.

2 Eitvydas Bajarūnas, Vytautas Keršanskas, “Hybrid Threats: Analysis of Content, Challenges Posed and Measures to Overcome”, Lithuanian Annual Strategic Review, Volume 16 (2017-2018): 123-170.

3 Khayal Iskandarov, Piotr Gawliczek, “Hybrid warfare as an instrument of political leverage (With a special focus on the South Caucasus)” in The Russian federation and international security edited by Miroslaw Banasik, Piotr Gawliczek and Agnieszka Rogozinska (Poland: Difin publishing house, 2020), 169-180.

4 Elman Nasirov, Khayal Iskandarov, “Looming hybrid threats in Europe and NATO’s deterrence”, Съвременни предизвикателства пред сигурността и отбраната, Сборник доклади от годишната научна конференция на факултет «Национална сигурност и отбрана», София, (18-19 май 2017 г.): 22-27.

5 Khayal Iskandarov, Piotr Gawliczek, “Hybrid warfare as a new type of war. The evolution of its conceptual construct” in The Russian federation and international security edited by Miroslaw Banasik, Piotr Gawliczek and Agnieszka Rogozinska (Poland: Difin publishing house, 2020), 96-107.

6 Khayal Iskandarov, Piotr Gawliczek, “Hybrid warfare as an instrument of political leverage (With a special focus on the South Caucasus)”.

7 Khayal Iskandarov, Piotr Gawliczek, “Hybrid warfare as a new type of war. The evolution of its conceptual construct”.

older forms of conflict. According to Boucher, it is the civilian element that distinguishes hybrid from regular warfare to the extent that non-military actors and stakeholders are explicitly involved in the political, informational and economic components of war. The degree of reliance on civilians and non-state actors makes hybrid warfare distinctly modern.<sup>8</sup> Modern hybrid war is a complex challenge that requires an adaptable and versatile response to overcome. As Clausewitz stated: “Every age has its own kind of war, its own limiting conditions, and its own peculiar preconceptions”.<sup>9</sup> Russia’s Chief of the General Staff, Valery Gerasimov, explicitly stated in 2013, that Moscow would apply “the broad use of political, economic, informational, humanitarian and other nonmilitary measures supplemented by military means of a covert nature character” to achieve Russian interests.<sup>10</sup> According to Gerasimov: “The role of non-military means in achieving political and strategic goals has increased, and in many cases their effectiveness is greater than the power of weapons”.<sup>11</sup> This approach is referred to in the literature as the famous Gerasimov Doctrine. In general, according to Gerasimov, the growing importance of non-military means in conflicts, including political, economic and cultural activities, is an important element of changing the existing operational environment.<sup>12</sup>

Thus, a hybrid war is an armed conflict carried out with the cooperation and coordination of elements of regular and irregular forces at the strategic, operational and tactical levels. In hybrid wars, the roots of kinetic threats go mainly to neighboring states, regional and global powers. Other factors pose a threat, including non-state actors, hostile countries and organizations. Hybrid warfare mainly uses the following opportunities: political instability, socio-economic inequality, uncontrolled borders, ethnic separatism, organized crime, corruption, injustice. In hybrid warfare, external forces act synchronously with internal actors. If this cooperation is not prevented, external and internal threats may combine to achieve medium-term goals of hostile actors. For example, the discrediting of political and military leadership or the creation of divisions using ethnic and religious groups create conditions for the hostile state to achieve its political and military goals.

---

8 David Carment, “War’s Future: The Risks and Rewards of Grey-Zone Conflict and Hybrid Warfare”. October 2018. <https://bit.ly/39Ymji1>.

9 Elman Nasirov, Khayal Iskandarov, *Ibid*.

10 Richard Weitz, “Countering Russia’s Hybrid Threats”, November 21, 2014. <https://bit.ly/38TCsoG>.

11 Khayal Iskandarov, Piotr Gawliczek, “Hybrid warfare as an instrument of political leverage (With a special focus on the South Caucasus)”.

12 *Ibid*.

## USED MATERIALS

- Bajarūnas, Eitvydas, Vytautas Keršanskas, "Hybrid Threats: Analysis of Content, Challenges Posed and Measures to Overcome", Lithuanian Annual Strategic Review, Volume 16 (2017-2018): 123-170.
- Carment, David, "War's Future: The Risks and Rewards of Grey-Zone Conflict and Hybrid Warfare". October 2018. <https://bit.ly/39Ymji1>.
- Chambers, John, "Countering grey-zone hybrid threats, An Analysis of Russia's "New Generation Warfare" and Implications for the US Army". October 18, 2016. URL: <https://bit.ly/2HJ2SxF>.
- Fabrizio, Minniti, " Hybrid Warfare and Hybrid Threats", April 16, 2018. <https://bit.ly/3bYJtX>.
- Galeotti, Mark, "(Mis)Understanding Russia's two "hybrid wars", Eurozine, 29 November 2018. <https://bit.ly/3bZUGH5>.
- Iskandarov, Khayal, Piotr Gawliczek, "Hybrid warfare as a new type of war. The evolution of its conceptual construct" in The Russian federation and international security edited by Mirosław Banasik, Piotr Gawliczek and Agnieszka Rogozinska (Poland: Difin publishing house, 2020), 96-107.
- Iskandarov, Khayal, Piotr Gawliczek, "Hybrid warfare as an instrument of political leverage (With a special focus on the South Caucasus)" in The Russian federation and international security edited by Mirosław Banasik, Piotr Gawliczek and Agnieszka Rogozinska (Poland: Difin publishing house, 2020), 169-180.
- Nasirov, Elman, Khayal Iskandarov, "Looming hybrid threats in Europe and NATO's deterrence", Съвременни предизвикателства пред сигурността и отбраната, Сборник доклади от годишната научна конференция на факултет «Национална сигурност и отбрана», София, (18-19 май 2017 г.): 22-27.
- Smith, Hanna, Jarna Petman, Aki Huhtinen, "Hy-brid in-flu-en-cing is a grey zone between war and peace – how to resist it?" December 14, 2018. <https://bit.ly/30Lhbir>.
- Wither, James K. "Making Sense of Hybrid Warfare", Connections QJ 15, No.2 (2016): 73-87.
- Weitz, Richard, "Countering Russia's Hybrid Threats", November 21, 2014. <https://bit.ly/38TCsoG>.



# ინფორმაციული აგრესიის ტექნოლოგიები და მათი როლი რეგიონულ პოლიტიკურ კონფლიქტში

## რამაზ კვარაცხელია

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის მახინჯაძის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი, სამართლის დოქტორი. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ინფორმაციული აგრესიის ტექნოლოგიების გამოყენების პრობლემა და როლი რეგიონულ პოლიტიკურ კონფლიქტში. ნაშრომში გაანალიზებულია ინფორმაციული აგრესიის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდები.

ნაშრომში ინფორმაციული ომის შვიდი ფორმიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სადაზვერვო ომს, რომელიც გულისხმობს სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვებას და საკუთარი თავის დაცვას; ელექტრონულ ომს, რომელიც მიმართულია ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების - რადიოკავშირების, სარადარო სადგურების, კომპიუტერული ქსელების წინააღმდეგ და ფსიქოლოგიურ ომს, რომელიც წარმოადგენს პროპაგანდას, ტვინის გამორეცხვას, მოსახლეობის ინფორმაციის დამუშავებას. ფსიქოლოგიური ომი თავის მხრივ შეიძლება დაიყოს ოთხ კომპონენტად - სამოქალაქო სულისკვეთების შელახვა, შეიარაღებული ძალების დემორალიზება, სარდლობის დემორიენტაცია და კულტურების ომი.

ნაშრომში საუბარია პროპაგანდის როლზე, როგორც ინფორმაციული ომის საფუძველზე. ზოგადად ყველაზე ეფექტური ტექნოლოგია არის ის, რაც პრაქტიკულ ქმედებებთან ერთად ხორციელდება.

ნაშრომში განხილულია ინფორმაციული აგრესიის ტექნოლოგიების უპირატესობა ძალისმიერ ბრძოლის მეთოდებთან შედარებით.

### საკვანძო სიტყვები:

ინფორმაციული ტექნოლოგია, ინფორმაციული ომი, პოლიტიკური კონფლიქტი, პროპაგანდა, პოლიტიკური მითი.

# TECHNOLOGIES OF THE INFORMATION AGGRESSION AND THEIR ROLE IN REGIONAL POLITICAL CONFLICT

**RAMAZ KVARATSKHELIA**

PROFESSOR OF MASTER'S DEGREE PROGRAM IN  
SECURITY STUDIES AT LEPL - DAVID AGHMASHENEBELI  
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA  
PHD IN LAW CHIEF SPECIALIST OF THE DEFENSE AND SECURITY  
COMMITTEE OF THE PARLIAMENT OF GEORGIA

## ABSTRACT

The paper discusses the issues of the use of information aggression technologies and their role in regional political conflict. The paper analyzes modern and traditional methods of information aggression.

Of the seven forms of information warfare, the paper focuses on intelligence warfare, which involves gathering important information from a military point of view and self-defense; electronic warfare against electronic means of communication - radio communications, radar stations, computer networks and psychological warfare, which is propaganda, brainwashing, information processing of the population. Psychological warfare, in turn, can be divided into four components - the disruption of public spirit, the demoralization of the armed forces, the disorientation of command, and the war of cultures.

The paper discusses the role of propaganda as the basis of information warfare. In general, the most effective technology can be considered the one that is carried out in conjunction with practical actions.

The paper discusses the advantages of information aggression technologies over forceful methods of fighting.

**KEYWORDS:**

Information Technology, Information Warfare, Political Conflict, Propaganda, Political Myth.

## შესავალი

წლების წინ ინფორმაციული ომი ხასიათდებოდა, როგორც ნებისმიერი სამხედრო ოპერაციის ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, მაგრამ თანამედროვე პირობებში ინფორმაციული ზემოქმედება წარმოადგენს პრაქტიკულად ერთადერთ ინსტრუმენტს მოწინააღმდეგე მხარის გარკვეული პოლიტიკური გადანაცვლებების პროვოცირებისა და მათზე მანიპულირებისთვის. მრავალი წინააღმდეგობა შეიძლება აღმოიფხვრას ინფორმაციული ზემოქმედებით, შეიარაღებული კონფლიქტის გარეშე. სამხედრო ოპერაციების ჩატარებასთან შედარებით, ინფორმაციული ომის ტექნოლოგიები უფრო შედეგიანი და ეფექტურია. შესაბამისად თანამედროვე სამყაროში ინფორმაცია არ წარმოადგენს პოლიტიკურ კონფლიქტებში ზემოქმედების დამატებით ინსტრუმენტს, ის გახდა დამოუკიდებელი ძალა ინფორმაციული ომის საშუალებებისა და ტექნოლოგიების სწრაფი და ხარისხობრივი განვითარების გამო.

ინფორმაციული აგრესიის შედეგს შეიძლება არც თუ ისე სწრაფად მივალნიოთ, მაგრამ ყველა ცვლილება ხორციელდება ღრმა იდეოლოგიურ და გონებრივ დონეზე. მისი მეშვეობით შესაძლებელია სამუდამოდ შეიცვალოს მოწინააღმდეგე მხარის პოლიტიკური ორიენტაცია. ეს ტენდენცია ნათელს ხდის ინფორმაციული უსაფრთხოების აუცილებლობას, მაგრამ ამავე დროს, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები თანამედროვე სახელმწიფოების უმრავლესობის მიერ არ აღიქმება, როგორც რეალური საფრთხე, რაც იწვევს ინფორმაციული უსაფრთხოების მეთოდების და საშუალებების განვითარების არარსებობას.

## პრობლემის დასაბ

პრობლემის შესასწავლად მნიშვნელოვანია მე-20 საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი პოლიტოლოგის, მასობრივი კომუნიკაციების სფეროში პირველი სისტემური ანალიტიკოსის და პრაქტიკოსის ჰაროლდ დუაიტ ლასველის ნაშრომები, მან აქტიურად გამოიყენა სოციალური ფსიქოლოგიის მეთოდები პოლიტიკური ქცევისა და პროპაგანდის შესწავლაში, ასევე მან კვლევებში აჩვენა მასობრივი კომუნიკაციის როლის მნიშვნელობა ძალაუფლებისათვის ინფორმაციული ომის მსვლელობისას, მათ შორის პოლიტიკური ძალაუფლებისთვის ბრძოლაში.

3. ლასველმა მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დახმარებით ადამიანების მანიპულირების გიგანტური შესაძლებლობების შესახებ. თავისი თეორიის ფარგლებში, 3. ლასველი პროპაგანდას ინფორმაციული ომის წამყვან ტექნოლოგიად მიიჩნევს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ი. ნ. პანარინი თავის ნაშრომში „ინფორმაციული ომი და ძალაუფლება“ გვანვდის დეტალურ ანალიზს ისეთი ფენომენის შესახებ, როგორცაა პროპაგანდა პოლიტიკური დაპირისპირების კონტექსტში.<sup>1</sup>

ტერმინი „ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ომი“ პირველად აისახა აშშ-ს სამხედრო წრეების ლექსიკონში. მისი შინაარსი განმარტებულია არა როგორც კონფლიქტური სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპის აღმნიშვნელი ტერმინი, არამედ როგორც საგარეო პოლიტიკის ფორმირების ერთ-ერთი მთავარი ვექტორი და პოლიტიკური მენეჯმენტის ევოლუციის საბოლოო მიზანი. 1995 წელს აშშ-ს თავდაცვის ეროვნული ინსტიტუტის მხარდაჭერით გამოქვეყნდა მარტინ ლიბიკის კლასიკური ნაშრომი, რომელშიც ავტორი განსაზღვრავს საინფორმაციო ომის 7 (შვიდ) ფორმას. მათ შორის მთავარია: სადაზვერვო, ფსიქოლოგიური და ელექტრონული.<sup>2</sup> ინფორმაციული ომის ამ ფორმის ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის სამხედრო მნიშვნელობის ინფორმაციის შეგროვებას, ელექტრონული კომუნიკაციების განადგურებას და მოსახლეობის ინფორმაციულ დამუშავებას. საინფორმაციო ომის თეორეტიკოსები მასში გამოყოფენ სამ მიზანს: ინფორმაციის სივრცის კონტროლს და მის დაცვას; საინფორმაციო თავდასხმების განხორციელებას და შეიარაღებული ძალების ეფექტურობის გაზრდას.<sup>3</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო თავდასხმების საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ მისი მუდმივი ეფექტის მიუხედავად, დიდი ხნის განმავლობაში ის შეიძლება დარჩეს შეუმჩნეველი თავდასხმის ობიექტისთვის. საინფორმაციო ტექნოლოგიებს შეუძლიათ შეცვალონ ადამიანების ცნობიერება, აიძულონ ისინი იმოქმედონ თავიანთი პირველადი ინტერესების საწინააღმდეგოდ.<sup>4</sup> საინფორმაციო ტექნოლოგიების უპირატესობა ბრძოლის ძლიერ მეთოდებთან შედარებით არის ის, რომ დესტრუქციული ეფექტი არ არის ხელმისაწვდომი

1 Noel-Neumann E. Public opinion. The opening of the spiral of silence. - M.: Progress-Academy, 1996. p. 123

2 Libicki M.C. What is Information Warfare? - Washington: National Defense University Press, 1995. P. 216; Stein G.H. Information Warfare // Airpower Journal. - 1995, Spring. - 350 p.

3 Lasswell G.D. Propaganda and communication in world history. - M.; L., 1929. p. 67.

4 Shatilov A.B. Sofa troops as a new form of propaganda support. - M., 2014. P. 215

ყოველდღიური დაკვირვებისთვის, რაც მკვეთრად ამცირებს მათი გავლენის უარყოფითი შედეგების დროული გამოვლენის შესაძლებლობას.

სამხედრო ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ინფორმაციულ ომში დამარცხების მთავარი მიზეზი არის ინფორმაციული ომის ტექნოლოგიების ცოდნის დაბალი დონე. დიდი ალბათობით, გამარჯვებულ ქვეყნებს შეუძლიათ სხვა ქვეყნების პოლიტიკური კურსის მოდელირება, საგარეო პოლიტიკური პროცესების მიმართულების კონტროლი. საინფორმაციო ომის ტექნოლოგიების ფლობა რეგიონულ კონფლიქტებში არის არა მხოლოდ პოლიტიკური პროცესების მართვის, არამედ წინააღმდეგობის განვების და საკუთარი საინფორმაციო სივრცის დაცვის შესაძლებლობა.<sup>5</sup>

ზემოქმედების მეთოდები პირობითად იყოფა ტრადიციულ, პირდაპირ და მანიპულირებად მეთოდებად. ცნობიერებაზე ზემოქმედების ტრადიციული მეთოდები ემყარება ადამიანების დარწმუნებას, მათ გონებაზე მითითებას რაციონალური არგუმენტების და ლოგიკის გამოყენებით. მანიპულირების მეთოდები ემყარება ემოციების, საჭიროებების, სურათებისა და იდეების მანიპულირებას.<sup>6</sup>

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს პოლიტიკურ კონფლიქტში ინფორმაციული ომის წარმოების ძირითადი მეთოდები: ძირითადი ინფორმაციის დამალვა, რაც მნიშვნელოვნად აისახება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე ან მისი შენიღბვა უმნიშვნელო ინფორმაციის უზარმაზარ ნაკადში.<sup>7</sup>

ამ მეთოდების გამოყენების იდეალური მაგალითია რუსეთის პრეზიდენტის ყოველწლიური კომუნიკაცია ხალხთან მედიის საშუალებით. წინასწარ არის ჩამოყალიბებული მარტივი კითხვების პაკეტი, რომელსაც პრეზიდენტი გასცემს ხანგრძლივ პასუხებს მაუწყებლობის განმავლობაში და არ ტოვებს დროს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად.

ხშირად პოლიტიკურ სტატიებში გამოიყენება ტერმინების (ცნებების) გადაადგილების მეთოდი. ეს მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ საყოველთაოდ აღიარებული ტერმინი გამოიყენება სხვა მიზნებისთვის და მისი მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცნობიერებაში იცვლება<sup>8</sup> შესაბამისად, ის რჩება ყურადღების გადატანის ყველაზე პოპულარულ მეთოდად, რომლის განსახორციელებლად ინფორმაცია შეირჩევა ისე, რომ საზოგადოების ყურადღება არსებითი პრობლემებიდან გადაიტანოს უმნიშვნელო მოვლენებზე და ამით მოახდინოს ძირითადი საკითხების გადატარვა.<sup>9</sup> ამ მეთოდების საფუძველზე აუცილებელია დავასკვნათ, რომ ისინი არ არიან აგებული პოლიტიკური სურათების კომპლექსურ მანიპულაციებზე, პიროვნების სტაბილურ რწმენებსა და იდეებზე, არამედ მხოლოდ აუცილებელ პირობებს უქმნიან მას აპოლიტიკურ სუბიექტად ჩამოყალიბებისთვის, რომელიც დაკავებულია ყოველდღიური უმნიშვნელო საკითხების გადაწყვეტით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანმა, როგორც ამ მეთოდების გამოყენების ობიექტმა, ხელოვნურად დაიწყოს მედიაში გაშუქებული მოვლენების არსებით ფაქტებად აღქმა. ეს მეთოდები მიზნად ისახავს მოსახლეობის პოლიტიკური ინიციატივებისა და მოთხოვნების ჩახშობას მიმდინარე პოლიტიკური კურსის სტაბილურობის დასაცავად.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ცნობილი რუსი სპეციალისტი ვ. ა. ლისიჩკინი განსაზღვრავს მეთოდებს, რომლებიც წარმატებით გამოიყენებოდა მე-20 საუკუნეში. დიდი ტყუილის მეთოდი ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, რომელიც წარმატებით გამოიყენა ჰიტლერმა, რომელიც წერდა: „მასების მგრძნობელობა საკმაოდ შეზღუდულია, მათი გაგება უმნიშვნელო, მაგრამ დავინყება ზედმეტად დიდი. მხოლოდ მას, ვინც ათასჯერ იმეორებს ჩვეულებრივ ცნებებს, სურს მასამ გაიხსენოს ის. თუ ვიტყუებით, ისე თავხედურად მოვიტყუოთ: მათ უფრო დიდი ტყუილის დაჯერება სურთ, ვიდრე პატარის... აზრდაც არ მოუვათ, რომ ასე ურცხვად ატყუებენ. ნებისმიერი წარუმატებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ უნდა მოძებნოთ მტრები. თუ ისინი იქ არ არიან, თქვენ უნდა მოიფიქროთ ისინი. დიდი ტყუილი დროში მოგებას იძლევა და მერე ამას არავინ გაიხსენებს.“

კიდევ ერთი მეთოდი, რომელიც 1930-იან წლებში გერმანულმა პროპაგანდამ გამოიყენა, ემყარება ხალხის შეზღუდულ აღქმას. ადამიანს არ შეუძლია უზარმაზარი რაოდენობის მონაცემების დამუშავება და ის ზედმეტ ინფორმაციას ხმაურად აღიქვამს. ამიტომ, მარტივი ფორმულირებები, გამეორება, გარკვეული დებულებების კონსოლიდაცია მნიშვნელოვან როლს თამაშობს საჭირო იდეების ჩამოყალიბებაში.

თანამედროვე პირობებში ყველაზე აქტიური გახდა პოლიტიკური მითების შექმნის პროცესი, რომლებიც ინფორმაციული აგრესიის ცენტრალურ პუნქტად იქცა. „სამყაროს სურათი“ პოლისტიკურიდან ხდება ფრაგმენტული, რომელიც შედგება მითების ნაკრებისგან. ეს მითები ადამიანის გონებაში ქმნის სამყაროს

5 Armistead L. Information operations matters. Best practices. – Washington, 2010. – p. 124

6 Panarin I.N. Information warfare and power. - M.: World of security, 2000. p. 72

7 Pocheptsov G.G. Information and psychological warfare. - M.: SINTEG, 2000. p. 56

8 Harold Dwight Lasswell. Propaganda, Communication and Public Order (with Smith B. L., Casey R. D.). – Princeton, 1946. – p. 83

9 Panarin I. N. Information warfare and power. - M.: World of security, 2000. p. 93-101



ცრუ, დამახინჯებულ სურათს.<sup>10</sup> მითს ემატება საბჭოთა წარსულის ფაქტებზე აპელირება, რომელიც თითქოს შეიძლება უახლოეს მომავალში საქართველოში განხორციელდეს, თუ მოქმედი ხელისუფლების მმართველობა არ შეჩერდება. ასეთი პოლიტიკური მითების გავლენით საზოგადოება უარყოფით დამოკიდებულებას იძენს კანონიერი ხელისუფლების მიმართ. ისტორიას ხშირად იყენებენ, როგორც ინფორმაციული ომის იარაღს. ინფორმაციული ომის ერთ-ერთი მეთოდი ჩვენი დროის პრობლემებით ისტორიული წარსულის ჩანაცვლებაა.

დღეს არსებული ინტერესებიდან გამომდინარე, მოძიებულია ისტორიული არგუმენტები შემოთავაზებული თვალსაზრისის გასამყარებლად, რაც ხალხების ერთმანეთთან შეჯახების საფუძველი ხდება. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი სწორედ ასეთი საინფორმაციო ომის შედეგია. ისტორიაში ორივე მხარემ შეძლო მრავალი ისტორიული მონაცემის მოძიება, რომელიც შეიძლება განიმარტოს, როგორც ყარაბაღის ამა თუ იმ მხარის კუთვნილების მტკიცებულება. მესამე მეთოდი არის ყველა გმირისა და გამოჩენილი ადამიანის უგულვებლყოფა, რომლებიც კონკრეტული ხალხის სიამაყეს წარმოადგენდნენ.

ეს მეთოდები, პირველი ჯგუფისგან განსხვავდებიან მათი ზემოქმედების სიღრმით. ისინი წარმოქმნიან ფსიქოლოგიურ ეფექტს, რომელიც აყალიბებს მოვლენების აღქმას და მათ მიმართ დამოკიდებულებას. რეალობად აღქმულ მითებზე დაყრდნობით საზოგადოებას ექმნება ცრუ წარმოდგენები, რაც იმას ნიშნავს, რომ კარგავს კრიტიკული აზროვნების უნარს. მითები ხშირად მოიცავს მეორე და მესამე მეთოდს ერთდროულად.

ზოგიერთი პოლიტოლოგი ადასტურებს, რომ პროპაგანდა არის ინფორმაციული ომის საფუძველი და ყოფს მას ცალკეულ ტიპებად, რომელთა შორის, ზოგიერთი საკვანძო როლს თამაშობს დაყოფაში და დემორალიზებაში. დაყოფის პროპაგანდა მიზნად ისახავს ჯგუფთაშორისი წინააღმდეგობების გაღვივებას, ხოლო დემორალიზების მიზნით პროპაგანდა შეიძლება შეამციროს ჯარისკაცების მორალი იმ დონემდე, რომ უარი თქვან საომარ მოქმედებებში მონაწილეობაზე. სამხედრო პრაქტიკაში გავრცელებული მეთოდი გახდა „ნაგებული საქმე“, რომლის მიზანია მტრის დარწმუნება, რომ მისი პოზიცია უიმედოა.

მტრისთვის ძალის უპირატესობის დემონსტრირების კიდევ ერთი ეფექტური მეთოდია „ოჯახური მოტივები“, რომელიც მიმართულია მამისა და მარჩენალის გარეშე დარჩენილი ოჯახის მიმართ გრძნობებით მანიპულირებისკენ, აქვს ძლიერი ფსიქოლოგიური ეფექტი. ეს მეთოდები განსხვავდება იმით, რომ მათი მოქმედების შედეგი ჩანს ბრძოლის ველზე არსებული სიტუაციიდან. ყველაზე ხშირად, შედეგი არის მასობრივი დემორტირობა.<sup>11</sup>

ინფორმაციული ომის თეორეტიკოსი გ. პოჩეპკოვი დასძენს, რომ პროპაგანდა ხშირად იყენებს ემოციურ გავლენას, როგორც იარაღს, რადგან ასეთ გზავნილებს ადამიანი ადვილად ითვისებს და უფრო დიდხანს ინახება მეხსიერებაში. ასევე გამოიყენება პოლიტიკური ფაქტების ხელოვნური გაზვიადების ტექნიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ ემოციურ იმპულსებს შეუძლიათ რაციონალური აზროვნების დათრგუნვა, რის შედეგადაც ინფორმაციული შეტევის ობიექტს არ შეუძლია ობიექტური დასკვნების გამოტანა. ემოციებზე ზემოქმედება რჩება უკვე ცნობილი გავლენის ყველაზე ეფექტურ მეთოდად.

გ.გ. პოჩეპკოვი ინფორმაციული ომის ეფექტურ და სწრაფად მიღწევად მეთოდებს შორის განასხვავებს ჭორებს, რომელიც ფსიქოლოგიურად მიზნად ისახავს სტრესის მოხსნას ან გამავრცელებლებისთვის სასარგებლო რწმენის ჩამოყალიბებას.<sup>12</sup> ჭორების მდგრადობა განისაზღვრება იმით, რომ ისინი ადვილად ხელმისაწვდომი არხია ინფორმაციული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.<sup>13</sup>

გავლენის ყველაზე ეფექტური მეთოდებია ის, რაც არ მოითხოვს დიდ ფსიქიკურ დატვირთვას, ანალიტიკურ უნარებს, ისტორიის ფაქტების ცოდნას, ტერმინოლოგიის გამოყენებას. ადამიანს, ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოფნისას, პრაქტიკულად არ აქვს შესაძლებლობა იფიქროს მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე, მისი იდეები ზედაპირული და არასრულია, ამიტომ, ყველაზე ხშირად, ადამიანი იწყებს საკუთარ გრძნობებზე ფოკუსირებას.

საინფორმაციო სფეროში პოლიტიკური სტრატეგიების უმრავლესობა მუშაობს მოსახლეობის ემოციურ მდგომარეობაზე. ინფორმაცია მიზნად ისახავს გარკვეული გრძნობების აღძვრას მათში, ვისთვისაც ის მიიღება. ემოციებს უკეთ ახსოვთ, ვიდრე ფაქტებს და შეუძლიათ პოლიტიკური შეხედულებების ხანგრძლივი კურსის დადგენა. გარდა ამისა, ადამიანი, რომელიც ინტუიციურად აღიქვამს თავის ემოციებს, იწყებს მოქმედებას მათ მიხედვით, უგულვებლყოფს შემდგომ ინფორმაციას სხვა წყაროებიდან, თუ ეს მათ არ შეესაბამება.

ა. შატილოვი თავის სტატიაში „დივისი ჯარები“ საუბრობს ახალ ტექნიკაზე - სასარგებლო ინფორმაციის გავრცელებაზე ვირტუალურ სივრცეში. აქვე უნდა აღინიშნოს ვირტუალური საბრძოლო ველის მებრძოლების საქმიანობის პრაქტიკულად ორიენტირებული ხასიათი. ეს არ არის მხოლოდ მიმდინარე მოვლენების

10 Panarin I.N. Information warfare and power. - M.: World of security, 2000. p. 103-107

11 Lasswell G.D. Propaganda and communication in world history. - M.; L., 1929. p. 111-116

12 Lisichkin V.A., Shelepin L.A. The third world (information-psychological) war. - M.: Institute of Social and Political Research ASN, 2003. p.

57

13 Rastorguev S.P. Philosophy of information warfare. - M., 2000. p. 90-91



რეფლექსია, არამედ მიზანმიმართული აქტივობა, რომელიც პირველ ადგილზე აყენებს შედეგს.

ამ შემთხვევაში შედეგი გაგებულია შემდეგნაირად: ა) სოციალური ქსელის ნეიტრალური ნაწილის „სწორ“ პოზიციებზე გადაყვანა; ბ) პოზიტიური ინფორმაციის მაქსიმალურად ფართო გავრცელება „თავისიანი“-ს ქმედებებთან დაკავშირებით; გ) „მტრის“ გზავნილების, მათი ემოციური ან რაციონალურ-ინტელექტუალური უარყოფა; დ) მტრის ინტერნეტ აქტივისტების იდენტიფიცირება მათი შემდგომი გამოვლენით ან თუნდაც მათ ანგარიშებზე თავდასხმების ორგანიზებით; ე) ბრძოლა მტრის ინტერნეტ ტროლების წინააღმდეგ; ვ) ბრძოლაში „თანამებრძოლების“ დადებითი მორალური იმიჯის ჩამოყალიბება და, შესაბამისად, „უცხოების“ ექსკლუზიურად ნეგატიური იმიჯის შექმნა და ა.შ.

გავლენის ერთ-ერთი არსებული მეთოდი იყო „ობიექტური“ ფიგურებისა და დოკუმენტური მონაცემების გამოყენება. ამგვარად, CNN-ის ერთ-ერთმა ანალიტიკოსმა განაცხადა, რომ 700 ალბანელი ბავშვი გამოიყენეს სერბი ჯარისკაცებისთვის განკუთვნილი სისხლის ბანკის შესაქმნელად. ამგვარმა დებინფორმაციამ, ბუნებრივია, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დასავლეთის საზოგადოებრივ აზრზე.<sup>14</sup>

ჩვენ ვხედავთ ემოციური ზეწოლის გამოყენების მაგალითს, ამ მოვლენებში მონაწილეთა მიმართ ზიზღისა და სიძულვილის გრძობის გამონვევის მცდელობებს, მაშინ როდესაც ხშირად ბავშვები, სუსტი ან დაუცველები, აღიქმებიან ასეთი ქმედებების მსხვერპლად. ზოგადად საზოგადოებაში ბავშვების მიმართ არსებობს დიდი თანაგრძობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მათთვის ზიანის მიყენება ყველაზე სასტიკად აღიქმება.

მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანი უკეთ ითვისებს ინფორმაციას, რომელიც მის უკვე არსებულ იდეებს ჰგავს.<sup>15</sup> ადამიანის აღქმის ეს მახასიათებელი საშუალებას იძლევა განხორციელდეს ნებისმიერი მანიპულაცია და პროპაგანდისტული კამპანია „რეზონანსულ ეფექტზე“, როდესაც შემომავალი ინფორმაცია, რომელიც მიმართულია საზოგადოების ქცევის შეცვლაზე, წარმოდგენილია როგორც უკვე დადასტურებული ცოდნა და სტერეოტიპები, რომლებიც არსებობს კონკრეტულ სოციალურ საზოგადოებაში.

მანიპულაციის მიზანია სამიზნე ჯგუფის აღქმის ასინქრონიზაცია „რეზონანსული ეფექტის“ გამოყენებით და მისი გადაყვანა ქცევის სხვა მოდელებში, რომლებიც ორიენტირებულია სრულიად განსხვავებულ ღირებულებათა სისტემაზე.

პოლიტიკურ კონფლიქტში მნიშვნელობებთან, იდეებთან და ემოციებთან მუშაობა შეუძლებელია პოლიტიკური ელიტის იმიჯის შექმნის გარეშე, რადგან პოლიტიკური შეტაკების მიზანი ყოველთვის ძალაუფლების სტრუქტურების წინააღმდეგაა მიმართული.

ეფექტური და ხშირად გამოყენებული მეთოდი პოლიტიკური ძალაუფლების დისკრედიტაცია პოლიტიკური იმიჯის შექმნით, უფრო კონკრეტულად კი ფალსიფიცირებით, რომლის მახასიათებლები არ შეესაბამება რეალურს და მიზნად ისახავს პოლიტიკური თანამდებობის პირის ან კანდიდატის ღირსების შელახვას.

რეგიონული ელიტისა თუ ხალხის წინაშე სახელმწიფო ძალაუფლების დისკრედიტაციას ხელს უწყობს ტექნოლოგიები, რომლებიც მიმართულია უზნობის ატმოსფეროს შესაქმნელად, რაც ავტომატურად ქმნის ნოყიერ ნიადაგს კონფლიქტური სიტუაციის შესაქმნელად, სოციალური ჯგუფების პოლიტიკური ორიენტაციის მანიპულირებისთვის, პოლიტიკური ურთიერთობების დესტაბილიზაციის და პოლიტიკური ბრძოლის გამწვავებისთვის.

ჩვენი აზრით, ინფორმაციული ომის ტექნოლოგიები შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ინფორმაციულ-პროპაგანდისტული და ორგანიზაციულ-პრაქტიკული, რომლის ფარგლებშიც პირველი ხდება მეორის განხორციელების საფუძველი. პრაქტიკაში, ეს მეთოდები შესაძლებელს ხდის სამოქალაქო დაუმორჩილებლობის კამპანიების, მიტინგების, დემონსტრაციების, საპროტესტო აქციების ჩატარებას, აგრეთვე პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების გამოყენების მიზნით ქმედებების ორგანიზებას რათა აიძულონ ხელისუფლება უარი თქვას არჩეულ პოლიტიკურ კურსზე.

## დასკვნა

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ტექნოლოგიის ცოდნა საშუალებას იძლევა დროულად გამოავლინოთ მანიპულირების პროცესი, განვსაზღვროთ მათი მიზანი და ვიფიქროთ კონტრზომებზე.

ვიფიქროთ რომ უნდა გამოიყოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამი სფერო ზემოქმედების ძალის მიხედვით. ჩვენი აზრით, ყველაზე ეფექტური ის ტექნოლოგიებია, რომელთა მოქმედება მიმართულია რთულ ვითარებაში მყოფი ადამიანების კატეგორიაზე. კრიზისის პირობებში მყოფი ადამიანი ყველაზე მეტად

14 Voitasik L. Psychology of political propaganda. - M., 1981. p. 3-5

15 Clausewitz K. About the war. - M.: Tsentrpoligraf, 2009. p. 62

ექვემდებარება გარე მანიპულირებას. მეორე - ყველაზე ძლევამოსილებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პოლიტიკური მოვლენების ემოციურ აღქმაზე და შეცვალონ პოლიტიკური ქცევა მათ შესაბამისად. ისინი, როგორც წესი, ორიენტირებული არიან მასებზე, რომლებიც ემორჩილებიან უმრავლესობის აზრს და მოკლევადიან გარე იმპულსებს. მესამე მიმართულება ორიენტირებულია მოსახლეობის კრიტიკულად მოაზროვნე კატეგორიაზე, რომელსაც შეუძლია მოვლენების გაანალიზება, მაგრამ ყოველთვის ვერ ამჩნევს მნიშვნელობების მანიპულირებას ლოგიკური კონსტრუქციების დამახინჯებით ან ცნებების ჩანაცვლებით. თანამედროვე სამყაროში ხშირად გამოიყენება კომბინირებული ტექნოლოგიები, მათ შორის სხვადასხვა ტიპის მიმართულებები.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Voitasik L. Psychology of political propaganda. - M., 1981. -- 216 p.
- Grachev G., Melnik I. Personality manipulation. - M. : "DeltaPress", 2008. - 113 p.
- Kalandarov K.Kh. Public Consciousness Management. The role of communication processes. - M. : Humanitarian center "Monolith", 1998. - 183 p.
- Clausewitz K. About the war. - M. : Tsentrpoligraf, 2009. -- 224 p.
- Lasswell G.D. Propaganda and communication in world history. - M. ; L., 1929. -- 212 p.
- Lisichkin V.A., Shelepin L.A. The third world (information-psychological) war. - M. : Institute of Social and Political Research ASN, 2003. - 448 p.
- Noel-Neumann E. Public opinion. The opening of the spiral of silence. - M. : Progress-Academy, 1996. - 352 p.
- Panarin I.N. Information warfare and power. - M. : World of security, 2000. -- 560 p.
- Pocheptsov G.G. Information and psychological warfare. - M. : SINTEG, 2000. -- 180 p.
- Rastorguev S.P. Philosophy of information warfare. - M., 2000. -- 496 p.
- Shatilov A.B. Sofa troops as a new form of propaganda support. - M., 2014.
- Armistead L. Information operations matters. Best practices. – Washington, 2010. – p. 283.
